



სამეცნიერო რეცენზირებადი/რეფერირებადი ჟურნალი
Scientific peer-reviewed journal

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

მოამბე



BULLETIN

OF AKAKI
TSERETELI
STATE
UNIVERSITY

1(25)

ქუთაისი

KUTAISI

2025

ISSN 2233-3711

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu>

მთავარი რედაქტორი:
ნესტან კუტივაძე

Editor:
Nestan Kutivadze

პასუხისმგებელი მდივანი:
ოთარ ნიკოლეიშვილი

Executive Secretary:
Otar Nikoleishvili

ელექტრონული
გამოცემის რედაქტორი:
გიორგი ჭიჭინაძე

Electronic Journal Editor:
Giorgi Chichinadze

სარედაქციო კოლეგია:
იმერ ბასილაძე (საქართველო)
ომარ კიკვიძე (საქართველო)
ქრისტინა ლასი (დიდი ბრიტანეთი)
შოთა ლომინაშვილი (საქართველო)
ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია)
ავთანდილ ნიკოლეიშვილი (საქართველო)
დავით ნიშნიანიძე (საქართველო)
გიორგი ონიანი (საქართველო)
ივანე საღინაძე (საქართველო)
ალექსანდრე სლადკოვსკი (პოლონეთი)
ვახტანგ ქობალაია (საქართველო)
გიორგი ღავთაძე (საქართველო)
თემურ ღვინიაძე (საქართველო)
გულნარა შელია (საქართველო)
ნინო ჩიხლაძე (საქართველო)
ფოლკმარ ჰანზენი (გერმანია)
იორგ ჰარდი (დიდი ბრიტანეთი)

EDITORIAL BOARD:
Imer Basiladze (Georgia)
Omar Kikvidze (Georgia)
Christian Laes (UK)
Shota Lominashvili (Georgia)
Vladimer Menshikov (Latvia)
Avtandil Nikoleishvili (Georgia)
David Nishnianidze (Georgia)
Giorgi Oniani (Georgia)
Ivane Saghinadze (Georgia)
Aleksander Sladkowski (Poland)
Vakhtang Kobalia (Georgia)
Giorgi Ghavtadze (Georgia)
Temur Ghvinianidze (Georgia)
Gulnara Shelia (Georgia)
Nino Chikhladze (Georgia)
Folkmar Hanzen (Germany)
Joerg Hardy (UK)

განთავსებულია შემდეგ ბაზებში:
It has been included in:
EBSCO, Google Scholar, Index Copernicus,
International Scientific Indexing, Academic Resource Index, Cosmos Impact,
Semantic Scholar, Crossref

ინგლისურენოვან ტექსტზე პასუხისმგებელი: **ტამარ გრიგალაშვილი**
Responsible for English Text:
Tamar Grigalashvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **შორენა ხუნდაძე**
Computing:
Shorena Khundadze



შინაარსი CONTENTS

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი Agricultural and Biological Sciences

ამბაკო ბრეგვაძე, ვახტანგ ქობალია
ვარდის კულტურა საქართველოში და
მისი გამრავლების ინტენსიური მეთოდები.....8

Ambako Bregvadze, Vakhtang Kobalia
Rose Cultivation in Georgia and Its Intensive Propagation Methods.....13

როზა ლორთქიფანიძე, თეონა დოლიძე
კლიმატგონივრული აგრო-ეკოლოგიური
ტექნოლოგიები მევენახეობაში.....16

Roza Lortkipanidze, Teona Dolidze
Climate-Smart Agro-Ecological Technologies in Viticulture.....25

დოდო თავდიდიშვილი, მანანა ფხაკაძე
ციცრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე
ჯანსაღი საკვების წარმოებაში.....33

Dodo Tavdidishvili, Manana Pkhakadze
On the feasibility of using guineafowl
meat in the production of healthy food42

გულრანა ხეცურიანი, ირმა ბერულავა
პასტილის ახალი ასორტიმენტი ჩიას თესლის გამოყენებით
Gulnara Khetsuriani, Irma Berulava
A new range of pastilles using chia seeds.....55

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

Ekaterine Julakidze, Irma Rusadze
Lexical Approach – Vocabulary Teaching Techniques for ESL Learners
Through Proper Lesson Shapes61

ეკატერინე ჯულაყიძე, ირმა რუსაძე
ლექსიკური მიდგომა - ინგლისური ენის შემსწავლელთათვის
ლექსიკის სწავლების ტექნიკები და მათი ინტეგრირება განსხვავებულ
გაკვეთილების სტრუქტურაში71

ანა ჭანკვეტაძე

ასაკთან დაკავშირებული იდიომები და კულტურული კოდები
თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში.....78

Ana Chankvetadze

A Review of Cultural Codes and Their Units Identified as a Result of the
Analysis of Phraseological Units Related to the Semantic Meaning “Age”
in Modern English and Georgian Languages.....90

ნინო ჩიხლაძე

მითი და ინტერპრეტაცია: ჰესიოდე95

Nino Chikhladze

Myth and Interpretation: Hesiod.....102

ვერა წერეთელი

სატირიზებული ფილოსოფიური იდეები
არისტოფანეს „ღრუბლებში“106

Vera Tsereteli

Satirized Philosophical Ideas in Aristophanes ‘Clouds’112

ნატალია გულუა

ლევან გოთუას დრამა “შოთა რუსთაველი”
მოდერნისტული ესთეტიკის კონტექსტში.....115

Natalia Gulua

Levan Gotua’s Drama “Shota Rustaveli” in the
Context of Modernist Aesthetics122

მარინე ხვედელიძე

აბოს მარტვილობის ინტერპრეტაციები - იოანე საბანისძის „წამებაი
წმინდისა და ნეტარისა ჰაბოისი“ და გიორგი შატბერაშვილის
„აბოს წამების ათი დღე“125

Marine Khvedelidze

Interpretations of the Martyrdom of Abo - ‘The Martyrdom of Abo of Tbilisi’
by Ioane Sabanisdze and ‘Ten Days of Abo’s Martyrdom’
by Giorgi Shatberashvili.....131

ნანული კაკაურიძე

მუსიკა როგორც შოპენჰაუერული ნება (Wille)
და თომას მანის ესე „შოპენჰაუერი“135

Nanuli Kakauridze

Music as Schopenhauerian Will (Wille) and Thomas Mann’s Essay
Schopenhauer146

ია ხაჭაპურიძე	
ვნების ტყვეობაში: რასინის ფედრას მრავალშრიანი სამყარო.....	151
Ia Khachapuridze	
In the Captivity of Passion: The Multilayered World of Racine's Phaedra.....	158
ნიკოლოზ ჩიხლაძე	
ტექნოლოგია და რწმენა:	
მართლმადიდებლობის გზები ციფრულ სივრცეში.....	161
Nikoloz Chikhladze	
Technology and Faith: Paths of Orthodoxy in the Digital Space.....	172
ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები	
Economics, Econometrics and Finance	
კახა კუპატაძე, ლილი მაღლაფერიძე	
ქალაქების მდგრადი ინსტიტუციური განვითარება და თანამედროვე	
რეგიონული პოლიტიკა.....	182
Kakha Kupatadze, ili Maglaperidze	
Sustainable Institutional Development of Cities and Contemporary	
Regional Policy.....	192
სალომე გოგიაშვილი	
ბალტიისპირეთის ქვეყნების უმაღლესი განათლების დაფინანსების	
პოლიტიკა და გამოწვევები.....	197
Salome Gogiashvili	
Higher Education Funding Policies and Challenges in the Baltic Countries....	211
საინჟინრო საქმე	
Engineering	
ნატო ფაილოძე, ნანული აბესაძე,	
ლია ლურსმანაშვილი, გულნარა კვანტიძე	
ძველი ქართული ორნამენტების საქსოვ მანქანაზე	
ქსოვის ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა.....	216
Nato Failodze, Nanuli Abesadze, Lia Lursmanashvili, Gulnara Kvantidze	
Determination of technological parameters for knitting old Georgian	
ornaments on knitting machines.....	225
რანი ჭაბუკიანი, ისიდორე კაჭახიძე,	
ალექსანდრე ლომიძე, თემურ ლემკაშელი	
ეფექტური ინოვაციური სახნავი საშუალება - გუთანა.....	229

Rani Chabukiani, Isidore Kachakhidze, Aleksandre Lomidze, Temur Leshkasheli	
Efficient innovative tillage tool – a plow.....	234

ოთარი ძიძავა, ომარი კიკვიძე	
ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდის დამუშავება ფაზური გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალებში.....	237
Otari Dzidzava, Omari Kikvidze	
Development of a method for calculating the coefficient of thermal expansion in phase transformation temperature intervals	245

მასალათმცოდნეობა **Materials science**

თამარ მოსეშვილი	
მრავალფუნქციურ მრავალფენიან კომპოზიტებში შეწებილი ნართისაგან ფორმირებული ტექსტილური მასალების გამოყენების შესაძლებლობის კვლევა.....	253
Tamar Moseshvili	
Investigating the possibilities of using textile materials formed from untwisted yarn in multifunctional multilayer composites.....	261

საზოგადოებრივი მეცნიერებები **Social Sciences**

თენგიზ ვერულავა	
საერთაშორისო ურთიერთობების როლი გლობალური ჯანდაცვის დღის წესრიგში.....	267
Tengiz Verulava	
The Role of International Relations in the Global Health Agenda.....	279

აგრარული და ბიოლოგიური
მეცნიერებანი

Agricultural and Biological Sciences

აგრონომია და მეცნიერება მცენარეთა შესახებ

ვარდის კულტურა საქართველოში და მისი გამრავლების ინტენსიური მეთოდები

ამბაკო ბრეგვაძე

ambako.bregvadze@atsu.edu.ge

ვახტანგ ქობალია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.01>

ვეგეტატიურად ვარდებს ძირითადად ორი ხერხით ამრავლებენ: კალმით და მცნობით. კალმით გამრავლების შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სეზონს და გარემოს, სადაც ხდება დაკალმების პროცესი. დიდი ყურადღება ექცევა ასევე ვარდის ჯიშების სწორად შერჩევას, რადგანაც ერთ და იგივე პირობებში ჯიშები სხვადასხვანაირად იზრდებიან. ხარისხიანი და დიდი რაოდენობით ვარდის სარგავი მასალის მისაღებად ეფექტურია მცნობით გამრავლება, რომელიც სეზონების მიხედვით სხვადასხვა ხერხით ტარდება. კვლევებმა აჩვენა, რომ მცნობის ყველაზე კარგი დრო არის, როდესაც საძირე ვეგეტაციის პროცესშია, წვეთა მოძრაობა დაწყებულია, ხოლო კვირტი მიძინებულ მდგომარეობაშია. ვარდის მცნობა აგვისტოს გარდა შესაძლებელია მოხდეს ადრე გაზაფხულზე, მარტის დასაწყისში, პირველი ვეგეტაციის დაწყებისთანავე. მარტის მცნობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ღია გრუნტში, ასევე დახურულ სასათბურე სივრცეში. სასათბურე სივრცეში ჩატარებული მცნობა უფრო ეფექტურია, რადგანაც საბოლოო პროდუქტის მიღება უფრო სწრაფად ხდება.

საკვანძო სიტყვები: ვარდი, გამრავლება, დაკალმება, მცნობა, ვეგეტაცია.

საქართველოში ვარდის კულტურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მე-18 საუკუნიდან იწყება, ხოლო ზენიტს მიაღწია მე-20 საუკუნეს 60-იან წლებში და იგი მიხილ მამულაშვილის სახელს უკავშირდება, მისი ცნობილი მცხეთის ბაღის სახით (ამავე საუკუნის მიწურულს აღსანიშნავია ამ მიმართულებით ძმები ვალოდია და ვალერი ბრეგვაძეების როლიც).

საქართველოში ამჟამად განსაკუთრებით პოპულარულია სამრეწველო მიმართულებით მოჭრილი ვარდების წარმოება, რომელსაც ჯამში 20 ჰა ტერიტორია უჭირავს და ფართობი ყველწლიურად იზრდება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით პერსპექტიულია საპარკო კლასის ვარდები (cut rose), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ

ა. ბრეგვაძე, ვ. ქობალია

კრიტერიუმებს - ღეროს და გვირგვინის მდგრადობას, სწრაფ განმეორებით ვეგეტაციას და დაავადების მიმართ მდგრადობას. ამ მიმართულებით საქართველოში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ჯიშებზე: ბლექ მეჯიკი, კერიო, ლიმბო, ანასტასია, ჯუმელია, დოლჩე ვიტა, ექსპოლერი, რომლებიც სხვადასხვა კლიმატურ ზონაში განსხვავებულ ხასიათს ავლენენ, თუმცა მეტწილად ინარჩუნებენ მდგრადობას. აღნიშნული ჯიშებიდან ყველაზე პერსპექტიულია „ექსპოლერი“, რომელიც აჭრიდან ორი ან მეტი კვირის განმავლობაში ძლებს.

სამრეწველო მიზნით ვარდები ძირითადად ვეგეტატიურად მრავლდება, გავრცელებული მეთოდებია: საკუთარ ფესვზე დაკალმება, ამონაყარით, ბუჩქის დაყოფითა ან გადაწვევით გამრავლება. ბალისა და საპარკო ვარდების უმეტესობა მრავლდება დაკალმებით და კვირტით მცნობით (კაცია... 2017, 1-10; Popa 2022, 110-115).

ვარდის დაკალმებით გამრავლების დროს - კალმები იჭრება ბასრიდან ან მჭრელი სეკატორით. კალმებს იღებენ კარგად განვითარებული ძლიერი დედა ბუჩქის ერთწლიანი ყლორტების შუა ნაწილიდან, რომლის სიმაღლე 4-5 მმ უნდა იყოს. კალმის სიგრძე 12-15 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, 2-4 კვირტით. კალმის ქვედა მხარეს კვირტთან ახლოს კეთდება ირიბი ჭრილი, ზედა ჭრილი კეთდება კვირტიდან 0.7-0.9 სმ-ზე. აჭრილ კალმებს ათავსებენ ზრდის სტიმულატორიან ხსნარში ან უბრალო წყალში, რამდენიმე საათს ან აფრქვევენ გადანაჭერზე ჰეტეროაუქსინ-კორნევის სტიმულატორს (ან სხვა ხელმისაწვდომს). დასაფესვიანებლად იყენებენ კვალსათბურებსა და ჩვეულებრივ კვლებს, სათბურში - სტელაჟებს, კვლებს და ყუთებს. კალამი ირგება სპეციალური შემადგენლობის ნიადაგში ცერად, 2,5-4,0 სმ-ის სიღრმეზე, მიწის ზევით რჩება ერთი-ორი კვირტი. რიგებს შორის მანძილი 8-10 სმ უნდა იყოს, ხოლო მცენარეთა შორის 7-8 სმ.

კვირტით მცნობის დროს საძირეზე გადააქვთ კულტურული ჯიშის მხოლოდ ერთი კვირტი, ქერქის პატარა ფარით. შესრულების ტექნიკის სიმარტივისა და დამცნობილი კვირტების შეხორცების მაღალი პროცენტის გამო კვირტით მცნობა წარმოადგენს ვარდის მცნობით გამრავლების ძირითად წესს (Project report of Rose ... 2017).

კვირტით მცნობის ძირითადი ვადაა ზაფხული, თუმცა იგი შეიძლება ჩატარდეს გაზაფხულზეც. ზაფხულში მცნობა ბარში ტარდება 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, მთიან ზონაში კი - პირველი აგვისტოდან პირველ სექტემბრამდე.

გაზაფხულზე მცნობა ტარდება საძირეში წვეთა მოძრაობის დაწყების შემდეგ. გაზაფხულზე მცნობისათვის საძირეები მასალა უნდა დამზადდეს მცენარის მოსვენების პერიოდში და მცნობის დაწყებამდე შენახულ იქნას გრილ ადგილას. როგორც ზაფხულში, ისე გაზაფხულზე მცნობის

წარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია, რომ საძირე იყოს აქტიური, სანამყენე კი (კვირტი, კალამი) მოსვენებულ მდგომარეობაში.

სამყნობად უნდა აიჭრას კარგად განვითარებული და მომწიფებული მიმდინარე წლის ნაზარდი, რადგანაც ყლორტის წვერსა და ბაზალურ ნაწილში კვირტები ცუდად არის განვითარებული, ამიტომ სამყნობად აჭრილ ყლორტს - კალამს, უნდა წაეჭრას თავი და ბოლო, მოვაცილოთ ფოთლის ფირფიტა, ყუნწის ნაწილი კი დავტოვოთ კალამზე. იგი საჭიროა კვირტის ჭრილობაში ჩასასმელად და შეხორცების პროცესის შესამოწმებლად. ასეთი წესით დამზადებული კალამი უნდა მოთავსდეს სველ ტილოში და მყნობამდე შენახული იქნას გრილ, ნესტიან ადგილას. უკეთესია, თუ კალამი დამზადდება უშუალოდ მყნობის ან მის წინა დღეს. საძირეზე მყნობა ძირითადად ხდება T-სებურ ჭრილში და კვირტის მიჭდობით მყნობით, რომელსაც მიმართავენ მაშინ, როდესაც საძირეს რაიმე მიზეზით კანი არ ძვრება.

გარდა ზემოთ აღწერილი ვარდის გამრავლების მეთოდებისა, ბოლო წლებში პრაქტიკაში გამოიყენება სხვა, უფრო ინტენსიური მეთოდები (აგროკავკასია 2024), რომლებიც გამოყენებულ იქნა ჩვენ მიერ.

საქართველოში ვარდის გამრავლება მყნობით ძირითადად ხდება აგვისტოს თვეში. თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ვარდის მყნობა შესაძლებელია იმ დროს, როდესაც საძირე მზად არის მყნობისათვის და შესაბამისად კვირტიც მოიპოვება (შენახულია მაცივარში შესაბამის პირობებში, უკიდურეს შემთხვევაში - სილაში).

ხარისხიანი და ძლიერი საძირეები უმნიშვნელოვანესია მყნობის ჩასატარებლად, რათა მყნობის გაზარების მაჩვენებელი გაიზარდოს. როგორც აღინიშნა, ვარდის მყნობა შესაძლებელია ყოველი ვეგეტაციის პროცესში და ასევე საძირის მიძინების დროსაც. ვეგეტაციაშეწყვეტილ საძირეზე მყნობა ხდება კვირტის მიდებით, ანუ ჩათლით.

კვლევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ მცენარეების უმრავლესობაში მყნობისთვის ყველაზე კარგი პერიოდი არის პირველი ვეგეტაცია გაზაფხულზე (თებერვლიდან მარტის ბოლომდე). თუმცა მარტის თვეში ვარდის მყნობის დროს გამოიყენება წინა წლის საძირე, ანუ ერთი წლის განმავლობაში საძირე ცდება და მომდევნო წელს გამოიყენება სამყნობად. მარტისპირველნახევარში საძირის შენახვა ხდება იმიტომ, რომ ძირითადად საძირეები მრავლდება და სამყნობად მოსამზადებელ ეტაპებს იწყებენ გაზაფხულზე თესლით გამრავლების დროს და შემოდგომის ბოლოს, კალმით გამრავლების შემთხვევაში. შესაბამისად საძირე არ არის მზად გაზაფხულზე სამყნობად. მყნობა ხდება T-ესებური ხერხით და კვირტად გამოიყენება ვარდის ის კვირტები, რომლებსაც მხოლოდ დაბერილი აქვს კვირტის ადგილი და არა წამოზრდილი კვირტი.


ა. ბრეგვაძე, ვ. ქობალია

იმ შემთხვევაში, თუ კლიმატური პირობები არ იძლევა მცნობის საშუალებას და ხდება მცნობის დროის გადაწევა, საკვირტე ტოტებს ჭრიან და ინახავენ ტენიან ქვიშაში, სიბნელეში ან შოკ მაცივარში. მცნობის ეს პროცესი მიმდინარეობს გარე ღია გრუნტში. მცნობიდან ერთ თვეში - აპრილში, საძირეს გადაეჭრება თავი ნამყენი ადგილის ზემოთ 2 -3 სმ-ზე, ამის შემდეგ ვარდი იწყებს ჩამოყალიბებასა და ზრდას. ამ მეთოდით სეზონზე გამრავლებული ვარდი ბევრად ძლიერია და შემოდგომაზე აქვს ჩამოყალიბებული ბუჩქი 2-4 ამონაყრით. საძირედ გამოიყენება *Rosa caninas*-ს ოჯახის ყველა წევრი.

ჩვენ მიერ გამოყენებული მცნობის მეთოდი ჩატარდა სასათბურე სივრცეში. ის მეტად ეფექტურია დროის მოგების თვალსაზრისით. საძირედ გამოყენებულ იქნა *Rosa canina multiflora*. მისი გამრავლება მოხდა კალმებით, სპეციალურად წინასწარ მომზადებულ საჩითილე კასეტებში (სურ.1), ნიადაგად გამოყენებული იყო გადამუშავებული საჩითილე მიწა (ტორფი), რომელიც დამუშავებული იქნა ბაქტერიების და სოკოს წინააღმდეგ, კასეტის უჯრის ზომა იყო არანაკლებ 0.8x0.8 სმ.

კალმები აიჭრა 3-4 კვირტზე. ერთი კვირტის გარდა ყველას ჩაუტარდა ე.წ. „დაბრმავება“, რათა ვეგეტაცია დაიწყოს მხოლოდ ზედა პირველ კვირტში, ხოლო დაბრმავებული ადგილებიდან წამოიღოს ფესვები. კალმები მოთავსდა სათბურში, სადაც საშუალო ტემპერატურა იყო 15-18°C, ხოლო ნიადაგი მუდმივად ტენიანი. საძირემ სწრაფად დაიწყო ვეგეტაცია და საშუალოდ 15 დღეში მზად იყო კვირტით მცნობისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ კვირტით მცნობისთვის საჭიროა საძირეში წვენთა მოძრაობა, რისთვისაც აუცილებელია ვეგეტაციის დაწყება, სწორედ ამ პროცესს უწყობს ხელს მცნობის ეს მეთოდი. რა თქმა უნდა 15 დღეში საძირე ფესვს ვერ გაიკეთებს, მაგრამ ჩამოუყალიბდება კალუსი (სურ. 2) და რაც მთავარია იწყება ვეგეტაცია.


კალამზე ვარდი დაიმყნო T-სებური ხერხით თებერვალში (სურ. 3). სანამყენე კვირტად გამოყენებულ იქნა მიძინებული ვარდის ტოტები, საიდანაც კვირტის



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4

აღება შედარებით ადვილია. ნამყენი ადგილის შეხვევა მოხდა სპეციალური სახვევი ლენტით (სურ. 4), რომელიც 25°C ტემპერატურაზე 10 დღეში დნება და იხსნება.

ეს ეხმარება გაღვიძებულ კვირტს მარტივად გაიზარდოს და ჩამოყალიბდეს ნერგად. ნამყენი ისევ რჩება სათბურში. მნიშვნელოვანია, რომ ტემპერატურა არ უნდა იყოს 3°C-ზე დაბალი. ასეთ პირობებში ერთ თვეში საძირეს განუვითარდა ფესვები და კვირტიც შეხორცდა. როგორც კი ღამით ტემპერატურა 10°C მიაღწევს ნერგები მზადაა ღია გრუნტში გადასატანად ან შედარებით დიდ ქოთანებში ჩასარგავად. გამრავლების ეს მეთოდი აპრობირებულია კომპანია „ვარდის სახლში“ (დირექტორი ამბაკო ბრეგვაძე) და მომგებიანია დროის თვალსაზრისით.

დასკვნა. 1. საქართველოში სამრეწველო მიზნით ვარდის გამრავლების ერთ-ერთი ინტენსიური მეთოდია მყნობით გამრავლება. ამისათვის კარგი პერიოდია პირველი ვეგეტაცია გაზაფხულზე (თებერვლიდან მარტის ბოლომდე).

2. საძირედ გამოყენებული *Rosa canina multiflora*-ს გამრავლება ხდება „დაბრმავებული“ კალმებით წინასწარ მომზადებულ საჩითილე კასეტებში, რომლებიც თავსდება სათბურში 15-18°C ტემპერატურის და ნიადაგის მუდმივად ტენიანობის პირობებში.

3. საძირეზე კვირტის მყნობა ხდება T-ესეზური ხერხით თებერვალში, სანამყენედ კვირტების აღება ხდება მიძინებული ვარდის ტოტებიდან. სათბურში ნამყენის გახარებისათვის ტემპერატურა არ უნდა დაეცეს 3°C-ზე ქვემოთ.

ლიტერატურა

- აგროკავკასია. 2024. ვარდის დაკალმება–ვარდის კალმით გამრავლება. მოძიებულია 22.01.2025. <https://agrokavkaz.ge/fermerta-skola/vardis-dakalmeba-vardis-kalmith-gamravleba.html>
- კაცია, ნ., ბიგვაჟა, ნ., გოდერძიშვილი, გ. 2017. სათბურის ვარდი - წარმოების ტექნოლოგია. მოძიებულია 17.02.2025. <https://www.care-caucasus.org.ge/uploads/ROSE1.pdf3>.
- Chicago botanic garden. 2025. *Eight Great Moments in Rose History*. მოძიებულია 13.01.2025. https://www.chicagobotanic.org/plantinfo/plant_profiles/roses.
- Project report of Rose cultivation. 2017. *Purpose of the Document*. მოძიებულია 17.02.2025. <https://www.kviconline.gov.in/pmegp/pmegpweb/docs/commonprojectprofile/RoseCultivation.pdf>
- Popa, Roxana-Gabriela. 2022. „STUDY ON ESTABLISHMENT EFFICIENCY A ROSE CULTURE.“ *Annals of the Constantin Brancusi University of Targu Jiu, Engineering Series, ROMANIA*, No.3, 2022. https://www.utgjiu.ro/rev_ing/pdf/2022-3/18

Agronomy and Plant Science

Rose Cultivation in Georgia and Its Intensive Propagation Methods

Ambako Bregvadze

ambako.bregvadze@atsu.edu.ge

Vakhtang Kobalia

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.01>

Roses are primarily propagated vegetatively using two methods: cuttings and grafting. In the case of cutting propagation, the season and the environment where the rooting process takes place are crucial. Great attention is also given to the proper selection of rose varieties, as different varieties grow differently under the same conditions. To obtain high-quality and large quantities of rose planting material, grafting is an effective method, which is carried out using different techniques depending on the seasons. Research has shown that the best time for grafting is when the rootstock is in the vegetative process, sap flow has started, and the buds are in a dormant state. Rose grafting can be done in early spring, at the beginning of March, when the first signs of vegetation begin, in addition to August. Grafting in March can be performed both in open ground and in closed greenhouse spaces. Grafting conducted in greenhouse environments is more effective because the final product is obtained more quickly.

Keywords: rose, propagation, cutting, grafting, vegetation.

Currently, the production of cut roses for industrial purposes is particularly popular in Georgia, occupying a total area of 20 hectares. Among the most promising varieties in this field are park roses (cut roses).

For industrial purposes, roses are primarily propagated vegetatively, with common methods including rooting on their own roots, propagation by suckers, division of the bush, or layering. Most garden and park roses are propagated by cutting and budding.

In Georgia, rose propagation by grafting mainly occurs in August. However, as practice has shown, grafting can be done when the rootstock is ready for grafting, and the bud is available (stored under appropriate conditions in a refrigerator or, in extreme cases, in sand).

High-quality and strong rootstocks are crucial for successful grafting, as they increase the success rate of grafting. As noted, rose grafting can take place during each vegetation process, as well as when the rootstock is dormant. Grafting on a

vegetatively dormant rootstock is done by budding, i.e., chip budding.

Research and practice have shown that the best time for grafting most plants is during the first vegetation in spring (from February to the end of March). However, during grafting in March, the previous year's rootstock is used, meaning the rootstock is left for a year and used for grafting the following year. Rootstocks are stored in the first half of March because they generally start propagating in spring through seed propagation and at the end of autumn through cutting propagation. Therefore, the rootstock is not ready for grafting in the spring. Grafting is done using the T-budding technique, and buds are taken from rose shoots that have only swollen bud sites, not fully developed buds.

If climatic conditions do not allow grafting and the grafting period is postponed, the scion branches are cut and stored in damp sand, in darkness, or in a shock refrigerator. This grafting process takes place in open outdoor soil. One month after grafting—in April—the rootstock is cut off 2-3 cm above the grafting site, after which the rose begins to form and grow. Roses propagated by this method are much stronger and, by autumn, will have developed into bushes with 2-4 suckers. The rootstock used is from all members of the *Rosa canina* family.

There is also a grafting method that is carried out in a greenhouse, which is more efficient in terms of time. In this case, *Rosa canina multiflora* is used as the rootstock. The rootstock propagation occurs via cuttings, which root in specially prepared propagation trays (Fig. 1). It is preferable to use processed propagation soil (peat), which has been treated to protect against bacteria and fungi. The volume of each tray cell should be no less than 0.8-0.8 cm.

The cuttings are made with 3-4 buds. All but the top bud are “blinded” to ensure that vegetation starts only in the upper first bud, while roots will form from the blinded sections. The cuttings are placed in a greenhouse, where the temperature should be maintained between 15-18°C, and the soil should be kept consistently moist. The rootstock begins to vegetate, and in about 15 days, it is ready for grafting with buds. Since sap flow is necessary for grafting, and vegetation must begin for this to occur, this method is suited for this process. While the rootstock may not form roots in 15 days, it will develop a callus (Fig. 2), but the key is that vegetative growth begins.

The rose is grafted onto the cutting using the T-budding method again in February (Fig. 3). Dormant rose branches are used for the buds, from which the buds can be easily taken. The grafting site is wrapped with a special wrapping tape (Fig. 4), which melts and opens in 10 days at a temperature of 25°C. This helps the awakened bud grow easily and form into a seedling. The grafted rootstock remains in the greenhouse, and it is important that the temperature

ა. ბრეგვაძე, ვ. ქობალია

does not drop below 3°C. Under these conditions, in one month, the rootstock will develop roots, and the bud will also heal. Once the nighttime temperature reaches 10°C, the seedling can be transferred to open soil or planted in a larger pot. This propagation method has been tested by the “Rose House” company and is efficient in terms of time.

Conclusion: 1. One of the intensive methods of industrial rose propagation in Georgia is grafting. The best period for this is the first vegetation in spring (from February to the end of March).

2. *Rosa Canina Multiflora* - used as a root-stock is propagated by “blinded” cuttings in pre-prepared seedling cassettes, which are placed in a greenhouse at a temperature of 15-18°C and constant soil moisture.

3. Bud grafting onto the root-stock is done with a T-shaped saw in February, before budding buds are taken from dormant rose branches. The temperature in the greenhouse for grafting should not fall below 3°C.

აგრონომია და მეცნიერება მცენარეთა შესახებ

კლიმატგონივრული აგრო-ეკოლოგიური ტექნოლოგიები მევენახეობაში

როზა ლორთქიფანიძე

roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

თეონა დოლიძე

dolidze.teona@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.02>

სტატიაში გაანალიზებულია იმერეთის რეგიონის ბაღდათის მუნიციპალიტეტის კერძო მეურნეობაში ყვითელმიწაწერლებიან ნიადაგებზე ჩატარებული კვლევა. კვლევის მიზანს შეადგენდა ვაზის კულტურისათვის აგროსაწარმოო პირობების შესაბამისად ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაუმჯობესება. ახალგაზრდა ვენახისათვის კლიმატის ცვლილების ფონზე ნიადაგის საწარმოო თვისებების ჩამოყალიბება; ამოცანას წარმოადგენდა ვაზის ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება, ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და შემსუბუქება კლიმატით შეცვლილ აგროლანდშაფტის პირობებში. ნაშრომში გაანალიზებულია და შერჩეულია იმერეთის რეგიონში ჭარბტენიან ნიადაგებზე ვაზის მოვლა-მოყვანის ეფექტური აგროეკოლოგიური ტექნოლოგიები, გამოვლენილია ფიზიკური თვისებებით დაზიანებულ ჭარბტენიან ნიადაგებისათვის რეკულტივაციის მეთოდები, ყურძნის ჯიშის ხარისხობრივი მაჩვენებლის შენარჩუნებისა და მისი მაღალპროდუქტიულობის გაზრდის გზები, აღწერილია გამოყენებული კვლევის მეთოდების პროცესი და მიღწეული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი; რეკულტივაცია; ვაზი; აგრო-ეკოლოგიური ტექნოლოგიები.

შესავალი. კლიმატგონივრული აგროწარმოება მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოს სამეურნეო პირობებში. ამ მხრივ გამოირჩევა ვენახის გასაშენებლად ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება და მისი მაღალპროდუქტიულობა (ლორთქიფანიძე, ხელაძე 2015, 254-257). ეს პროცესი გლობალური დათბობის ფონზე, შეცვლილ კლიმატურ პირობებში მეტად გართულებულია. მიზეზი მავნებელ-დაავადებათა მავნეობის მაღალი ფონია რაც აფერხებს ახალად გაშენებული ვენახის განვითარების პირობებს. ვაზის ჩამოყალიბებისა და გავრცელების მაპროვოცირებელი ფაქტორი გლობალური დათბობის გავლენით

რ. ლორთქიფანიძე, თ. დოლიძე

არსებული მაღალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობაა.

საქართველოში მევენახეობა ძირითადად განვითარებულია ზომიერ და თბილ კლიმატის პირობებში. მაგ. საკვლევი ფართობის შემთხვევაში იმერეთის მუნიციპალიტეტ სოფ. დიმში, რომელიც დასავლეთ საქართველოს სპეციფიკურ ბიოკლიმატურ ნიადაგურ პირობებს მოიცავს და ნოტიო სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნება (ყუბანიშვილი 2015, 22-24). აქ გავრცელებული ყვითელმიწაწერ-ლებიანი ნიადაგები რთული რელიეფური პირობებით ხასიათდება. მის ჭარბტენიანობას, თიხა ბუნების გარდა, განაპირობებს ზედაპირული წყლების სიჭარბე და გრუნტის წყლის სიახლოვე. ჩამოყალიბებული გათიხებული ლევის ჰორიზონტი, უმეტესად მთელი პროფილის სიღრმეზე დაჰყვება დედაქანამდე ამ ტიპის ნიადაგებს. სწორედ ეს თვისებები განაპირობებს ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის არაოპტიმალური გარემოს ჩამოყალიბებას (ლორთქიფანიძე 1997, 52-57; ურუშაძე, ბაჯელიძე, ლომინაძე 2011, 372-378). რაც ვაზის გაშენებისათვის შემაფერხებელი გარემოა. არსებული ნიადაგურ-კლიმატური პროცესი აფერხებს საკვლევ ფართობზე გაშენებულ 2 წლიან ვაზის ნარგავის ზრდა-განვითარებას. წყალ-ჰაეროვანი რეჟიმის, ლევისა და ჭარბი ტენის ფონზე ვაზის ნერგებს განუვითარდათ ფესვის სიღრმე.

კლიმატური პირობების გავლენით: მაღალი ტენიანობისა და მაღალი ტემპერატურის ფონზე, ვენახს ფესვთა სისტემა სუსტად განუვითარდა, იმუნიტეტი დაეცა და გამოვლინდა ამ მიზეზით ჩამოყალიბებული - ჭრაქის გნვითარების მაღალი ფონი. საკვლევ ნაკვეთზე ნიადაგის ფიზიკო-მექანიკური თვისებების გასაუმჯობესებლად დავგეგმეთ და განვახორციელეთ აგრომელიორაციული ღონისძიებები. ნაკვეთზე მოეწყო ჭარბი ტენის მოსაცილებლად ნიადაგის ზედაპირიდან წყალგამტარი ღია არხები ვენახის ფესვთა სისტემის გავრცელების არეალის ქვემოთ (ლორთქიფანიძე, კელენჯერიძე 2015, 167-172).

ნიადაგის ქიმიური ანალიზის (ცხრილი №1) მონაცემებით არის რეაქცია PH - 5,5 სუსტი მჟავა, რაც ასუსტებს ვენახის მიერ საკვები ელემენტების შეთვისებას, მათ შორის, P-(ფოსფორი)-ის, რაც რიზოსფეროს ჩამოყალიბების მთავარი წყაროა. ანალიზის მონაცემებით დასტურდება, რომ ნიადაგში შესათვისებელ ფორმებში საკვები ელემენტები მცირე რაოდენობით არის. იმისთვის რომ ვაზმა სრულად შეითვისოს მიწოდებული ზრდა-განვითარებისათვის საჭირო საკვები ელემენტები, აუცილებელია PH-ის დონის კორექცია 5.5-იდან 6-მდე.

ცხრილი 1. ნიადაგის ქიმიური ანალიზი

ნიმუშის ლაბო- რატორიაში სარეგისტრაცი- ციის №	ნიმუშის საიდენტიფიკაციო მონაცემები		საკვები ელემენტები - %				ტენი %
			N (საერთო)	P ₂ O ₅ (საერთო)	K ₂ O (საერთო)	PH (H ₂ O)	
202300038/1	0-20 სმ	1	0,15	0,12	0,37	6,01	24,44
202300038/2	20-40 სმ	1	0,11	0,11	0,29	5,93	27,00
202300038/3	40-60 სმ	1	0,07	0,08	0,34	5,55	25,42

ცხრილი 2. ნიადაგის ქიმიური ანალიზი

ნიმუშის ლაბორატორიაში სარეგისტრაციო №	ნიმუშის საიდენტიფიკაციო მონაცემები		ჰუმუსი %
202300037/1	0-10 სმ	1	3,22
202300037/2	10-30 სმ	1	3,17

მეურნეობაში, საცდელ ნაკვეთზე საკვლევი ფართობი დავყავით სამ ნაწილად შემდეგი სქემის მიხედვით: I - საკონტროლო; II - ორგანული სასუქით (ნაკელით); III - კოდაჰუმუსით.

პირველი ნაკვეთი წარმოადგენს საკონტროლოს, პირობითი ყამირის სახით. მეორე ნაკვეთზე შევიტანეთ ორგანული სასუქი (მსხვილფეხა პირუტყვის ნაკელი) - გადამწვარი ნაკელის სახით. ცდაში ნაკელის საფენად გამოვიყენეთ ჩალა, ამით ჩვენს მიერ გამოყენებული ნაკელი გამოირჩეოდა კარგი ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებით. საკვები ელემენტები ნაკელში მცენარისათვის მიუწვდომელ ფორმებშია ჩახვანამდე, ჩვენ ნაკელის ზედაპირზე მოზნევის შემდეგ ჩახვანით ნიადაგში ღრმად მოტობლოკით. ნაკელის სწრაფ გახრწნაზე კი ნიადაგის არის რეაქციამ მოახდინა გავლენა, ვინაიდან გარემო ჩამოყალიბდა სუსტ მჟავედ და შედარებით სწრაფად გაიხრწნა, მჟავე ბუნება ანელებს ორგანული სასუქის შეთვისების პროცესს (კელენჯერიძე, კელენჯერიძე 2009, 8-15).

საკვლევი ფართობის მესამე ნაწილში ვაზის დარგვის შემდეგ ვაზის რიგთაშორისები და მწკრივთაშორისები დავამუშავეთ „კოდაჰუმუს 20“-ით. „კოდაჰუმუს 20“ არის ორგანული წარმოშობის პრეპარატი და ის ჰუმინის მჟავის ფუძეზეა დამზადებული. განკუთვნილია ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გასაუმჯობესებლად. „კოდაჰუმუს 20“ ხელს უწყობს რიზოსფეროში ბიოლოგიური პროცესების წარმართვას. ის არის ორგანული სასუქი, თხევადი ორგანული კოლექტორი ჰუმინის ექსტრაქტის ფუძეზე. მიღებულია ლეონარდიტისა და ფულვო მჟავებისაგან.

რ. ლორთქიფანიძე, თ. დოლიძე

„კოდაჰუმუს 20“ აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, მცენარისათვის ხელმისაწვდომს ხდის ნიადაგში შეუთვისებელი ფორმებით არსებულ საკვებ ელემენტებს, აუმჯობესებს მათ შეთვისების უნარს, ზრდის ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკრობების რაოდენობას და მათ მოქმედებას, ამით იზრდება ფესვის საერთო მასა და უმჯობესდება წყლის შეკავების უნარი.

დაკვირვება ვაწარმოვეთ სამივე ნაკვეთზე გაშენებულ ვაზის კულტურის ფენოლოგიურ ფაზებზე. მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა ეფექტიანი სასუქის ფორმა ყვითელმიწაწერ-ლებიან ნიადაგებზე.

საკვლევი ფართობის მესამე ნაწილზე დარგულ ვაზის კულტურაში „კოდაჰუმუსი 20“ შევიტანეთ ვაზის ცალკეულ ძირზე ორი ლიტრი, განზავების კონცენტრაციით 1 ლიტრი „კოდაჰუმუსი 20“ 500ლ წყალში კონცენტრაციით, სულ ოთხ ეტაპად: 1-ელი ეტაპი - 2023 წლის 26 აპრილს, ძირზე 2ლ; მე-2 ეტაპი - 2023 წლის 26 მაისს, ძირზე 2ლ; მე-3 ეტაპი - 2023 წლის 25 ივნისს, ძირზე 2,5ლ; მე-4 ეტაპი - 2023 წლის 21 ივლისს ძირზე 2,5ლ.

საკვლევ ფართობზე ვაზის წამლობები დავიწყეთ ადრე გაზაფხულზე. მთელი ვეგეტაციის განმავლობაში ვაწარმოებდით ახლად დარგული ვაზის კულტურაზე ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვებას და აღწერას. ყოველდღიურად ვახდენდით წინასწარ შერჩეულ ნერგების სიგრძის გაზომვას, ტოტის რაოდენობისა და სიგრძის ჩანიშვნას, ფოთლის, მტევნის რაოდენობის დათვლას, მტევნის წონისა და მარცვლის წონა-რაოდენობის გაზომვას. პროცესი გულისხმობდა ვიზუალური დათვალიერების ფონზე, სამ ნაწილად დაყოფილ ნაკვეთზე: ა) განსხვავებების გამოვლენას; ბ) ჩანიშვნას; გ) პრობლემების გამოკვეთას.

დაკვირვება, რომ გაგვადვილებოდა სამივე საცდელი ნაკვეთიდან მონიტორინგისათვის ავიღეთ ფართობის თავში, შუა ნაწილსა და ბოლოში, გარკვეული ვაზის ძირები, ამ პროცესმა ფართობზე გავრცელებული მიკროკლიმატი სრულიად მოიცვა. ცალკეულ ნაკვეთზე გაშენებული საკვლევი მცენარეები თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ. მოვნიშნეთ ცალკეული ძირები, აგროეკოლოგიური მონიტორინგისთვის აღებულ თითოეულ ძირს მივანიჭეთ ნაკვეთის შესაბამისი ნომერი. ყოველ მეორე დღეს ვზომავდით შერჩეული ნერგების ზრდა-განვითარებას, ვინიშნავდით ვიზალურ ცვლილებებს და ფოთლის რაოდენობას. მონიტორინგის დაწყებისას ზრდა-განვითარებისა და ფოთლის რაოდენობის მხრივ უკეთესობა გამოვლინდა III - ნაკვეთზე, „კოდაჰუმუს 20“-ით დამუშავებულ ნაწილზე. საშუალო ზომის ზრდით გამოვლინდა II- ნაწილი ფართობისა, რომელზეც შევიტანეთ ნაკელი. მათთან მცირე ზრდა-განვითარება და ფოთლის რაოდენობა ჰქონდა საკონტროლოდ აღებულ უსასუქო I- ნაკვეთზე დარგულ ვაზის ნერგებს.

02.05.2023-ში საკვლევი ფართობის ვიზუალური დაკვირვებისას შეიმჩნეოდა ჭრაქის მცირე ნიშნები: I -ნაკვეთში 1.1 ძირზე; II- სექტორში- 2.11 2.16 ძირებზე და III - სექტორში 3.3 და 3.4 ძირებზე; გავაგრძელეთ დაკვირვება. 06.05.2023-ში ჭრაქის მიერ დაავადებული მცენარეთა რიცხვი გაიზარდა, I- სექტორში ჭრაქით დაავადებული იყო 1.1 1.3 1.9 1.14 1.16 ძირები; II-სექტორში - 2.8 2.10 2.16 2.20 ძირები, ხოლო III- ნაკვეთზე 3.3 3.11 და 3.12 ძირებზე(ფოტო 1) (ფოტო 2). როგორც ჩანს დაკვირვებიდან ჭრაქის ყველაზე მეტი შემთხვევა საკონტროლო ნაკვეთზე გვქონდა, შემდეგ ნაკელით დამუშავებულ ნაწილში და მცირე შემთხვევა კოდაჰუმუსით გაჯერებულ ნაკვეთზე. 06.05.2023 დავამუშავეთ ეს ფართობი ტკიპაზე, ჭიაზე და ჭრაქზე კომბინირებული ნაზავით.

მაის-ივნისის თვეში მაღალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში ახალშენ ვენახში მოიმატა ჭრაქის შემთხვევებმა, იგი



ფოტო 1



ფოტო 2

რ. ლორთქიფანიძე, თ. დოლიძე

დავამუშავეთ ფუნგიციდ - „ზორვეკ ვინაბელით“. 29.05.2023-ში II-ნაკვეთზე, სადაც გადამწვარი ნაკელი გვქონდა შეტანილი, შეიმჩნეოდა ვაზის რიგთაშორისებში სოკო, რამაც ცხელ ზაფხულში ამ სექტორში გაშენებულ ვაზს დაეხმარა ცხელ ზაფხულს გამკლავებოდა, რადგან სოკოს ფესვებს (მიცელიუმს) აქვს წყლის შესრუტვის უნარი, რაც ნიადაგს ატენიანებს. 26.06.2023-ში მონიტორინგის მსვლელობისას ჭრაქის ყევაზე მეტი შემთხვევა სწორეს ნაკელით დამუშავებულ ნაწილში გვქონდა II-ნაკვეთში რაც ვეგეტაციის ბოლომდე გაგრძელდა. 08.08.2023-ში უკვე ჭრაქის აქტიური კერები აღარ შეინიშნებოდა. მონიტორინგის საერთო მონაცემების შეჯამებისას გამოიკვეთა, რომ ვაზის ზრდა-განვითარება II ნაკვეთზე გამორჩეულად გამოვლინდა (ცხრილი №3) (ჩაჩხიანი 2015: 69-42). „კოდაჭუმუს 20-ით“ III-ნაკვეთი მეორე ნაკვეთის მონაცემებზე დიდი სხვაობით არ გამოირჩეოდა (ცხრილი №4). I ნაკვეთზე (საკონტროლო) ვენახის ზრდა-განვითარება ჩამორჩენა გამოკვეთილად ჩამორჩა როგორც „კოდაჭუმუს 20-ით“ დამუშავებულ, ამასთანავე ნაკელით დამუშავებულ ვარიანტებს.

ცხრილი 3. მონიტორინგის საერთო მონაცემები

I №	I - ვაზის სიმაღლე (სმ)				II - ფოთლის რაოდენობა (ცალი)										
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
რიცხვი															
26.05. 2024	176	198	184	188	160	170	188	183	174	194	169	193	175	170	166
	16	17	16	18	18	17	19	19	18	17	19	19	17	18	17
02.06. 2024	223	195	225	216	201	200	219	222	217	236	211	241	218	215	201
	20	21	22	21	21	21	25	23	23	21	20	22	21	20	20
09.06. 2024	275	230	283	256	243	254	279	280	271	226	267	287	268	273	253
	24	26	29	28	28	29	31	28	28	30	27	27	28	26	26
16.06. 2024	295	300	330	290	298	301	310	350	305	330	347	310	370	337	307
	39	35	40	37	39	40	43	42	37	38	40	41	49	38	32
23.06. 2024	320	380	390	375	380	360	390	410	355	402	410	415	475	404	330
	37	43	48	45	47	49	51	50	50	51	50	53	60	49	40
30.06. 2024	355	415	441	402	400	392	415	440	386	441	441	456	510	468	344
	44	50	58	53	56	59	60	55	60	49	57	49	80	52	453

ცხრილი 4. მონიტორინგის საერთო მონაცემები

I	I - ვაზის ხიმაღლე (სმ)				II - ფოთლის რაოდენობა (ცალი)										
№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
რიცხვი															
26.05. 2024	173	204	162,5	133	196	181	166	172	153	195	175	192	155	191	191
	21	15	18	18	20	20	19	22	20	18	17	21	19	21	21
02.06. 2024	219	236	200	158	239	221	198	208	194	239	223	230	190	234	240
	21	16	20	21	21	23	22	24	22	23	19	23	22	21	26
09.06. 2024	271	293	252	198	287	274	243	259	247	287	276	295	241	270	291
	23	18	23	24	23	25	24	27	25	26	24	28	24	25	30
16.06. 2024	357	340	290	215	340	300	295	315	285	346	342	342	295	367	355
	32	28	28	29	32	31	32	36	35	37	35	36	35	38	39
23.06. 2024	410	395	320	235	405	355	310	365	305	417	378	395	325	408	425
	42	37	36	36	38	36	35	39	39	43	40	41	39	41	45
30.06. 2024	460	410	379	250	451	374	348	385	334	450	410	418	350	443	468
	57	51	45	41	59	47	49	48	42	53	55	56	51	49	55

მაგნებელ-დაავადებების კერების გააქტიურება პირველად II ნაკვეთზე გამოჩნდა. ამჟამად ნაკვეთზე ჭარბობდა ადრეული პერიოდიდანვე მაგნებელ-დაავადებათა მრავალსახეობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანული სასუქის რაციონალური გამოყენება ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის მიღების შესაძლებლობას იძლევა ამასთანავე მას თან ახლავს სხვადასხვა გართულებები, მაგ: არის მაგნებელ-დაავადების კერა, ბუდე.

საკვლევ ნაკვეთებზე წამლობები სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. სამივე ნაკვეთზე დარაიონებული ვაზის კულტურამ ვეგეტაციის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა საკვები ელემენტების დეფიციტი გამოავლინა. 01.06.2023-ში 1.13 ძირს აღენიშნებოდა ფოთლის კიდიდან სიყვითლეები, რაც 5 ივნისს უკვე შევნიშნეთ 1.1 1.2 1.3 1.5 და 1.7 ძირებზე მიმდინარე პროცესი თანდათან მასიურად შესამჩნევი ხდებოდა, ხოლო II და III ნაკვეთზე მხოლოდ რამოდენიმე ძირზე გამოვლინდა.

ვეგეტაციის პროცესზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა საკვები ელემენტების მიმართ მოთხოვნა შემდეგ ნაკვეთებზე: ყველაზე ნაკლებად გამოვლინდა III ნაკვეთზე. ყველაზე მეტად კი I და II ნაკვეთზე. მაგ: Ca ,Mg, Ka, Fe, P მიმართ დეფიციტი რაც აიხსნება ნიადაგში დაბალი ფიზიკური თვისებებით რომელიც აისახა დაბალი წყალ-ჰაეროვანი რეჟიმითა და სუსტი მჟავე რეაქციით (ლორთქიფანიძე, კელენჯერიძე, 2015: 32-36). ნიადაგში სუსტი მჟავე რეაქციის პირობებში - PH < 6.5-ზე ნიადაგში იბლოკება Fe, P, Al და მცენარესათვის შეუთვისებელია, P ნაკლებობა

რ. ლორთქიფანიძე, თ. დოლიძე

კი ფესვთა სისტემის ნაკლებად განვითარებას იწვევს, რაც კიდევ უფრო აზრკოლებს ნიადაგიდან საჭირო საკვები ნივთიერებების შეთვისებას.

2024 წლის სექტემბერში გავაკეთეთ განმეორებით ნიადაგის ქიმიური ანალიზი. II და III საკვლევ ფართობზე ცალ-ცალკე ავიღეთ ნიადაგის ნიმუშები საანალიზოდ და განგვესაზღვრეთ შეტანილი ორგანული სასუქების: ნაკელისა და კოდაჰუმუს 20-ის გავლენა ნიადაგის გაკულტურების ხარისხზე (ცხრილი 5, 6).

ცხრილი 5. ნიადაგის ქიმიური ანალიზი გადამწვარი ნაკელით

ნიმუშის ლაბორატორიაში სარეგისტრაციო №	ნიმუშის საიდენტიფიკაციო მონაცემები		ჰუმუსი %	Ph (წყალ- გამონაწერი)
202400363/1	ნაკვ.1	0-15 სმ	4,02	
202400363/2	ნაკვ.1	15-30 სმ	2,81	
202400363/3	ნაკვ.1	0-20 სმ		5,81
202400363/4	ნაკვ.1	20-40 სმ		5,80
202400363/5	ნაკვ.1	40-60 სმ		5,54

ცხრილი 6. ნიადაგის ქიმიური ანალიზი კოდაჰუმუს 20-ით

ნიმუშის ლაბორატორიაში სარეგისტრაციო ციფრა №	ნიმუშის საიდენტიფიკაციო მონაცემები		ჰუმუსი %	Ph (წყალგამონაწერი)
202400364/1	ნაკვ.2	0-15 სმ	2,73	
202400364/2	ნაკვ.2	15-30 სმ	2,36	
202400364/3	ნაკვ.2	0-20 სმ		6,32
202400364/4	ნაკვ.2	20-40 სმ		6,20
202400364/5	ნაკვ.2	40-60 სმ		6,09

ცხრილში მოტანილი კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გადამწვარი ნაკელის გამოყენებით ჰუმუსის პროცენტული შემცველობა გაიზარდა, 3% დან 4% მდე, არის რეაქციაზე მცირედ იმოქმედა (ცხრილი 5). ხოლო კოდაჰუმუსმა მეტი ზეგავლენა მოახდინა არეს რეაქციის ცვლილებაზე და სუსტი მჟავე ნიადაგი ნეიტრალისკენ დააკორექტირა (ცხრილი 6), თუმცა დასაწყისში ნიადაგის ჰუმუსიანობაზე მცირედ იმოქმედა. ცდის საფუძველზე ჩანს, რომ უკეთესია შევიტანოთ კოდაჰუმუსი, რადგან არის რეაქციის ცვლილებით ჰუმუსის კორექტირებას შევძლებთ, ხოლო ჰუმუსის შეცვლით ნიადაგის PH დიდად არ

შეიცვლება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2024 წლის ვეგეტაციის მანძილზე საკვები ელემენტების დეფიციტი არ გამოვლინებულა კოდაჰუმუსით დამუშავებულ ნაკვეთზე, რაც გულისხმობს, იმას, რომ ამ პრეპარატმა ნიადაგში ვაზისთვის ოპტიმალური გარემო შექმნა, კორექცია გაუკეთა PH-ს, ამით ნიადაგში არსებული საკვები ელემენტები მცენარისათვის ხელმისაწვდომი გახდა და მან მოახდინა სრულად ათვისება, რასაც ნაკელით დამუშავებულ ნაკვეთზე ვერ ვიტყვით.

კვლევის შედეგად გაუმჯობესდა საკვლევ ფართობზე, ყვითელ-მიწაწერლებიანი ნიადაგების ფიზიკური თვისებები, ეს ნიადაგები სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით უფრო პროდუქტიული გახდა, მოიმატა ნიადაგში ჰუმუსის დონემ და აქამდე არსებული საკვები ელემენტები, რომელიც მცენარესათვის შეუთვისებელ ფორმებში იყო, გარდაიქმნა შესათვისებლად. შესაძლებელი გახდა ყვითელმიწაწერლებიან ნიადაგებზე, ჭარბი ტენიისა და მძიმე მექანიკური თვისებების მიუხედავად ხარისხიანი პროდუქტის მიღება.

დასკვნა. 1. გადამწვარი ნაკელის შეტანით მცირე ჰუმუსიან ნიადაგზე გამოვლინდა ჰუმუსის პროცენტული გაუმჯობესება 3-დან 4%-მდე, რაც აისახა მოსავლის მატებით 122-დან 160 კგ-მდე; 2. კოდაჰუმუს 20-ის მოქმედებით გამოვლენილი არის რეაქციის ცვლილება PH 5,5-დან 6-მდე, რაც ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორების ოპტიმალურ პირობებს წარმოადგენს ვაზის კულტურისათვის იმერეთის რეგიონში: გაუმჯობესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები.

ლიტერატურა

- კელენჯერიძე, ნელი., კელენჯერიძე, ნინო. 2009. ორგანული სასუქები (დამხმარე სახელმძღვანელო აგროქიმიაში). თბილისი.
- ლორთქიფანიძე, როზა. 1997. იმერეთის ნიადაგები და სოფლის მეურნეობა. თბილისი.
- ლორთქიფანიძე, როზა., ხელაძე, მაია. 2015. აგროეკოლოგიური მონიტორინგი. ქუთაისი.
- ლორთქიფანიძე, როზა., კელენჯერიძე, ნინო. 2015. აგრომელიორაციის პრაქტიკული კურსი. ქუთაისი.
- ლორთქიფანიძე, როზა., კელენჯერიძე, ნინო. 2015. აგროლანდშაფტების მელიორაციული ტექნოლოგიები. ქუთაისი
- უშაძე, ბაჯელიძე, ლომინაძე. 2011. ნიადაგმცოდნეობა. ბათუმი.
- ყუბანეიშვილი, მაკა. 2015. მევენახეობა-მეზოსტენეობა. ქუთაისი.
- ჩაჩხიანი, ნუნუ. 2015. ვაზის კულტურის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ქუთაისი.

Agronomy and Plant Science

Climate-Smart Agro-Ecological Technologies in Viticulture

Roza Lortkipanidze

roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

Teona Dolidze

dolidze.teona@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.02>

The article analyzes research conducted on yellow-podzolic soils in a private farm located in the Bagdati Municipality of the Imereti region. The primary aim of the study was to enhance the physical and chemical properties of the soil to meet the agro-industrial requirements for grape cultivation. Another objective was to establish the productive properties of the soil for young vineyards in the context of climate change. The tasks included monitoring grapevine growth and development, identifying limiting factors, and mitigating their impact under the altered agro-landscape conditions caused by climate change. The study explores and selects effective agro-ecological technologies for the care and cultivation of grapevines in waterlogged soils of the Imereti region. It identifies reclamation methods for physically degraded waterlogged soils, outlines strategies to maintain the qualitative characteristics of grape varieties, and provides approaches to increase their productivity. Additionally, the article describes the research methods applied and presents the achieved results.

Keywords: Soil; Reclamation; Grapevine; Agro-Ecological Technologies.

Introduction. Climate-smart agricultural production is a significant direction within Georgia's agricultural conditions. In this context, the preservation of grape quality and its high productivity stands out as critical for vineyard cultivation (Lortkipanidze, Kheladze). This process becomes increasingly challenging in the context of global warming and altered climatic conditions. The primary obstacle is the high incidence of pests and diseases, which hinder the development of newly planted vineyards. Factors such as elevated temperatures and high humidity due to global warming further exacerbate the formation and spread of these issues.

Viticulture in Georgia is primarily developed in regions with temperate and warm climates. For instance, our research area is located in the village Dimi, Imereti Municipality, which belongs to the moist subtropical zone of western Georgia and features specific bioclimatic soil conditions (Kubaneishvili). The yellow-podzolic soils prevalent in this area are characterized by complex relief conditions. Their

waterlogged nature is influenced not only by their clayey composition but also by an abundance of surface water and proximity to groundwater. The compacted clay horizon, which often extends across the entire profile down to the parent rock, creates suboptimal conditions for the normal growth and development of grapevines (Lortkipanidze, Urushadze, Bajelidze, Lominadze). Such conditions present significant barriers to vineyard establishment.

The existing soil and climatic processes in the research area hinder the growth and development of two-year-old grapevine plantings. The combination of waterlogging, poor aeration, and clayey soil resulted in root rot development in the grapevine plants.

Under the influence of climatic conditions - specifically high humidity and elevated temperatures - the root systems of the vineyard were poorly developed, leading to weakened immunity and a high incidence of downy mildew. To improve the physical and mechanical properties of the soil in the research area, we planned and implemented agro-reclamation measures. Open drainage channels were constructed below the root zone of the grapevine to remove excess moisture from the soil surface (Lortkipanidze, Kelenjeridze).

According to the chemical analysis of the soil (Table 1), the pH is 5.5, which is slightly acidic. This acidity weakens the uptake of nutrients by the vineyard, particularly phosphorus (P), which is a key source for the formation of the rhizosphere. The analysis confirms that the available forms of nutrients in the soil are present in low quantities. To ensure the complete absorption of essential nutrients required for the growth and development of the grapevine, it is necessary to correct the soil pH from 5.5 to 6.0.

Table 1. Chemical analysis of soil

Sample laboratory registration number	Sample identification data		Nutrient elements - %			PH (H ₂ O)	Humidity %
			N (total)	P ₂ O ₅ (total)	K ₂ O (total)		
202300038/1	0-20 cm	1	0,15	0,12	0,37	6,01	24,44
202300038/2	20-40 cm	1	0,11	0,11	0,29	5,93	27,00
202300038/3	40-60 cm	1	0,07	0,08	0,34	5,55	25,42

Table 2. Chemical analysis of soil

Sample laboratory registration number	Sample identification data		Humus %
202300037/1	0-10 სმ	1	3,22
202300037/2	10-30 cm	1	3,17

In the farm, we divided the study area into three parts according to the following scheme:

1. I - Controlling; 2. II - With organic fertilizer (manure); 3. III - With “Kodahumus”.

The first plot is a control, in the form of conditional manure. On the second plot, we introduced organic fertilizer (poultry manure) - in the form of burnt manure. In the experiment, we used straw as a manure cover, so the manure we used was distinguished by good physicochemical and biological properties. The nutritional elements in the manure are in forms inaccessible to the plant before planting (4), we spread the manure on the surface and then deeply plow it into the soil with a motoblock. The rapid decomposition of manure was influenced by the soil reaction, since the environment was weakly acidic and decomposed relatively quickly, the acidic nature slows down the process of assimilation of organic fertilizer (Kelenjeridze, Kelenjeridze).

After planting the vines in the third part of the study area, we treated the inter-row and inter-row spaces of the vines with “Kodahumus 20”. “Kodahumus 20” is a preparation of organic origin and is made on the basis of humic acid. It is intended for improving the physical and chemical properties of the soil. “Kodahumus 20” helps to conduct biological processes in the rhizosphere. It is an organic fertilizer, a liquid organic collector based on humic extract. It is obtained from leonardite and fulvic acids. “Kodahumus 20” improves the soil structure, makes the nutrients in the soil available to the plant in unabsorbed forms, improves their absorption capacity, increases the number of beneficial microbes in the soil and their activity, thereby increasing the total mass of the root and improving the ability to retain water.

We observed the phenological phases of the vine culture grown on all three plots. Based on the monitoring, an effective form of fertilizer was identified on soils with yellow soil.

In the vine culture planted on the third part of the study area, we applied “Kodahumus 20” to each individual vine root, at a dilution concentration of 1 liter of “Kodahumus 20” in 500 liters of water, in a total of four stages: 1. Stage - April 26, 2023, 2L per plant; 2. Stage - May 26, 2023, 2L per plant; 3. Stage - June 25, 2023, 2.5L per plant; 4. Stage - July 21, 2023, 2.5L per plant.

On the research plot, grapevine treatments began in early spring. Throughout the growing season, we conducted observations and descriptions of the phenological phases of the newly planted grapevines. Daily, we measured the length of pre-selected seedlings, recorded the number and length of shoots, counted leaves and clusters, and measured the weight of clusters and the weight-radius of berries. The process was accompanied by visual inspections across the

three divided sections of the plot to: a) Identify differences; b) Make notes, and; c) Highlight problems.

To facilitate monitoring, specific grapevine plants were selected at the beginning, middle, and end of each test plot. This approach covered the microclimate across the entire area. The test plants in each section were subjected to uniform conditions. Each vine selected for agro-ecological monitoring was marked and assigned a plot-specific number. Every other day, we measured the growth and development of the selected seedlings, recorded visual changes, and noted the number of leaves.

At the start of monitoring, the best growth and leaf count were observed in Plot III, where the area was treated with “Kodahumus 20.” Moderate growth was noted in Plot II, where manure was applied. The lowest growth and leaf count were observed in the control Plot I, where no fertilizers were used.

On May 2, 2023, during a visual inspection of the research area, small signs of downy mildew were noticed: In Plot I: plant 1.1; In Plot II: plants 2.11 and 2.16; In Plot III: plants 3.3 and 3.4.

We continued our observations. By May 6, 2023, the number of plants infected by downy mildew had increased: In Plot I: plants 1.1, 1.3, 1.9, 1.14, and 1.16; In Plot II: plants 2.8, 2.10, 2.16, and 2.20; · In Plot III: plants 3.3, 3.11, and 3.12 (Photo 1, Photo 2).

From the observations, it became clear that the highest incidence of downy mildew occurred in the control plot, followed by the manure-treated plot, with the lowest occurrence in the Kodahumus-treated plot. On May 6, 2023, the area was treated with a combined mixture targeting mites, worms, and downy mildew.



Picture 1



Picture 2

During May and June, under conditions of high temperatures and humidity, cases of downy mildew increased in the newly planted vineyard. The vineyard was treated with the fungicide Zorvec Vinabel. On May 29, 2023, in Plot II, where decomposed manure had been applied, fungi were observed in the inter-row spaces of the vineyard. This fungus proved beneficial during the hot summer, as its roots (mycelium) have the ability to absorb water, thus keeping the soil moist.

By June 26, 2023, monitoring revealed that the highest incidence of downy mildew was in Plot II, which had been treated with manure. This pattern persisted until the end of the growing season. However, by August 8, 2023, no active downy mildew outbreaks were observed.

Summarizing the overall monitoring data, grapevine growth and development were most prominent in Plot II (Table 3) (Chachkhiani 2015: 69–42). The results from Plot III, treated with Kodahumus 20, showed no significant difference compared to Plot II (Table 4). However, in the control Plot I, grapevine growth and development lagged noticeably behind both the Kodahumus-treated and manure-treated plots.

Table 3. Comprehensive monitoring data

I	I - <u>Vine height (cm)</u>				II - <u>Number of leaves</u>										
Nº	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
Date															
26.05. 2024	176	198	184	188	160	170	188	183	174	194	169	193	175	170	166
	16	17	16	18	18	17	19	19	18	17	19	19	17	18	17
02.06. 2024	223	195	225	216	201	200	219	222	217	236	211	241	218	215	201
	20	21	22	21	21	21	25	23	23	21	20	22	21	20	20
09.06. 2024	275	230	283	256	243	254	279	280	271	226	267	287	268	273	253
	24	26	29	28	28	29	31	28	28	30	27	27	28	26	26
16.06. 2024	295	300	330	290	298	301	310	350	305	330	347	310	370	337	307
	39	35	40	37	39	40	43	42	37	38	40	41	49	38	32
23.06. 2024	320	380	390	375	380	360	390	410	355	402	410	415	475	404	330
	37	43	48	45	47	49	51	50	50	51	50	53	60	49	40
30.06. 2024	355	415	441	402	400	392	415	440	386	441	441	456	510	468	344
	44	50	58	53	56	59	60	55	60	49	57	49	80	52	453

Table 4. Comprehensive monitoring data

I	I - <u>Vine height (cm)</u>				II - <u>Number of leaves</u>										
Nº	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
Date															
26.05. 2024	173	204	162,5	133	196	181	166	172	153	195	175	192	155	191	191
	21	15	18	18	20	20	19	22	20	18	17	21	19	21	21
02.06. 2024	219	236	200	158	239	221	198	208	194	239	223	230	190	234	240
	21	16	20	21	21	23	22	24	22	23	19	23	22	21	26
09.06. 2024	271	293	252	198	287	274	243	259	247	287	276	295	241	270	291
	23	18	23	24	23	25	24	27	25	26	24	28	24	25	30
16.06. 2024	357	340	290	215	340	300	295	315	285	346	342	342	295	367	355
	32	28	28	29	32	31	32	36	35	37	35	36	35	38	39
23.06. 2024	410	395	320	235	405	355	310	365	305	417	378	395	325	408	425
	42	37	36	36	38	36	35	39	39	43	40	41	39	41	45
30.06. 2024	460	410	379	250	451	374	348	385	334	450	410	418	350	443	468
	57	51	45	41	59	47	49	48	42	53	55	56	51	49	55

რ. ლორთქიფანიძე, თ. დოლიძე

The activation of pest and disease hotspots was first observed in Plot II, where a variety of pest and disease species were prevalent from the early stages. It should be noted that the rational use of organic fertilizers provides an opportunity to produce environmentally safe products. However, it also comes with challenges, such as the potential for creating hotspots or breeding grounds for pests and diseases.

Treatments on the research plots continued until the end of September. Across all three plots, the zoned grapevine cultivars demonstrated various nutrient deficiencies at different stages of vegetation. On June 1, 2023, yellowing was observed along the edges of the leaves on vine 1.13. By June 5, the issue had expanded to vines 1.1, 1.2, 1.3, 1.5, and 1.7. This process gradually became widespread on Plot I, while only a few vines on Plots II and III showed similar symptoms.

Observations during the vegetation process revealed varying levels of nutrient demand among the plots. Plot III exhibited the least nutrient deficiencies, whereas Plots I and II showed the most. For instance, deficiencies in calcium (Ca), magnesium (Mg), potassium (K), iron (Fe), and phosphorus (P) were prominent. This is attributed to the soil's poor physical properties, which resulted in low water-air balance and slightly acidic reactions (Lortkipanidze, Kelenjeridze). Under slightly acidic soil conditions, with a pH below 6.5, nutrients such as Fe, P, and Al become immobilized, making them unavailable to the plants. In particular, phosphorus deficiency hinders the development of the root system, further limiting the plant's ability to absorb necessary nutrients from the soil.

In September 2024, a repeated chemical analysis of the soil was conducted. Soil samples were taken separately from Plots II and III for analysis to determine the impact of the applied organic fertilizers—manure and Kodahumus 20—on the improvement of soil quality (Tables 5 and 6).

Table 5. Chemical analysis of soil with Decomposed Manure

Sample laboratory registration number	Sample identification data		Humus %	Ph (extracted water)
202400363/1	Plot 1	0-15 სმ	4,02	
202400363/2	Plot 1	15-30 სმ	2,81	
202400363/3	Plot 1	0-20 სმ		5,81
202400363/4	Plot 1	20-40 სმ		5,80
202400363/5	Plot 1	40-60 სმ		5,54

Table 6. Chemical analysis of soil Treated with “Kodahumus 20”

Sample laboratory registration number	Sample identification data		Humus %	Ph (extracted water)
202400364/1	Plot 2	0-15 სმ	2,73	
202400364/2	Plot 2	15-30 სმ	2,36	
202400364/3	Plot 2	0-20 სმ		6,32
202400364/4	Plot 2	20-40 სმ		6,20
202400364/5	Plot 2	40-60 სმ		6,09

The analytical research results shown in the table demonstrated that using burned manure increased the humus percentage content from 3% to 4%, with a slight effect on pH reaction (Table 5). Meanwhile, Kodahumus had a greater impact on changing the pH reaction and adjusted the weakly acidic soil towards neutral (Table 6), although it initially had a minor effect on soil humus content. Based on the experiment, it appears better to apply Kodahumus, since we can adjust humus content through pH reaction changes, while changing humus content doesn't significantly affect soil pH. It's noteworthy that during the 2024 vegetation period, no nutrient deficiencies were observed in the Kodahumus-treated plot, implying that this preparation created an optimal environment for vines in the soil, corrected the pH, thereby making existing soil nutrients available to the plant for full absorption, which cannot be said for the manure-treated plot.

As a result of the research, the physical properties of yellow-podzolic soils within the study area have been enhanced. These soils have become more agriculturally productive, with an increase in humus content and the transformation of previously inaccessible nutrients into forms readily available for plant uptake. Despite their excessive moisture and heavy mechanical composition, it has become possible to cultivate high-quality agricultural products on these soils.

Conclusions: 1. Application of burned manure on low-humus soil showed improvement in humus percentage from 3% to 4%; this was reflected in yield increase from 122 to 160 kg; 2. Kodahumus-20's effect revealed a change in pH reaction from 5.5 to 6, which represents optimal soil-climatic conditions for vine cultivation in the Imereti region: soil physical properties improved.

სურსათმცოდნეობა

**ციცრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე
ჯანსაღი საკვების წარმოებაში**

დოდო თავდიდიშვილი

dodo.tavdidishvili@atsu.edu.ge

მანანა ფხაკაძე

manana.pkhakadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.03>

სტატიაში გაანალიზებულია მონაცემები საქართველოში ნაკლებად გავრცელებული ციცრის ხორცის ქიმიური შემადგენლობის და სასარგებლო თვისებების შესახებ, მათ შორის სხვა სახის ფრინველის ხორცთან შედარებით. შესწავლილია ციცრის ნაკლავის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ხვედრითი წილის განსაზღვრამ აჩვენა, რომ ციცარი გამოირჩევა ხორცის მაღალი გამოსავლიანობით. დადგენილია ციცრის ხორცის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რომლებიც მიუთითებს მის შესაბამისობაზე ხარისხოვანი ხორცისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან. მიღებული მონაცემები მეტყველებს ციცრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე დიეტურ კვებაში და ჯანსაღი საკვები პროდუქტების წარმოებაში.

საკვანძო სიტყვები: ციცრის ხორცი; ნაკლავის გამოსავლიანობა; ფუნქციურ-ტექნოლოგიური თვისებები; ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები.

შესავალი. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის მომარაგება ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მათ შორის ცხოველური ცილის დიდი რაოდენობით შემცველი ნედლეულით. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს მეფრინველეობის შემდგომი განვითარება მისი ნაკლებად გამოყენებადი ნაირსახეობების ჯანსაღი საკვები პროდუქტების წარმოებაში ჩართვით.

ბოლო წლებში მსოფლიოში მეწარმეების ყურადღებას იპყრობს ციცარი, რომელიც მეხორცეული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა რიცხვს მიეკუთვნება.

ციცარი (*Numida mellagris*) ქათმისებრთა რაზმის, ციცრისებრი ოჯახის წარმომადგენელია. შინაური ციცარი წარმოიშვა გარეული ჩვეულებრივი ციცრისაგან (*Numida mellagris galleata*). მისი სამშობლო

მადაგასკარი, დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაა. ლათინური სახელწოდება *Numida meleagris* მომდინარეობს უძველესი სახელმწიფოს ნუმიდის სახელიდან. ანტიკურ ხანაში ციცარი ძველ საბერძნეთში ძვ. წ. აღრ. V საუკუნეში მოხვდა, რაზეც მეტყველებს ხერსონესში აღმოჩენილი მოზაიკები. იგი გავრცელებული იყო ძველ რომშიც. XV-XVI საუკუნეში პორტუგალიელებმა ციცარი ევროპაში შემოიყვანეს, შემდეგ ის ამერიკაშიც გავრცელდა. სხვადასხვა დროს ციცარი სამეფო და წმინდა ფრინველად ითვლებოდა. აფრიკაში მას ასევე გენეფალებს ან კანგას უწოდებენ, იტალიაში ფარაონს ეძახიან (გიორგაძე... 2015, 18; ნაცვალაძე... 2024, 4).

დღესდღეობით მეციცრეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში, ბელგიაში, ინგლისში, აშშ-ში, ავსტრალიაში. ევროპის რიგ ქვეყანაში ციცარი ქათამზე პოპულარულია (ცაცაბაშვილი... 2020, 2; Rayan... 2022, 10).

საქართველოში მეციცრეობა, როგორც მეფრინველეობის დარგი, არ არსებობს. ციცარი ძირითადად მოშენებულია ზოგიერთ მეფრინველეობის ფერმაში და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში, თანაც მცირე რაოდენობით.

ციცრის სხეული გრძელი და ოვალურია, თავი შეუბუმბლავი, რქოვანა ბიბილოთი, თავის უკანა ნაწილი, კისერი და მკერდის ზედა ნაწილი შიშველია. ნისკარტის ქვემოთ აქვს მსხვილი წითელი და ცისფერი ფერის საყურეებისმაგვარი წამონაზარდები; ნისკატი მოკლე და მკვრივია; ფრთები საშუალო ზომის და მომრგვალოა, კუდი მოკლე, ტერფი დაბალი, დეზების გარეშე (ნაცვალაძე... 2024, 4).

ციცრის სახეობების უმეტესობას აქვს მუქი ნაცრისფერი ან შავი ბუმბული თეთრი ლაქებით. ამავე დროს აღსანაშნავია, რომ სელექციის შედეგად გამოყვანილია სხვადასხვა შეფერილობის ციცრის ჯიშები.

სხვა შინაური ფრინველისაგან განსხვავებით, მდედრი ციცრის მასა უფრო მეტია, ვიდრე მამრის. ზრდასრული მამრების ცოცხალი მასა 1,5-1,6 კგ-ია, მდედრის - 1,6 - 1,7 კგ. ციცარს სახორცედ ზრდიან 14-16 კვირის ასაკამდე.

ციცრის ტანხორცი ბევრად უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე ქათმის (*Musundire*... 2017, 7), მისი ზედაპირის მოლურჯო ელფერი ცხიმის მცირე შემცველობითაა განაპირობებული; კუნთოვანი ქსოვილი კი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ჰემოგლობინს (15%-ით მეტს, ვიდრე ქათამი), რაც ხორცს უფრო ინტენსიურ შეფერილობას ანიჭებს.

ციცრის ხორცი უფრო მკვრივი, მჭლე და მშრალია, ვიდრე ქათმის ხორცი. გემოთი ხოხბის ან ნანადირევის ხორცს წააგავს.

ციცრის ხორცის გამოყენება საკვების წარმოებაში განპირობებულია ცილების მაღალი შემცველობით, კარგად დაბალანსებული ამინომჟავური

დ. თავდიდიშვილი, მ. ფხაკაძე

შემადგენლობით, ცხიმების მცირე რაოდენობით, მინერალური ნივთიერებებისა და ვიტამინების მნიშვნელოვანი შემცველობით და დაბალი კალორიულობით (Кудряшов... 2018, 9; Полянских... 2010, 1).

ციცარი შეიცავს ნაკლებ ქოლესტერინს, ვიდრე ქათამი. ცხიმის შემცველობა მასში დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ქათმის და სამჯერ ნაკლებია, ვიდრე საქონლის ხორცში. ამასთან ერთად, ციცრის ხორცის კალორიულობა ქათმის ხორცის კალორიულობაზე საკმაოდ დაბალია.

ციცრის ხორცი შეიცავს ყველა შეუცვლელ ამინომჟავას, შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებს B1, B2, B5, B6, B9, B12, C და PP, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, სელენს, რკინას, იოდს და სხვა მინერალურ ნივთიერებას.

ციცრის ნაკლავში, ქათმის ნაკლავთან შედარებით, მეტია ხორცის გამოსავლიანობა (Batkowska... 2021, 10). საკვები ნაწილების გამოსავლიანობა 10-15 %-ით მეტია, სუბპროდუქტების - 0,8-1,0%-ით, კუნთოვანი ქსოვილის თანაფარდობა გამოშიგნული ნაკლავის მასასთან - 10-11%-ით, ხოლო თეთრი და წითელი ხორცის თანაფარდობა შესაბამისად არის 1:1,14 და 1:1,28 (Полянских... 2010, 4).

ამრიგად, ციცრის ხორცის სამომხმარებლო თვისებები და კვებითი ღირებულება მეტყველებს მის მკვეთრად გამოხატულ დიეტურ თვისებებზე.

ციცრის ხორცის მოხმარების უკუჩვენება შეიძლება იყოს პროდუქტის ინდივიდუალური აუტანლობა.

ციცრის ხორცი არ იწვევს ალერგიას, დადებით გავლენას ახდენს ნერვული, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაზე, ამაღლებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას, ანემიის და ავიტამინოზის პროფილაქტიკას, ქსოვილების რეგენერირებას. სასარგებლოა როგორც ფეხმძიმე ქალებისა და და ჩვილბავშვიანი დედებისათვის, ასევე ბავშვებისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის.

ყურადღებას იმსახურებს ციცრის კვერცხი, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ცხიმებს, ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს. მისი ნაჭუჭი უფრო სქელი და მტკიცეა, ვიდრე ქათმის კვერცხის, რის გამოც მისი შენახვა შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში (Rayan... 2022, 10).

ციცრები მდგრადია სხვა სახის ფრინველისათვის დამახასიათებელი დაავადებისადმი, ეგუება ნებისმიერ კლიმატურ და მოვლის პირობებს, მაგრამ მშიშარა და ხმაურიანი არიან.

გარდა იმასა, რომ ციცრებს მაღალხარისხოვანი ხორცი და კვერცხი გააჩნია, ისინი კენკავს ტკიპს, მატლებს, მწერებს და ანადგურებს კოლორადოს ხოჭოს, ასევე შესანიშნავი საშუალებაა ეზოს დასაცავად: იწყებენ ჭახჭახს, როცა ხედავენ ქვეწარმავალს, მტაცებელ ფრთხილებს და ნადირს (ცაცაბაშვილი... 2020, 2).

ზემოთ ანიშნულიდან გამომდინარე, ციცრის გაშენება და ჯანსაღი საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენება, მეტად პერსპექტიულია.

ფრინველის დაკვლისას ნაკლავში მიმდინარეობს რთული ფიზიკურ-ქიმიური და ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც აყალიბებს ხორცის სტრუქტურულ და გემოვნურ თვისებებს, მაგრამ იმავდროულად შეიძლება გამოიწვიოს ხორცის ხარისხის გაუარესება. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია დაკვლისთანავე ხორცის ვარგისიანობის მაჩვენებლების განსაზღვრა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ციცრის ხორცის ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოკვლევა.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევები ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

კვლევის ობიექტებად არჩეული იყო დასავლეთ საქართველოში მოშენებული ციკარი, რომლისასაკი შეადგენდა 15 კვირას (ციკარი შეძენილი იყო ქ. ქუთაისში, ინდმეწარმის მეურნეობაში). საერთოდმიღებული მეთოდიკით დაკლულ ციცრის ხორცს მოსამწიფებლად ვინახავდით $+4^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 24 სთ-ის განმავლობაში.

ციკრის ხორცის ხარისხის შეფასებას ვაწარმოებდით ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების საფუძველზე. ამისთვის ვსარგებლობდით ხორცპროდუქტების ანალიზისთვის საერთოდმიღებული, სათანადო სტანდარტებში, ნორმატიულ დოკუმენტებსა და სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი მეთოდებით.

სხვადასხვა ჯიშის ბოცვრის დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ხვედრით წილს ვსაზღვრავდით ნაკლავიდან არასაკვები ნაწილების მოცილების, ნაკლავის ანატომიურ ნაწილებად დაყოფის და მათი აწონვის შემდეგ გაანგარიშების გზით.

ციკრის ხორცის ფუნქციონალურ-ტექნოლოგიურ თვისებებს - წყლის შეკავშირების და წყლის შეკავების უნარს ვიკვლევდით გრეი და ჰამის მეთოდით, ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს სტანდარტის (ГОСТ 31470-2012...2013:43) თანახმად შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: არეს pH, აქროლადი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა (მგ KOH), სინჯი ბულიონში ცილის დაშლის პირველად პროდუქტებზე (რეაქცია CuSO_4 -თან), ამინომიკური აზოტის რაოდენობა (%), რეაქცია პეროქსიდაზაზე.

დ. თავდიდიშვილი, მ. ფხაკაძე

ცხრილებში და გრაფიკებზე მოყვანილია ჩატარებული ცდების მონაცემები, თითოეული მნიშვნელობა წარმოადგენს სამი განსაზღვრის საშუალოს.


კვლევის შედეგები და ანალიზი. დასახული მიზნის თანახმად, სამუშაოს პირველ ეტაპზე შევისწავლეთ ციგრის დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ხვედრითი წილი. მიღებული შედეგები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. ციგრის დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ხვედრითი წილი

პროდუქტები	მასა, გ	გამოსავლიანობა, %
ნაკლავის ცოცხალი მასა	1440,00 ±20,8	100
გამოშიგნული ნაკლავის მასა	1048,00	72,80
საკვები შიგნეული	56,60	3,93
ქონი კანით	151,80	10,54
თავი კისრის გარეშე	38,60	2,68
კისერი თავის გარეშე	29,80	2,07
ფეხები	36,00	2,50
ბუმბული	7,20	0,50
სისხლი	6,90	0,48
ნაწლავები შიგთავსით	57,60	4,00
კლოაკა	6,10	0,42
ელენთა	1,40	0,10

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ციგარი გამოირჩევა ნაკლავის მაღალი გამოსავლიანობით. გამოშიგნული ნაკლავის მასა შეადგენს მისი ცოცხალი მასის 72,8%-ს, საკვები შიგნეულის მასა - 3,38%, ხოლო ტექნიკური ნარჩენების მასა (სისხლი, ნაწლავები შიგთავსით, კლოაკა, ელენთა) შეადგენს ციგრის ცოცხალი მასის 5,0%-ს.

ციგრის საკვებ შიგნეულს მიეკუთვნება გული, კუნთოვანი კუჭი და ღვიძლი (ნახ. 1).



ნახ. 1. ციგრის საკვები შიგნეული.

გამოშინებული ციკრის ნაკლავის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების შეფასებამ აჩვენა, რომ გამოსაკვლევი ციკრის ხორცის გარეგნული სახე, კონსისტენცია, ფერი და სუნი შეესაბამება ხარისხობრივი ფრინველისადმი სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებს (ცხრ.2).

ცხრილი 2. ციკრის ხორცის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები


მაჩვენებლები	მაჩვენებლების დახასიათება
გარეგნული სახე	ნაკლავის ზედაპირი მშრალი, კანი თხელი, ღორწოს გარეშე; მკერდის ფორმა მომრგვალო; ნაკლებად გამოკვეთილი მკერდის ძვლის ქედი; კანქვეშა ცხიმის გროვები მუცელზე და წვეტილი ზოლის სახით ზურგზე; მუცლის ღრუს სეროზული გარსი ტენიანი და პრილა, პათოლოგიური წარმონაქმნების გარეშე
კონსისტენცია	მკვრივი, ელასტიური
ფერი, კუნთოვანი ქსოვილი, კანი, კანქვეშა და შიგა ცხიმი	წითელი მოლურჯო ელფერი ზურგზე, ფრთებზე, თეძოებსა და ფეხებზე მოყვითალო
სუნი	სფეციფიკური, ახალი ხორცისთვის დამახასიათებელი
კუნთის ჭრილის სტრუქტურა	კარგად განვითარებული, ოდნავ ტენიანი, წითელი, თითის დაჭერისას წარმოიქმნილი ღრმული სწრაფად ივსება
სინჯი ბულიონზე	ბულიონი გამჭვირვალე, არომატული, ფანტელებისა და ნალექის გარეშე

ნებისმიერი სახის ხორცის ტექნოლოგიური თვისებების დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფუნქციურ-ტექნოლოგიურ თვისებებს, როგორიცაა წყლის შეკავშირების უნარი, წყლის შეკავების უნარი და ცხიმის შეკავების უნარი.

მე-2 ნახაზზე წარმოდგენილია ამ მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები ციკრის ხორცის გულმკერდის და ბარძაყის კუნთებში.

მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მაღალია გულმკერდის კუნთებში (რის გამოც გულმკერდის ხორცი უფრო მკვრივი და მშრალია), მაგრამ ორივე სახის კუნთში არის ხარისხიანი ხორცისადმი წაყენებული ნორმის ფარგლებში.

დ. თავდიდიშვილი, მ. ფხაკაძე



ნახ. 2. ციფრის ხორცის ფუნქციურ-ტექნოლოგიური თვისებები ციფრის ხორცის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლისას.

განვსაზღვრეთ მათი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა არეს pH, რეაქცია პეროქსიდაზაზე, სინჯი ბულიონში ცილის დაშლის პირველად პროდუქტებზე, აქროლადი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა, ამინომჟავური აზოტის რაოდენობა (ცხრილი 3).

ცხრილი 3. ციფრის ხორცის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	დასაშვები ნორმა	საკონტროლო ნიმუში
pH	5,7- 6,2	5,95±0,26
რეაქცია პეროქსიდაზაზე	დადებითი	დადებითი გამონაწვლილმა სწრაფად შეიცვალა ფერი ლურჯი- მწვანიდან მღვრიე ყავისფერამდე
სინჯი ბულიონში ცილის დაშლის პირველად პროდუქტებზე (რეაქცია CuSO_4 -თან)	უარყოფითი	უარყოფითი გამჭვირვალე გამონაწვლილი
აქროლადი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობა (მგ KOH)	4,5 მლ KOH	3,12 ± 0,16 მლ KOH

ამინოამიკური აზოტის რაოდენობა (რეაქცია ნესლერის რეაქტივით)	უარყოფითი	უარყოფითი მომწვანო-ყვითელი ფერის გამჭვირვალე გამონაწვლილი
---	-----------	--

ცხრილის ანალიზი მიუთითებს, რომ ლპობის მიკროფლორისადმი ხორცის მდგრადობის განმსაზღვრელი pH-ის სიდიდე არ აღემატება სტანდარტით დადგენილ ნორმას. ნორმის ფარგლებშია ასევე ხორცის სიახლის განმსაზღვრელი აქროლადი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობაც და ხორცის კეთილხარისხოვნების განმსაზღვრელი ამინოამიკური აზოტის შემცველობა. სინჯი ცილების პირველადი დაშლის პროდუქტებზე ბულონში იყო უარყოფითი, ხოლო რეაქცია პეროქსიდაზაზე - დადებითი, რაც მოწმობს რომ ხორცი მიღებულია ჯანსაღი ცხოველისაგან, რადგან ფერმენტი პეროქსიდაზა ხორცის ყველა სინჯში იყო აქტიური. ხორცის გამონაწვლილი ნესლერის რეაქტივის დამატების შემდეგ ყველა შემთხვევაში რჩებოდა გამჭვირვალე.

დასკვნები. 1. საქართველოში ციცრის ხორცის ფართოდ გამოყენების მიზნით შესწავლილია მისი დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტების ასორტიმენტი და ხვედრითი წილი, ნაკლავის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები, ციცრის ხორცის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები;

2. დადგენილია, რომ ციცარი გამოირჩევა ხორცის მაღალი გამოსავლიანობით;

3. დადგენილია, რომ ციცრის ხორცის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შეესაბამება ხარისხოვანი ხორცისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

4. მიღებული მონაცემები მიუთითებს ციცრის ხორცის გამოყენების მიზანშეწონილობაზე დიეტურ კვებაში და ჯანსაღი საკვების წარმოებაში.

ლიტერატურა

გიორგაძე, ა. 2015. ციცარი - ბიოლოგიური თავისებურებები, ჯიშები, მოვლა-შენახვა, კვრცხის ინკუბაცია, კვება, დაავადებები (რეკომენდაციები). თბილისი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ნაცვალაძე, კ. 31.08. 2024. ციცარი - ციცრის კვრცხის ინკუბაციის ორი რეჟიმი.

დ. თავდიდიშვილი, მ. ფხაკაძე

- ცაცაბაშვილი, დ. 2020. ციკარი: მოშენება, ინკუბაცია, გასტრონომიული თვისებები. <http://fermeri.ge › articlespage>
- Batkowska, J., Drabik, K., Karwowska, M. at al. 2021. „Growth performance and meat quality of meat-type guinea fowl fed different commercial diets“. *Archives Animal Breeding*, 64(2):325-334. <https://doi.org/10.5194/aab-64-325-2021>
- Musundire, MT., Halimani, TE., Chimonyo, M. 2017. „Physical and chemical properties of meat from scavenging chickens and helmeted guinea fowls in response to age and sex Brit.“ *Poultry Sci.*, 58:390–396. <https://doi.org/10.1080/00071668.2017.1313961>
- Rayan, GN., Mansour, A., Fathi, MM. 2022. „Comparative study of egg and meat quality of guinea fowl under different tropical regions: a review“. *Brazilian Journal of Poultry Science*. 24(04). 2022-1677. <https://doi.org/10.1590/1806-9061-2022-1677>
- ГОСТ 31470-2012. 2013. Мясо птицы.субпродукты и полуфабрикаты из мяса птицы. Методы органолептических и физико-химических исследований. Москва Стандартинформ. 43с. <https://docs.cntd.ru/document/1200096484>
- Кудряшов, Л. С., Кудряшова, О. А., Забиякин, В. А., Забиякина, Т. В. 2018. Пищевая и биологическая ценность мяса цесарок, содержащихся в малочисленной группе и условиях фермерского хозяйства. *Вестник Марийского государственного университета*; 4(1):15-23. <https://www.elibrary.ru/item.asp?id=32785700>
- Полянских, С.В., Ковалев, Д.Ю., Пузина, Е.В., Браташ, И.В. 2010. Оценка качества мяса цесарок применительно к технологии продуктов функционального питания. *Современные наукоемкие технологии*. 3: 66-69. <https://top-technologies.ru>

Food Science

On the feasibility of using guineafowl meat in the production of healthy food

Dodo Tavdidishvili

Dodo.Tavdidishvili@atsu.edu.ge

Manana Pkhakadze

Manana.Pkhakadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.03>

The article analyzes data on the chemical composition and beneficial properties of the less common guinea fowl meat in Georgia, including in comparison with other types of poultry meat. The organoleptic characteristics of the guinea fowl carcass have been studied. The determination of the share of the products obtained as a result of slaughter showed that guinea fowl is distinguished by high meat yield. The functional-technological and physico-chemical properties of guinea fowl meat have been determined, which indicate its compliance with the requirements for high-quality meat. The obtained data indicate the feasibility of using guinea fowl meat in dietary nutrition and in the production of healthy food.

Keywords: guinea fowl meat; carcass yield; functional-technological properties; physico-chemical characteristics

Introduction. In modern society, it is essential to provide the population with environmentally friendly high-quality agricultural products, including raw materials containing high levels of animal-based protein. The solution to this problem will be facilitated by the further development of poultry farming by including its less commonly used species in the production of healthy food, which is expected to help solve this problem.

In recent years, the attention of entrepreneurs around the world has been drawn to the guinea fowl, which belongs to the group of poultry of meat direction.

The guinea fowl (*Numida mellagris*) is a member of the chicken group, of the guinea fowls family.

The house guineafowl originated from the wild common guineafowl (*Numida mellagris galleata*). It is native to West and South Africa and Madagascar. The Latin name *Numida meleagris* comes from the name of the ancient state of Numidia. In ancient times, the guineafowl was introduced to ancient Greece in the 5th century BC, as evidenced by mosaics found in Chersonese. It was also widespread in ancient Rome. In the 15th-16th centuries, the Portuguese brought

დ. თავდიდიშვილი, მ. ფხაკაძე

the guineafowl to Europe, and then it spread in also America. At various times, the guineafowl was considered a royal and sacred. In Africa, it is also called the kanga, and in Italy it is called the pharaoh.

Nowadays, guineafowl farming is of industrial importance in France, Italy, Hungary, Belgium, England, the USA, and Australia. In a number of European countries, the guineafowl is more popular than chicken.

In Georgia, guineafowl farming as a branch of poultry farming does not exist. The guineafowls are mostly bred on some poultry farms and in peasant farms, and in small quantities.

The body of guinea fowl is long and oval, the head and neck are bare. It has a horn-like process on the crown; a red and blue fleshy wattles at the bill; the bill is short and stout; the wings are medium sized and rounde, the tail is short, the feet are low.

Most species of guineafowl have a dark grey or blackish plumage with dense white spots. However, it is noteworthy that guineafowl breeds of various colors have been bred as a result of selection.

Live weight of adult males is 1.5-1.6 kg, females 1.6-1.7 kg.

Guinea fowl are ready to eat at 14 to 16 weeks of age.

Guineafowl meat is much darker in color than chicken. The bluish tint of its surface is due to the low fat content; muscle tissue contains a significant amount of hemoglobin (15% more than chicken), which gives the meat a more intense color.

Guinea fowl meat is firmer, leaner and drier than chicken meat, tastes like wild game, much like pheasant meat tastes.

Use of Guinea fowl meat in food production is conditioned by high content of proteins, well-balanced amino-acid composition, low amount of fats, considerable quantity of mineral substances and vitamins and low caloric value.

Guinea fowl contains less cholesterol compared to chicken; the fat content in it is roughly twice less than that in chicken and three times less than that in beef.

Guinea meat lower in calories than chicken. Among poultry, only turkey is lower in calories.

Guinea fowl meat contains: all essential amino acids, essential fatty acids, vitamins B1, B2, B5, B6, B9, B12, C and PP, potassium, calcium, magnesium, selenium, iron, iodine and other minerals.

In the carcass of a guinea fowl, the yield of meat and edible parts is 10-15% higher than in the chicken carcass, the yield of by-products is 0.8-1.0%, the ratio of muscle tissue to the mass of the eviscerated carcass is 10-11%, and the ratio of white and red meat is 1:1.14 and 1:1.28, respectively.

Thus, the consumer properties and nutritional value of guinea fowl meat indicate its pronounced dietary properties.

Contraindication to its use may be individual intolerance of the product.

Guinea fowl meat does not cause allergies, has a positive effect on the functioning of the nervous, cardiovascular systems and gastrointestinal tract, improves immunity, helps to normalize the metabolism, contributes to the prevention of anemia and avitaminosis, and tissue regeneration. It is useful for pregnant women and mothers with infants, as well as for children and the elderly.

Guinea fowl eggs are also considered a healthy food product, they contain significant amounts of fats, vitamins and minerals. Their shell is thicker and stronger than chicken eggs, which is why they can be stored for a longer period of time (Rayan... 2022, 10).

Guinea fowls are considered more resistant to disease than other domestic galliform birds. They will adapt in most climates, but are shy and very noisy. Guinea fowls consume ticks, worms, insects, slugs and also hate the Colorado potato beetle; they are an excellent way to protect the yard: they start chirping when they see reptiles, birds of prey and game.

Based on the above, guinea fowl breeding for the purpose of using them in the production of healthy food products is very promising.

During the slaughter of poultry, complex physicochemical and biochemical processes occur in the carcass, which form the structural and taste properties of the meat, but simultaneously can lead to a deterioration in the quality of the meat. Therefore, it is very important to determine the suitability of the meat immediately after the slaughter.

The research aims to investigate the organoleptic and physicochemical properties of guineafowl meat.

The objects and methods of study. The studies were carried out in the laboratories of the Department of Food Technologies of Akaki Tsereteli State University.

The object of the study was guinea fowl bred in western Georgia aged 5 weeks.

The guinea fowl meat slaughtered according to generally accepted methodology was stored at a temperature of +4°C for 24 hours.

We assessed the quality of guinea fowl meat on the basis of organoleptic and physical-chemical indicators. To this end, we used generally accepted methods of the analysis of meat products described in the appropriate standards, normative documents and special literature.

The share of products obtained as a result of the slaughter of guinea fowl, the yield capacity of anatomical parts remained after technological disintegration of

the slaughtered carcass were determined by calculating after removing non-food products from slaughtered carcass, disintegration of carcass into several parts and after they are weighted.

We studied the functional-technological properties of guinea fowl meat - water binding capacity and water retention capacity by method of Grau and Hamm, the physical-chemical properties by State Standard according to the following indicators: pH medium, amount of volatile fatty acids (mg/KOH), test for primary products of decay of proteins in the broth (reaction with CuSO₄), amount of amino-ammoniac nitrogen (%), the reaction of peroxidase.

Tables and graphs illustrate the data of the experiments performed, each value is a mean of at least five determinations.

Research results and analysis. At the first stage of the work, we identified the share of products obtained as a result of the slaughter of guinea fowl.

Studies have shown that guinea fowl is distinguished by high yield capacity. The yield of eviscerated carcass was 72,8% (% of live weight), the yield of other products (% of live weight) was: edible offal - 3,93 % (heart - 0,48, liver - 1,92, muscular stomach - 1,53) skin with subcutaneous fat - 10,54, head - 2,68, neck - 2,07, foot - 2,5.

The organoleptic evaluation of the eviscerated carcass showed that the carcass has thin skin, dense consistency; the shape of the breast is rounded, the sternum ridge is not pronounced. Subcutaneous fat deposits are visible - on the abdomen and in the form of a broken strip on the back; the skin on the back, wings, thighs and legs has a bluish tint; the color of the muscle tissue is red, subcutaneous and internal fat is yellowish; well-developed muscles are elastic and moderately moist, the cavity formed after pressing with a finger quickly fills. The serous membrane of the thoracic-abdominal cavity is moist and shiny, without pathological formations. The membrane of the abdominal cavity is moist and shiny; the carcass has a specific smell characteristic of fresh meat.

When determining the technological properties of any type of meat, great importance is attached to functional-technological properties such as water binding capacity, water retention capacity and fat retention capacity. Analysis of the obtained data shows that these indicators are higher in the chest muscles, but both types of muscles are within normal limits set for quality meat.

When studying the physical-chemical properties of meat, we determined their significant indicators, such as pH medium, reaction of peroxidase, test for primary products of decay of proteins in the broth, amount of volatile fatty acids and amount of amino-ammoniac nitrogen.

An analysis of the data contained shows that pH value determining the stability of meat relative to decomposing microflora in experimental samples

does not exceed the norms and standards. In addition, the amount of fatty acids that determine the freshness of meat and the amino-ammoniac nitrogen content defining the goodness of meat are also within the limits of the standards, the test for primary products oddecay of proteins in the broth was negative, but the reaction of peroxidase was positive, indicating that the meat was produced by healthy animal, since the enzyme peroxidase was active in all samples of meat. The broth, after adding the Nessler's reagent, remained transparent.

Thus, the physical-chemical indicators of guinea fowl meat meet the quality requirements of meat.

Conclusions. 1. In order to promote wider use of guinea fowl meat in Georgia, the assortment and share of products obtained as a result of its slaughter, organoleptic characteristics of the carcass, functional-technological and physico-chemical indicators of guinea fowl meat have been studied.

2. It has been established that guinea fowl is distinguished by high meat yield.

3. It has been established that the functional-technological and physico-chemical indicators of guinea fowl meat meet the requirements for high-quality meat.

4. The obtained data indicate the feasibility of using guinea fowl meat in dietary nutrition and in the production of healthy food.

სურსათმცოდნეობა

პასტილის ახალი ასორტიმენტი ჩიას თესლის გამოყენებით

გულნარა ხეცურიანი

gulnara.khetsuriani@atsu.edu.ge

ირმა ბერულავა

irma.berulava@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.04>

მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის, მათი ცხოვრების ტემპის აჩქარებისა და მკვეთრად გაუარესებული გარემოს პირობების გამო, მნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის კვების სტრუქტურა. თანამედროვე საკვები პროდუქტების უმრავლესობა სამწუხაროდ გაჯერებულია ადამიანის ორგანიზმისთვის საფრთხის შემცველი ქიმიკატებით. მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ჯანსაღი და უსაფრთხო საკვები პროდუქტების წარმოებას, ცხიმისა და შაქრის ნაკლები შემცველობით, ასევე სინთეზური წარმოშობის ტექნოლოგიური დანამატების ბუნებრივით ჩანაცვლებას. დღეისათვის საკმაოდ დიდ დაინტერესებას იწვევს მცენარეული წარმოშობის დანამატები, რომლებიც შეიცავენ ვიტამინებს, მიკრო- და მაკროელემენტებს, უჯერ ცხიმოვანებს, საკვებ ბოჭკოებს. ასეთი დანამატების გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ ახალი პროდუქტები, რომლებსაც აქვთ მაღალი კვებითი ღირებულება, კარგი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები და შესაბამისი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები. ამ თვალსაზრისით, მეტად აქტუალურია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული, ფუნქციური დანიშნულების პასტილის ტექნოლოგიის შემუშავება. ამ მიზნით შერჩეული იქნა ჩიას თესლი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საუკეთესო ორგანოლეპტიკური და ფიზიურ-ქიმიური მაჩვენებლებით ხასიათდება ნაწარმი, რომლის რეცეპტურაში დავამატეთ ჩიას თესლი ვაშლის პიურეს 6% -ის ოდენობით.

საკვანძო სიტყვები: ჩიას თესლი, პასტილა, ტექნოლოგიური რეგლამენტები, ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

შესავალი. ბოლო ორი ათწლეული ხასიათდება ფუნქციური საკვები პროდუქტების წარმოების ზრდის ტენდენციით, რაც ითვალისწინებს წარმოებაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის გამოყენებას.

დადგენილია, რომ ადამიანის დაავადებების უმეტესობა გამოწვეულია მეტაბოლური დარღვევების შედეგად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დადასტურდა ჰიპოთეზა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის ცხოვრების წესს შორის დამოკიდებულების თაობაზე, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს საკვები.

თანამედროვე პირობებში ჯანსაღი კვების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ საკვები არა მხოლოდ უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილებას ძირითად ნუტრიენტებზე, არამედ უნდა ჰქონდეს მაღალი ბიოლოგიური ღირებულება, პროფილაქტიკური და სამკურნალო დანიშნულებაც.

ფუნქციური პროდუქტების ხარისხი ფასდება მიზნობრივი ფიზიოლოგიური ზემოქმედებით, მაღალი კვებითი ღირებულებითა და შესაბამისი საგემოვნო თვისებებით.

ზემოაღიშნულიდან გამომდინარე, დღეისთვის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტებით ადგილობრივი ბაზრების უზრუნველყოფა, უნარჩენო ტექნოლოგიებზე გადასვლა და ეკოლოგიურ პირობებზე მინიმალური ზემოქმედება.

საკონდიტრო ნაწარმი დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. მათ შემცველობაში მცირე რაოდენობითაა ცილები, საკვები ბოჭკოები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები, ხოლო ნახშირწყლები და ცხიმები კი დიდი ოდენობით, რაც მათ მაღალ კალორიულობას განაპირობებს. საკონდიტრო ნაწარმის გადაჭარბებული მოხმარებისას ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, რომელსაც თან სდევს მრავალ დაავადებათა შორის სიმსუქნე და დიაბეტი. ამიტომაც დღეისათვის მაღალი ბიოლოგიური ღირებულების საკონდიტრო ნაწარმის შექმნა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ჯანსაღი კვებისადმი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტის განახლება მასში ბუნებრივი მცენარეული ნედლეულის დამატებით, რაც არამარტო ამცირებს საკონდიტრო ნაწარმის კალორიულობას, არამედ ამდიდრებს მას ადამიანის ორგანიზმისათვის ღირებული და სასარგებლო ნივთიერებებით.

საკონდიტრო წარმოების პერსპექტიულ ნედლეულს წარმოადგენს ჩიას თესლი (*Salvia hispanica* L.), რომლის მაღალი კვებითი პოტენციალი განპირობებულია მის შემადგენლობაში ბიოლოგიურად ღირებული ცილების, ცხიმოვანი მჟავების, საკვები ბოჭკოების, ვიტამინებისა, მინერალების და ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი სხვა

მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებების შემცველობით (Shydakova-Kameniuka ... 2020, Shydakova-Kameniuka ... 2021, Romankiewicz ... 2017).

ჩიას თესლს მაიასა და აცტეკების ოქროსაც უწოდებდნენ, რადგან ის მათი მთავარი საკვები იყო (ჩია ... 2019). უკანასკნელ წლებში ჩიას თესლი ძალიან პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში და დღეს მრავალი ადამიანის ყოველდღიურ რაციონშია. ჩიას თესლში თავმოყრილია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის საჭირო მინერალები სპილენძი, რკინა, მანგანუმი, მაგნიუმი, კალციუმი. ისინი დიდ როლს ასრულებენ უჯრედებისა და სისხლის წითელი ზურთულაკების რეგენერაციაში, ხელს უწყობენ ტვინისა და ნერვიული სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ანტიოქსიდანტი სელენი კი იცავს უჯრედებს და ანელებს დაბერების პროცესს (Shydakova-Kameniuka ... 2021, Romankiewicz 2017).

ჩიას თესლი შეიცავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვიტამინების უმრავლესობას. A ვიტამინი აუცილებელია თვალებისა და იმუნური სისტემისათვის. B ჯგუფისა - ნივთიერებათა ცვლისა და ნერვიული სისტემისათვის, კანისა და თმისათვის. C აძლიერებს იმუნურ სისტემას და აქვს ანთების საწინააღმდეგო თვისება. E იმუნურ სისტემასთან ერთად ძალიან სჭირდება სისხლძარღვებსა და კუნთოვან ქსოვილს (Shydakova-Kameniuka ... 2021, Romankiewicz ... 2017).

ჩიას თესლის შემადგენლობაში კალციუმი ხუთჯერ მეტია ვიდრე რძეში, ორჯერ მეტია ცილა ვიდრე ყველსა და ყველა სხვა მარცვლოვანში, ორჯერ მეტია კალიუმი ვიდრე ბანანში და ა.შ. ჩიას მარცვლის ხანგრძლივი მიღება აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აქვეითებს არტერიულ წნევას, აძლიერებს გულის კუნთს, აქვეითებს სისხლში ცუდი ქოლესტერინის დონეს და ძალიან კარგია გულისსხლძარღვთა დაავადებების პრევენციისათვის (Shydakova-Kameniuka ... 2021).

ჩიას თესლზე, როგორც პერსპექტიულ საკვებ ინგრედიენტზე მოთხოვნა დღიდან დღემდე იზრდება. ევროპაში ჩიას თესლის გამოყენება 2009 წლიდან დაიწყო მხოლოდ ფქვილოვან პროდუქტებში (Romankiewicz ... 2017). დღეისათვის დამუშავებულია ჩიას თესლის გამოყენებით ფქვილოვანი ნაწარმის, რძის პროდუქტების, ხორცპროდუქტების, მაკარონისა და სხვა საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები, მათი კვებითი ღირებულების ამაღლების მიზნით (Shydakova-Kameniuka ... 2021, Romankiewicz ... 2017, Senna ... 2024).

შაქროვანი საკონდიტრო ნაწარმის ერთერთ მოთხოვან ჯგუფს წარმოადგენს პასტილა - მარმელადის ნაწარმი, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები. სამუშაოს მიზანია ფუნქციური დანიშნულების პასტილის ახალი ასორტიმენტის შემუშავების მიზნით

ჩვენს მიერ შერჩეული პასტილის საკონტროლო ნიმუშის რეცეპტურაში ჩიას თესლის დამატების შესაძლებლობა და დასამატებელი ჩიას თესლის ოპტიმალური ოდენობის დადგენა.

1. შევისწავლეთ პასტილის რეცეპტურაში ჩიას თესლის შეტანის შესაძლებლობა ფუნქციური დანიშნულების პასტილის ასორტიმენტის გაფართოების მიზნით;

2. დავადგინეთ პასტილის რეცეპტურაში დასამატებელი ჩიას თესლის შეტანის ფორმა და ოპტიმალური დოზირება;

3. შევიმუშავეთ ფუნქციური დანიშნულების პასტილის ახალი ასორტიმენტის რეცეპტურა და ტექნოლოგია;

4. განვსაზღვრეთ მიღებული ახალი ასორტიმენტის პასტილის ნაწარმის ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

მასალები (კვლევის ობიექტი) და მეთოდები. კვლევები ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. კვლევის ობიექტად არჩეული იქნა: ჩიას თესლი (შპს „ჯეოს“ პროდუქცია, შემოტანილი პარაგვაიდან), ტრადიციული რეცეპტურით დამზადებული პასტილის საკონტროლო ნიმუში, რეცეპტურა №82 პასტილა „ჟოლოს“ (Рецептуры ... 1974, 96-97). ჩიას თესლით გამდიდრებული საცდელი ნიმუშები 1, 2, 3 და 4, შესაბამისად რეცეპტურაში ვაშლის პიურეს ოდენობის 2, 4, 6 და 8% ჩიას თესლის დამატებით.

საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ხარისხის ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები განვსაზღვრეთ აღნიშნულ ნაწარმზე არსებული სტადარტის მოთხოვნების შესაბამისად.

შედეგები და მათი განხილვა. ჯანსაღი საკვები პროდუქტის ახალი ასორტიმენტის შემუშავების მიზნით შევირჩიეთ პასტილის რეცეპტურა აგარის ფუძეზე, რომლის მომზადების ტექნოლოგია არ ითვალისწინებს რეცეპტურული კომპონენტების, კერძოდ ვაშლის პიურეს გაცხელებას მაღალ ტემპერატურაზე, ამიტომ მიგვაჩნია რომ შესაძლებელია ჩიას თესლის კვებითი ღირებულების მაქსიმალური შენარჩუნება.

ჩვენ მიერ შერჩეული პასტილის საკონტროლო რეცეპტურის ძირითადი კომპონენტებია: შაქრის ფხვნილი, ბადაგი, აგარი, ვაშლის პიურე, კვერცხის ცილა.

პასტილის წარმოება აგარის ფუძეზე მოიცავს შემდეგ სტადიებს: ნედლეულის მომზადება, შაქარ-აგარ-ბადაგიანი სიროფის მომზადება, ვაშლის პიურე-შაქრის ნარევის მომზადება, ცილის დამატება და პასტილის მასის შედღეობა, მომზადებული მასების შერევა, დაფორმება, მასის დაყოვნება - გაცივება და სტრუქტურის წარმოქმნა, შეშრობა, მასის დაჭრა ფორმებად და დაფასოება-შეფუთვა (ხეცურიანი 2022).

გ. ხეცურიანი, ი. ბერულავა

შაქარ-აგარ-ბადაგიანი სიროფი მოვამზადეთ 100 წილი შაქრის, 50 წილი ბადაგისა და 2,8 წილი აგარის შეხარშვით, რისთვისაც აგარი წინასწარ გავხსენით აგარის მასის 4-ჯერადი ოდენობის წყალში გაჯირჯვების მიზნით. მზა სიროფის მშრალი ნივთიერებების საბოლოო შემცველობაა 88-89%. სიროფის ტემპერატურა - 85-86°C.

პასტილის საკონტროლო ნიმუშის მასის მომზადებისათვის გამოვიყენეთ კარგი ჟელირების უნარის მქონე ვაშლის პიურე 12-17% მშრალ ნივთიერებების შემცველობით. ვაშლის პიურე ავიღეთ შაქართან შეფარდებით 1:1, ნარევს დავუმატეთ რეცეპტურით გათვალისწინებული კვერცხის ცილა, მიღებული პასტილის მასა შევდღვიბეთ, დავუმატეთ შაქარ-აგარ-ბადაგიანი სიროფი და შერევის დასრულებისთანავე მოვახდინეთ პასტილის მასის დაფორმება სპეციალურ ხონჩებში პლასტებად ჩამოსხმით. ხონჩები მოვათავსეთ გამაცივებელ საკანში 8-10°C ტემპერატურაზე 15-18წთ-ის განმავლობაში, რა დროსაც მიმდინარეობს ჟელირების პროცესი. შემდგომ გაშრობისა და გარსის წარმოქმნის მიზნით ხონჩები დავაყოვნეთ ლაბორატორიულ პირობებში 20-25°C-ზე 6-8 სთ-ის განმავლობაში. გაცივებისა და გაშრობის შემდეგ ზედაპირზე მივაყარეთ შაქრის ფქვილი და დავჭერით ძელაკის ფორმებად ზომით 70X21X20 მმ. დავაწყვეთ ხონჩებზე რიგებად ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რიგებს შორის ჰაერის თავისუფალი ცირკულაცია. ბოლოს მოვახდინეთ ნაწარმის დაფასოება და შეფუთვა. მზა პასტილაში მშრალი ნივთიერებების შემცველობა შეადგენს 80-82%.

პასტილის საცდელი ნიმუშების მომზადება ვაწარმოეთ საკონტროლო ნიმუშის მომზადების ანალოგიური თანმიმდევრობით, იმ განსხვავებით რომ ვაშლის პიურეში შაქრის დამატებამდე შევიტანეთ ვაშლის პიურეს ოდენობის 2, 4, 6 და 8% ჩიას თესლები, როგორც მთლიანი ასევე დაფქვილი სახით. მიღებული ნარევები დავაყოვნეთ ლაბორატორიულ პირობებში 3-4სთ-ის განმავლობაში. შემდეგ პროცესი ყველა ნიმუშის მომზადებისთვის გავაგრძელეთ საკონტროლო ნიმუშის მომზადების ანალოგიურად. მთლიანი ჩიას თესლისაგან მომზადებულ ნიმუშებში ორგანოლექტიკური შეფასების დროს ვიზუალურად პასტილის მასაში შეიმჩნეოდა ჩიას თესლების არსებობა მუქი, წერტილოვანი ჩანართების სახით, ხოლო დაფქვილი თესლის გამოყენებით მიღებულ ნიმუშებში არ იყო შესამჩნევი საკონტროლო ნიმუშთან შედარებით. ამიტომ შემდგომი კვლევები გავაგრძელეთ მხოლოდ დაფქვილი ჩიას თესლის გამოყენებით მიღებულ ნიმუშებზე.

შევისწავლეთ დაფქვილი ჩიას თესლის გამოყენებით მომზადებული პასტილის ნიმუშების ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური

მაჩვენებლები (ხეცურიანი, ხუციძე 2022). შედეგები ნაჩვენებია 1-ელ ცხრილში.


ცხრილი 1. ჩიას თესლის გამოყენებით მომზადებული პასტილის ნაწარმის ხარისხის ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	საკონტროლო ნიმუში	საცდელი ნიმუშები ჩიას თესლის დამატებით, %			
		2	4	6	8
ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები					
გემო და სუნი	ქოლოს სასიამოვნო არომატით	ქოლოს სასიამოვნო არომატით	ქოლოს სასიამოვნო არომატით	ქოლოს სასიამოვნო არომატით	ქოლოს სასიამოვნო არომატით
ფერი	ღია ქოლოსფერი,	ღია ქოლოსფერი,	ღია ქოლოსფერი,	ოდნავ მუქი ქოლოსფერი,	შედარებით მუქი ქოლოსფერი,
კონსისტენცია	რბილი	რბილი	რბილი	რბილი	რბილი, ოდნავ წელვადი
სტრუქტურა	ერთგვაროვანი	ერთგვაროვანი	ერთგვაროვანი	ერთგვაროვანი	ერთგვაროვანი, ოდნავ წელვადი
ფორმა	დეფორმაციის გარეშე	დეფორმაციის გარეშე	დეფორმაციის გარეშე	დეფორმაციის გარეშე	დეფორმაციის გარეშე
ზედაპირის მდგომარეობა	ერთგვაროვანი, მოცემული დასახელების ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი	ერთგვაროვანი, მოცემული დასახელების ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი	ერთგვაროვანი, მოცემული დასახელების ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი	ერთგვაროვანი, მოცემული დასახელების ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი	ერთგვაროვანი, მოცემული დასახელების ასორტიმენტისათვის დამახასიათებელი
ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები					
ტენიის მასური წილი, %	19,30	19,28	19,26	19,24	19,22
სიმკვრივე, გ/სმ³	0,78	0,81	0,84	0,88	0,92
მარილმჟავას 10%-იან ხსნარში უხსნადი ნაწილის მასური წილი, %	0,040	0,040	0,042	0,043	0,044

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ყველა საცდელი ნიმუშის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს გარდა ბოლო ვარიანტისა, სადაც 8% ჩიას თესლის დამატების შემთხვევაში ნაწარმის კონსისტენცია არის შედარებით მუქი ფერის, უფრო მკვრივი და ოდნავ წელვადი. ამავე დროს იგივე ნიმუშში სიმკვრივის მაჩვენებელი აღემატება სტანდარტის მოთხოვნით გათვალისწინებულ ოდენობას (ნახ. 1). აღნიშნული შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ჩიას თესლის ვაშლის

გ. ხეცურიანი, ი. ბერულავა

პიურეში 3-4 საათით დაყოვნების შემდეგ ვაშლის პიურეს მასა ხდება უფრო ბლანტი ვიდრე საწყისი მასაა, რაც შესაძლებელია აიხსნას ჩიას თესლის გაჯირჯვების უნარით და შესაბამისად მიღებული მასის გაზრდილი სიმკვრივით. დანარჩენ ნიმუშებში როგორც ორგანოლეპტიკური, ასევე ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შეესაბამება აღნიშნულ ნაწარმზე არსებული სტანდარტის მოთხოვნებს.



ნახ. 1. პასტილის მასის სიმკვრივეზე ჩიას თესლის დამატების გავლენა.

ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ რეცეპტურაში 6%-ის ოდენობით ჩიას თესლის დამატებით მიღებული პასტილის ახალი ასორტიმენტი როგორც ორგანოლეპტიკური ასევე ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით აკმაყოფილება აღნიშნულ ნაწარმზე არსებული სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ჩიას თესლის დამატება ამდიდრებს ნაწარმს ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო მთელი რიგი ნუტრიენტებით და შესაბამისად ანიჭებს მას პროფილაქტიკურ და ფუნქციურ თვისებებს.

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. პასტილის რეცეპტურაში ჩიას თესლის შეტანა უმჯობესია დაფქვილი სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი თანაბარი განაწილება პასტილის მასაში, მომხმარებლისთვის როგორც ვიზუალური ისე კვებითი ღირებულებისა და სასარგებლო თვისებების მაქსიმალური შენარჩუნების მიზნით.

2. საცდელი ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება ნიმუში, რომელშიც ჩიას დაფქვილი თესლი დამატებული იქნა ვაშლის პიურეს 6%-ის ოდენობით.

3. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ჩვენ მიერ შემუშავებული პასტილის ახალი ასორტიმენტი ჩიას დაფქვილი თესლის დამატებით შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანისათვის სასარგებლო ნატურალურ და ამავე დროს ფუნქციურ საკვებ პროდუქტებს.

ლიტერატურა

- ხეცურიანი, გ. 2022. საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია. ნაწ. 1. შაქროვანი საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია. ქუთაისი, 2022.
- ხეცურიანი, გ., ხუციძე, ც. 2022. შაქროვანი ნაწარმის ტექნოლოგია და ხარისხი. ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებები. ქუთაისი, 2022. „ჩია – მაიასა და აცტეკების ოქრო“. ჟურნალი ავერსი, N166(2019).
- <https://www.aversi.ge/ka/cnobar/2036/chia-maiasa-da-actekebis-oqro>
- ICO 67.180.10. *Sugar and sugar products. Including molasses, sweets, sugar confectionary, honey, etc.*
- ISO 12824: 2016. *Royal jelly - Specifications.*
- Shydakova-Kameniuka, O., Samokhvalova, O., Shkoliaev, O., Grevtseva, N. 2021. „Study of the effect of chia seeds (*Salvia Hispanica* L.) on structural-mechanical characteristics of a cream-blown paste for candies.“ *BIO Web of Conferences* 30, 01019 (2021). https://www.researchgate.net/publication/368016716_
- Shydakova-Kameniuka, O., Shkoliaev, O., Samokhvalova, O., Artamonova, M. 2020. „Harnessing the technological potential of chia seeds in the technology of cream-whipped candy masses.“ *Eastern-European Journal of Enterprise Technologies*. 2(11 (104)), 2020: 52-60.
- Santos Fernandes, S., Myriam de las Mercedes Salas-Mellado. 2017. „Addition of chia seed mucilage for reduction of fat content in bread and cakes.“ *Food Chemistry*. Volume 227, 2017.
- <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0308814617300869>
- Senna, C., Soares, L., Buranelo Egea, M., Santos Fernandes, S. 2024. *The Techno-Functionality of Chia Seed and Its Fractions as Ingredients for Meat Analogs*. 2024. <https://www.mdpi.com/1420-3049/29/2/440>
- Romankiewicz, D., Hassoon, W. H., Cacak-Pietrzak, G., Sobczyk, M., Wirkowska-Wojdyia, M., Cegliska A., Dziki, D. 2017. „The Effect of Chia Seeds (*Salvia hispanica* L.) Addition on Quality and Nutritional Value of Wheat Bread.“ *J. Food Qual.*, 2017 (2017), <https://doi.org/10.1155/2017/7352631>
ყოველივე ეს კი, შედეგია იმისა, რომ ჰესიოდე სრულიად შეგნებულად ცდილობს, რომ გამოკვეთოს თავისი თვალსაზრისი პრომეთეს შეფასებაში, აზრი, რომელიც ზევსს ამართლებს ამ კონფლიქტის ყველა ეტაპზე. გამართლებულია ზევსის ყველა მოქმედება, მათ შორის, უმკაცრესი სასჯელიც.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მითი პრომეთეზე იძლევა ტიტანის მოქმედების შეფასების ორგვარ საშუალებას - მისი დახმარება ადამიანებისთვის ან კარგია, ან ცუდი, ზევსთან წინააღმდეგობის გამო, ჰესიოდე კი სრულიად გარკვევით ირჩევს პრომეთეს სახის წარმოდგენისას მისი მოქმედების ნეგატიურად შეფასების გზას. სწორედ ეს არის პრომეთეს მითოლოგიური სახის გააზრების და ინტერპრეტაციის ის გზა, რომელიც ბერძენმა ეპიკოსმა შესთავაზა მსოფლიო მწერლობას და რომელსაც, მოგვიანებით, ძვ.წ. V საუკუნეში, სხვათაშორის, იმავე სიუჟეტის ფარგლებში, ისე, რომ არაფერს შეცვლის სიუჟეტის მხრივ, თავდაყირა დააყენებს ესქილე ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“.

ლიტერატურა

- გორდეზიანი, რ. 2019. *ბერძნული ლიტერატურა*, „ლოგოსი“, თბილისი.
- ჰესიოდე. 2013. *სამუშაონი და დღენი*, თარგმნა გიორგი კახიშვილმა, „ლოგოსი“, თბილისი.
- Fritz, K. 2019. *Pandora, Prometheus and Mythos in World Literature*, London-Berlin.
- Heitsch, E. 2003. *Prometheus and Hesiod*, Oxford.
- Hesiod. 1989. *Works and Days*, ed. with Prolegomena and Commentary by M. L. West, Oxford at the Clarendon Press.

- Hesiod. 1979. *Theogony*, ed. with Prolegomena and Commentary by M. L. West, Oxford at the Clarendon Press.
- Kirka, G.S. 1976. *Myth, its Meaning and Functions in Ancient and other Cultures*, Cambridge University Press.
- Prado, W.D. 2001. „The Philosophy of Prometheus“, *Journal of the Warburg Institutes*, Warburg.
- Raizis, M.B. 1981. *From Caucasus to Pittsburgh*, „Gnosis“.
- Sechon, L. 1999. *Myth of Prometheus*, Cambridge University Press.
- Wehrly, F. 1989. *Hesiod's Prometheus*, Darmstadt.

Classics

Myth and Interpretation: Hesiod

Nino Chikhladze

nino.chikhladze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.07>

The information about Prometheus is organized in accordance with certain worldview principles of Hesiod. Hesiod's starting point is: Zeus is the supreme god, the guardian of truth, and because of this, opposing him is a sin that deserves just punishment. In such a situation, it is natural to expect that the myth of Prometheus will be presented by this author as an illustrative example of his concept. How does Hesiod manage to do this? There could have been two ways to realize the idea: 1. Reworking the myth itself; 2. Leaving the myth objectively, and interpreting key passages in a unique way.

Keywords: myth, interpretation, Epic, Hesiod, Prometheus.

The identification of mythical patterns, the discovery of divine presence, of underlying ritual structures in specific literary works and their comparison with universal archetypes is one of the main interests of modern literary criticism. The reasons and problems that accompany such critical processes, we believe, will best be revealed through a number of cases in which myth is used as a means of interpretation and expression. I will begin with the simplest type - when there is a correlation between an aspect of the plot or character of the work and its mythical prototype. I will try to clarify this on the example of the interpretation

5. ჩიხლაძე

of the myth of Prometheus in the works of the Greek epic poet of the 8th-7th centuries BC, Hesiod.

The myth of Prometheus is very old, and the figure of the Titan in this myth is quite complex and multifaceted. His first mention in literary writing is found in Hesiod's poems "Theogony" and "Works and Days". The myth of Prometheus quite easily falls into the poet's sphere of interest, primarily because the poet, who created the genealogy of the gods and brought them into a single system, could not ignore such an ancient deity as Prometheus. In addition, the myth of Prometheus gave the poet a good opportunity for interpretation, expression of his own worldview and philosophical deepening, and the myth of Prometheus, who disobeyed Zeus and was severely punished for this disobedience, would have served Hesiod well. The myth would have been a good confirmation of Zeus' power and supremacy.

Hesiod's attitude towards the character of Prometheus is largely determined by the author's own attitude towards Zeus. Therefore, it is necessary to clarify at the very beginning the place of Zeus in Hesiod's concept. The god of thunder is for Hesiod a powerful, co-ruling deity who rules the world and protects truth. He is the guardian of law, the most powerful immortal, the inspirer and commander of all things. Accordingly, any confrontation with Zeus causes a negative reaction for Hesiod.

Hesiod's attitude towards the character of Prometheus is largely determined by the author's attitude towards Zeus himself. Therefore, it is necessary to clarify the place of Zeus in Hesiod's concept at the very beginning. He is the guardian of law, the most powerful immortal, the inspirer and commander of all things. Accordingly, any confrontation with Zeus causes a negative reaction for Hesiod.

The lines depicting the so-called Prometheus episode occupy a rather important place in Hesiod's poems ("Theogony" - 507-616, "Works and Days" - 47-105). Today, there is no dispute in science that these parts of the text of the poems belong to Hesiod. Only the lines related to Hercules cause controversy. Some consider it a late interpolation because of the discrepancy between lines 523-533 or 516 of the Theogony: in 523-533 Hesiod speaks of the liberation of Prometheus from Heracles, while in 616 he informs us that Prometheus is still chained to the pole. Raizis sees no contradiction between these two passages. Hesiod does not say that Heracles freed the Titan from his chains. He merely killed the eagle and ended the torment inflicted on the tortured by this bird of prey. The counterargument is given: what was the point of Heracles killing the eagle if Prometheus remained unfreed? This is not a strong argument. Zeus allowed Heracles to kill the evil predator because Zeus wanted to glorify his son.

It would be unwise to explain away anyone's sins with Zeus's own words. Nor is the text saying that the Supreme forgave Prometheus. He still has to be punished, although in later versions Heracles completely slays the Titan.

The myth of Prometheus is complex according to Hesiod. It includes, or rather, surrounds the myth of Pandora. It is followed by a second important set of myths. This is the story of a human race, the connection of which with the myth of Prometheus is not immediately apparent, but becomes clear if we turn to Eastern sources.

Hesiod's information, it seems, included everything in the "Theogony", but the poet does not convey the mythological information about Prometheus chronologically. He first tells us about the outcome of the development of events, and later informs us about the cause of this outcome. Information about Prometheus is distributed over two poems so that one is not a simple continuation of the other. The stories merge and complement each other.

Information about Prometheus is organized in accordance with certain worldview principles of the author. Hesiod's starting point is the proposition: Zeus is the supreme god, the guardian of truth, and because of this, opposing him is a sin that deserves just punishment. In such a situation, it is natural to expect that the myth of Prometheus will be presented by this author as an illustrative example of his concept. How does Hesiod manage to do this? There could have been two ways to realize the idea: 1. Reworking the myth itself; 2. Leaving the myth objectively, and interpreting the key passages in a unique way.

In our opinion, Hesiod could not ignore the fact that Prometheus was already popular and a supporter of people in Hesiod's time. In addition, the titan, who managed to deceive Zeus himself several times, had to be portrayed by the poet as a worthy enemy of the Supreme, otherwise, Hesiod himself would have made the reader or listener doubt the omnipotence and supremacy of Zeus, and all the epic poet's attempts to justify Zeus and blame Prometheus would have ended in failure.

Therefore, logical contradictions arise from the fact that Hesiod left the myth in its old form, but changed the structure of the relationship of functions. To do this, he introduced into the traditional story some such corrections that create this logical deadlock. All this is due to the fact that Hesiod is quite consciously trying to express his point of view in the assessment of Prometheus, an opinion that justifies Zeus at all stages of this conflict. All actions of Zeus are justified, including the most severe punishment.

Finally, the myth of Prometheus, perhaps, provides two ways of evaluating the actions of the titan - his help to people is either good or bad, due to his opposition to Zeus.

5. ჩიხლაძე

Hesiod quite clearly chooses the path of negatively evaluating his actions in presenting the image of Prometheus. From the opposition of the negative and positive potentially existing in the mythological image of Prometheus, Hesiod unilaterally chooses only the negative. This is precisely the way of understanding and interpreting the mythological image of Prometheus that the Greek epic offered to world literature.

ანტიკური ლიტერატურა

**სატირიზებული ფილოსოფიური იდეები არისტოფანეს
„დრუბლებში“**

ვერა წერეთელი

tsereteli.vera@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.08>

არისტოფანეს „დრუბლების“ მთავარი შტრიხია სერიოზული ფილოსოფიური იდეების გაშარჟება. არისტოფანე ცდილობს, აბსურდულად მოგვაჩვენოს სოფისტური აზროვნება და გამოიწვიოს კომიკური ეფექტი. მთავარი პრობლემა ისაა, რომ კომედიის პერსონაჟებს არ აქვთ საკმარისი ფილოსოფიური განათლება, რაც ვლინდება მათ ვითომ არგუმენტირებულ, ძალად ფილოსოფიურ მსჯელობებში და მკითხველი რწმუნდება, რამდენად სასაცილოა ადამიანი, რომელიც სერიოზულად საუბრობს იმ საკითხებზე, რომელთა არსი სათანადოდ ვერ გაუაზრებია.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური კომედია, არისტოფანე, „დრუბლები“ ფილოსოფია, სატირა.

არისტოფანე სოკრატეს მიაწერს სხვადასხვა სამეცნიერო თეორიას, რომლებიც ჩვენთვის სიცილის მომგვრელია, თუმცა ზოგ მათგანს ანტიკურ ეპოქაში რეალურად ჰყავდა მხარდამჭერები ათენელთა შორის. ფაქტობრივად, ეს ის პერიოდი იყო, როცა ათენი მოიცვა მეცნიერულმა თეორიებმა. მიუხედავად იმისა, რომ იონიელმა ფილოსოფოსებმა ერთი საუკუნით ადრე დაიწყეს ბუნების შემსწავლელი თეორიების შექმნა, ათენში ძვ. წ. V საუკუნეში იწყება ინტერესი ამ თეორიების მიმართ. ეს ის პერიოდია, როცა ათენში მცირე აზიიდან ჩამოვიდა ანაქსაგორასი, რომელსაც, სავარაუდოდ, შესწავლილი ჰქონდა იონიელი ფილოსოფოსების თეორიები. იგი ათენში დასახლდა და პერიკლესის მეგობარი გახდა. მან შექმნა ბუნების შემსწავლელი სრულყოფილი ფილოსოფიური თეორიები. მაგალითად, ანაქსაგორასი ამბობდა, რომ მზე, მთვარე, ვარსკვლავები არის ქვები, მაგრამ ისინი იმიტომ ანათებს, რომ ცხელია. მანვე განმარტა მრავალი სტიქიური მოვლენის არსი, როგორიცაა: მიწისძვრა, ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, ქარი (წიგნში: დიოგ. ლაერტ. 2.9).

3. წერეთელი

ფილოსოფოსის აზრით, ჭექა-ქუხილს იწვევს ღრუბლების შეჯახება. სწორედ ამ მოსაზრებას აშარჟებს არისტოფანე, რომელიც სოკრატეს მიაწერს ამ იდეას, მაგრამ ღრუბლების შეჯახება, რომელსაც ნაზი სიო იწვევს, მისი აზრით, არის ჭექა-ქუხილის ანაქსაგორასეული ახსნა-განმარტების მოკლე შეჯამება.

შემდგომი მეცნიერი, რომლის თეორიასაც იყენებს არისტოფანე თავის კომედიისათვის „ღრუბლები“, არის ჰიპონ რეგიელი, იონიელ ფილოსოფოსთა სკოლის წარმომადგენელი, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფერი შეიქმნა ქარისა და ცეცხლისაგან (არისტ. ღრუბ. 95–97).

არისტოფანეს კომედიაში სატირიზებული მეცნიერული იდეების მთავარი წყარო, ალბათ, იყო დიოგენეს აპოლონიელი, ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც მოღვაწეობდა ძვ. წ. V საუკუნეში. მან შექმნა თეორიები, რომლებშიც გაერთიანებული იყო სხვადასხვა ფილოსოფოსთა მოსაზრებები, როგორებიც იყვნენ: ანაქსიმენესი, ჰერაკლიტოს ეფესელი, ანაქსაგორასი, ლევკიპოსი.

დიოგენესის ყველაზე ცნობილი თეზაა ჰაერისა და აზროვნების ერთმანეთთან დაკავშირება. როგორც ვიცით, როცა ადამიანი სუნთქვას წყვეტს, სიცოცხლეც სრულდება, მაგრამ, დიოგენესი ამბობდა, რომ როცა სუნთქვა წყდება, აზროვნებაც ჩერდება.

დაახლოებით მსგავს თეორიას ავითარებს თეოფრასტოსი, როცა ამბობს, რომ ადამიანი აზროვნებს სუფთა და მშრალი ჰაერის მეშვეობით, რადგანაც ტენიანობა აფერხებს აზროვნებას. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანი ძილში უფრო ნაკლებს ფიქრობს, ასევე მაშინ, როცა ნასვამია, ან კარგად დანაყრებული. ადამიანი სწორედ იმიტომაც ცხოველებზე უფრო გონიერი, რომ ცხოველები უფრო ახლოს არიან მიწასთან და ნესტიან ჰაერს შეისუნთქავენ. ასევე, ისინი უფრო ნესტიან საჭმელს ჭამენ (თეოფრ. ალთქ. შეს. 44).

ეს მოსაზრება ძალიან ჰგავს კომედია „ღრუბლებში“ 227–233 სტრიქონებში მოყვანილ აზრებს, როცა სოკრატე ჰაერშია და მიწას მოშორებული, თუმცა, აქ აზრები არაა იდენტური: სოკრატე ფიქრობს, რომ აზრების „ტენიანობა“ მიიზიდება დედამიწის მიერ, ხოლო დიოგენე კი, თეოფრასტოსის ცნობით, დედამიწის ტენიანობას მიიჩნევდა გონებისთვის საზიანოდ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ორივე მათგანი ერთი და იმავე თეორიის ვერსიებია.

ნათელია, რომ „საფიქრელეთის“ მეცნიერული დოქტრინები არაა წმინდად არისტოფანეს კომიკური გამოგონება. ისინი მოიცავს, თუმცა დამახინჯებული ფორმით, იმ თეორიებს, რომლებიც მიეწერება ანაქსაგორასს, ჰიპონს, ან დიოგენესს.

როცა კომედიის მთავარი გმირი, სტრეფსიადესი, ე.წ. საფიქრელეთში შედის, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს გამოქვაბულში შევიდა. როცა იგი იწყებს განათლების მიღებას, მისი უგუნურება და უნიჭობა აღიზიანებს სოკრატესს. პირველი გაკვეთილი არის გრამატიკისა და სალექსო მეტრის შესახებ, რომელიც არის რიტორიკის შესავალი გაკვეთილი. შემდგომ სოკრატესი, ფსიქიატრის მსგავსად, სთხოვს სტრეფსიადესს, სავარძელში კარგად მოეწყოს და პრობლემების შესახებ იფიქროს.

სტრეფსიადესის ფიქრები ვულგარული და აბსურდულია. როგორც ჩანს, ვერაფერს იმახსოვრებს, რასაც ასწავლიან. ამდენად, სოკრატე უარს ამბობს, მას ასწავლოს რაიმე. სტრეფსიადესი სთხოვს ისევ თავის ვაჟს, რომ მივიდეს სოკრატესთან და შეისწავლოს სოფისტური მოძღვრება. ამჯერად, ის მოახერხებს ვაჟის დაყოლიებას. ფიდოსი მართლაც კარგი სტუდენტი აღმოჩნდება და სოკრატესის მოძღვრებას კარგად შეითვისებს (დაწვრ. იხ. Saxonhouse 2023, 14).

„ღრუბლებში“ არისტოფანე ყურადღებას უთმობს სამეცნიერო საგნებს, როგორიცაა: ასტრონომია, მეტეოროლოგია, ბუნებისმეტყველება და სხვა.

„ღრუბლებში“ სოკრატე არის „საფიქრელეთის“ ხელმძღვანელი. იქ განათლების მიღება შეუძლია ყველას, ვინც თანხას გადაიხდის. ის არის ექსპერტი რიტორიკაში, ადამიანებს ასწავლის საკუთარი არგუმენტების დამაჯერებლად წარმოდგენას.

სოკრატესს კარგად იცნობდა მაშინდელი ათენის საზოგადოება და სწორედ ამიტომ აირჩია არისტოფანემ სოკრატესი და განაზოგადა მისი სახე, როგორც, ზოგადად, სწავლული ადამიანის და მას მიაწერა იმ დროს გავრცელებული ყველა თეორია. არისტოფანესთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ მის მიერ დასახელებული თეორიები არა სოკრატესს, არამედ, სხვა ფილოსოფოსებს მიეკუთვნებოდა. ვფიქრობთ, სოკრატესის სახეში არ უნდა ვიგულისხმოთ თვით სოკრატესი - ეს უნდა იყოს სოფისტის განზოგადოებული სახე (Hunter 2004, 43–97).

კომედიაში წარმოდგენილი მრავალი თეორია თავად არისტოფანეს შეთხზული უნდა იყოს, რადგანაც მას სურდა ამ კომედიას მიეღო „ფილოსოფიური დოკუმენტის“ სახე (Waterfield 2000, 243).

დიოგენეს ლაერტიოსის ცნობით, სოკრატესს არ ჰქონია საკუთარი სკოლა და არც თანხას ახდევინებდა მოსწავლეებს, მაგრამ სოკრატესი საგანმანათლებლო მღვაწეობას ნამდვილად ეწეოდა. მის ირგვლივ ყოველთვის იკრიბებოდნენ მისი მიმდევრები, რომლებიც თანხის ნაცვლად მას საჩუქრებს უძღვნიდნენ და საკვებითა და სასმელით უმასპინძლებოდნენ. შესაბამისად, მატერიალური ინტერესი მაინც იყო, ალბათ, სოკრატეს მხრიდან (დიოგ. ლაერტ. 2.74).

3. წერეთელი

სხვა სოფისტებისაგან განსხვავებით, სოკრატეს სწავლების მეთოდები შემდეგნაირი იყო: ის არ კითხულობდა დამღლე ლექციებს; დასვამდა შეკითხვას და შემდეგ აუდიტორიის მხრიდან გაცემულ პასუხებს აკრიტიკებდა. არისტოფანე სწორედ ამ ხერხს აშარჟებს თავის კომედიაში. სოკრატესი სტრეფსიადესს უსვამს შეკითხვებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთ უაზრო პასუხებს სცემს, რომ სოკრატესს უჭირს რაიმე ანალიზი გაუკეთოს, ან შეაფასოს მისი პასუხები (Benson 1992, 1–18).

„ღრუბლების“ მთავარი თემა არის რიტორიკული უნარ-ჩვევების გამოყენებასაყოფაცხოვრებოდანიშნულებით. სტრეფსიადესის მაგალითზე არისტოფანე გვაცნობს სოფისტებს, მათ თეორიებსა და სტუდენტებს. ფიდიპოსის დახმარებით, სტრეფსიადესს იმედები გაუმართლდება. ჩვენ ვხედავთ სოფისტური განათლების შედეგს და რიტორიკის პრაქტიკული გამოყენების მაგალითებს. სოფისტების სკოლაგამოვლილი მამა უკვე შეძლებს შვილის დაყოლიებას და სოკრატესს მიუყვანს ფიდიპოსს. სტრეფსიადესი უტოვებს სოკრატესს ვაჟს და ეუბნება: „ცემე და ასწავლე! გახსოვდეს, როგორმე/ისე გამოზარდე, ცალი ყბით საქმეს რომ მიაღდეს,/ მეორე ყბაც აუთამაშდეს/ უფრო სერიოზული საქმის საკეთებლად (არისტ. ღრუბ. 1107-1110).

როცა მამა მოაკითხავს ფიდიპოსს, სოკრატეს გადასცემს ტომარას, სწავლის საფასურით. ვაჟი გაფითრებული და ნირწამხდარი გამოდის სახლიდან სოკრატესის თანხლებით. მამა ეუბნება: „გაღმა შედავების ოსტატის მზერა გაქვს“ (არისტ. ღრუბ. 1176) და ძალიან მოსწონს შვილის გაყვითლებული სახე.

სტრეფსიადესმა თავად ვერ მოახერხა, აეთვისებინა ლოგიკური აზროვნების ელემენტები, ახლა კი, მისი შვილის მიერ მშვენივრად იქნა დამღლეული ეს პროგრამა. მამისაგან განსხვავებით, ფიდიპოსი კარგად დაეუფლა სოფისტური აზროვნების მეთოდებსა და ხერხებს.

არისტოფანე ერთმანეთს უპირიპირებს სოკრატეს ინტელექტუალურ აბსტრაქციასა და ჩვეულებრივი ადამიანის მიწიერ სურვილებს სტრეფსიადესის მაგალითზე, რომელიც შეეჯახება „საფიქრელეთის“ ფილოსოფიურ შეზღუდვებს. ფიდიპოსი სოფისტურ მოძღვრებასა და რიტორიკას გამოცდის რეალურ სამყაროში, სოფისტური სკოლის გარეთ. ინტერაქციამიმდინარეობს არამოსწავლესა და სტუდენტს, არამედ სოფისტ მოსაუბრესა და აუდიტორიას შორის. სოკრატესი გაუჩინარდება და აღარ ჩანს კომედიის ბოლომდე. სოფისტებს ჰყავთ ახალი წარმომადგენელი - კომიკური პერსონაჟის ტიპი, რომელიც არც ფილოსოფოსია და არც სოკრატეს შეხედულებებს იზიარებს.

ფიდიპოსი იმდენადვე შორს დგას აუდიტორიისგან, რამდენადაც

სტრეფსიადესისგან. მისი პირველი რიტორიკული გამოსვლისთანავე ვხვდებით, თუ რამდენად უგუნურია ის. სტრეფსიადესის თავდაჯერებულობა აღდგენილია. იგი გახარებულია, ფიქრობს, რომ ფიდიპოსის ახალად ნასწავლი მახვილსიტყვაობა დაეხმარება მევალებების მოგერიებაში. სტრეფსიადესი დარწმუნებულია, რომ ფიდიპოსი მოახერხებს, დაარღვიოს მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე და თანამოქალაქეებს „მუნჯ მხეცებად“ გადააქცევს (არისტ. ღრუბ. 1203) - ახალ ორატორთან შედარებით, დანარჩენი ათენელების საუბარი ცხოველის მეტყველების ტოლფასი იქნება.

აგონში ვხედავთ სოფისტური მოძღვრების ტექნიკასა და სოფისტური რიტორიკის სავარაუდო შედეგებს. დემოკრატიულ ათენში, თვით დემოკრატია, რომელიც დაფუძნებულია სიტყვის ძალასა და საჯარო დებატების არსებობაზე, ხშირად გამხდარა სიცრუისა და სიყალბის ასპარეზი (Hunter 2004, 34). თუმცა, სტრეფსიადესი მალე მიხვდება, რომ ასეთი მეტყველება აუდიტორიას არა მხოლოდ დაამუნჯებს, არამედ დააყრუებს კიდევ და მის მიერ უხვად დაჯილდოებულ სოკრატესთან გარბის. ახლა უკვე მამა შვილს მიმართავს: „ცხენოსნობაზე იფიქრე; ის მირჩევნია ისევ, ცხენებმა გამაღატაკოს, ვიდრე აქ შვილმა მცემოს“ (არისტ. ღრუბ. 1406-1407).

სტრეფსიადესს სცემს მისი ვაჟი და მამა ხსნის ცემის ერთ-ერთ მიზეზს: პოეტ სიმონიდესზე შვილს უთქვამს, რა პოეტი ეგ არის, ესქილეა პირველი პოეტიო (არისტ. ღრუბ. 1362). შვილი ევრიპიდეს თვლიდა ყველაზე ბრძენ კაცად. მამა არ დაეთანხმა და ამაზე ჩხუბი დაიწყო.

სტრეფსიადესი თავის თავს უტყდება, რომ ამ ყველაფრით უფრო გაიუარესა მდგომარეობა, ვიდრე გაიუმჯობესა და ამბობს: „სულ დავიღუპე, მგონი“ (არისტ. ღრუბ. 1440). თუ ადრე იმედს ამყარებდა სოფისტებზე, ახლა მიხვდა, რომ დაღუპა შვილიც და დაიღუპა თავიც. სტრეფსიადესი მზადაა, სასტიკად გაუსწორდეს სოკრატესსა და მის ყველა მოსწავლეს. ბოლოს, სტრეფსიადესი სახლს გადაუწვავს სოკრატესს.

ფიდიპოსი კმაყოფილია სოკრატეს მასწავლებლობით. ის ამბობს: „აქამდე ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა გული, / სიტყვას ისე ვერ ვიტყოდი, არ შევმცდარიყავ სადმე“ (არისტ. ღრუბ. 1401-1402).

როგორც ვნახეთ, სოფისტურმა განათლებამ გაანადგურა მამაშვილური დამოკიდებულება და დაგვარწმუნა იმაში, რომ ფიდიპოსის განათლება ვერაფერ სარგებელს მოუტანს მამას. სტრეფსიადესი შეცდომას უშვებს, როცა ცდილობს, თავის ვაჟში დამჯერი შვილისა და გამოცდილი სოფისტის არსი გააერთიანოს. სოფისტური რიტორიკა არ არის ის, რაც, შესაძლოა, ტრადიციულ ჩარჩოებში მოექცეს.

სტრეფსიადესი ცდილობს, გამოიყენოს სოფისტებთან მიღებული ცოდნა,

3. წერეთელი

ხოლო არისტოფანე ცდილობს, დასცინოს სოფისტურ მოძღვრებას და აჩვენოს, თუ რა სასაცილოა კომიკური და სოფისტი ადამიანის ერთ არსებაში მოქცევა (Lewis 2020, 45).

სტრეფსიადესს სულაც არ რცხვენია იმის გამო, რომ მარცხი განიცადა სოკრატესეული განათლების მიღებისას. სანამ „საფიქრელეთში“ შევიდოდა, უწევდა მისეული სიტყვებით მოეგვარებინა საქმე მევალეებთან, ახლა კი, თან აქვს სოფისტური აზროვნება და დიდი იმედი საკუთარ შვილის სახით.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ სტრეფსიადესის მსჯელობა არადამაჯერებელი და არალოგიკურია. ის მხოლოდ სიცილს იწვევს მაყურებელში. სტრეფსიადესი ცდილობს, მევალეები სიტყვით მოიგერიოს, მაგრამ მას არ ჰყოფნის მიღებული განათლება (Telo 2020, 82-84).

სტრეფსიადესის მევალეებთან შეხვედრის სცენებმა დაანგრია სოფისტური თვალთმაქცობის ძალაზე წარმოდგენები და აჩვენა სიტყვის უუნარობა ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში, ანუ პრაქტიკული მიზნებით გამოყენებისათვის. ხალხი, რომელსაც პირადი ინტერესი ამოძრავებს, არ უსმენს ამ მოძღვრებას. იგი დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში, ამიტომ ვერ ხერხდება მათი გადაბირება სოფისტური თვალთმაქცობით. ეს სტრეფსიადესის პრობლემა კი არ არის, არამედ მისი თანამოსაუბრეების. მევალეები მზად არ არიან დებატებისათვის, მათ საერთოდ არ აინტერესებთ, რას იტყვის სტრეფსიადესი. მათთვის მთავარია, თანხა მიიღონ. სტრეფსიადესის მაგალითზე ვრწმუნდებით, რომ ხშირად სიტყვას ძალა არა აქვს, ფილოსოფიურ მსჯელობას - აზრი.

ამგვარად, არისტოფანეს კომედია „ღრუბლები“ სატირიზებული სახით გვთავაზობს ფილოსოფიურ იდეებს, რაც იწვევს მკითხველის გამხიარულებას და სიცილს. არგუმენტების დამაჯერებლად წარმოსადგენად სოფისტური აზროვნება იქცევა არისტოფანეს კომედიის პერსონაჟების მთავარ იარაღად, თუმცა, არასაკმარისი განათლება კურიოზულ სიტუაციაში აგდებს მათ. ეს იწვევს კომიკურ ეფექტს და, შეიძლება ითქვას, რომ ამ კომედიის მაკოორდინებელი შტრიხი ხდება ფილოსოფიური იდეების დამახინჯებული ფორმით გამოყენება და გაშარჟება არისტოფანეს უკვდავი სატირის საშუალებით.

ლიტერატურა

- არისტოფანე. 2004. ღრუბლები. თარგმანი ეკუთვნის ბერძენიშვილი. "ლოგოსი". თბილისი.
- Aristophanes. 1924. *The Clouds, The Wasps, The Peace, the Birds, the Frogs, with an English translation by B.B. Rogers.* 1968, 437.
- Benson, H. H. 1992. *Essays on the Philosophy of Socrates.* New York: Oxford University press.
- Hunter, R. 2004. *Plato's Symposium.* London: Oxford University Press.
- Lewis, Amy, S. 2020. *Aristophanes and the Poetics of Low comedy.* University of Pennsylvania
- Saxonhouse, A. 2023. *The Comedy of Crowds: Aristophanes and the Voice of the People—or the Poet.* Cambridge University Press.
- Telo, M. 2020. *A theory of Greek Tragedy.* Ohio State UP.
- Waterfield, R. 2000. *The First Philosophers: The Presocratics and Sophists.* Oxford: Oxford University Press.

Classics

Satirized Philosophical Ideas in Aristophanes 'Clouds'

Vera Tsereteli

tsereteli.vera@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.08>

The main feature of Aristophanes' 'Clouds' is to deride serious philosophical issues. Aristophanes tries to use certain ways through which he manages to make us consider sophistic thinking as an absurd and create a comic effect. The main issue is that the characters of the comedy do not have the complete education in philosophy that is quite visible in their 'argumentative' conversations and the reader makes sure that a person is very hilarious when speaking about the issues which he hasn't realized properly.

Keywords: ancient comedy, Aristophanes, 'Clouds', philosophical, satire.

Aristophanes attributes to Socrates a lot of scientific ideas, which make us laugh, however most of them were not unreal for Athenians. In fact, this was

3. წერეთელი

the period, when Athens was interested in scientific theories. However, a century ago Ionian philosophers started creating scientific theories, in Athens these theories arouse interest in the fifth century B.C. This was the time when Anaxagoras arrived in Athens. He came from Asia Minor. He had studied theories of Ionian philosophers. He settled in Athens and became a friend of Pericles. He created thorough scientific theories. For instance, he said that the sun, the moon and the stars are stones but they shine because they are hot. He explained the concept of a lot of disasters, such as earthquake, hurricane, thunderstorm, wind etc. According to him thunder is caused by the collision of the clouds which is due to a subtle breeze.

The main source of Aristophanes satirized scientific theories was Diogenes from Apollonia. He created his ideas in the fifth century B.C. which was a mixture of different thinkers' thoughts, such as Anaximenes, Heraclitos, Anaxagoras, Leucipos. The most famous opinion of Diogenes is to combine the air with the thought. As we know, as we stop breathing, we stop living. However, Diogenes thought: when we stop breathing, we stop thinking.

Theophrastos has almost the same idea. He said that a person thinks via fresh and dry air as humidity hinders the process of thinking. That is why a person thinks less while sleeping or when well-nourished or drunk. That is the reason why a person is more intelligent than an animal, as animals are close to the ground, which is more humid and they eat more moisturized food.

This opinion is very similar to the thought expressed in the 'clouds' by Aristophanes in the lines 227-233, when Socrates is in the clouds, far away from the ground. However, here the thoughts are not identical: Socrates thinks that the humidity if thoughts are attracted by the earth. But Diogenes, according to Theophrastos, considered the humidity of the ground as harmful for the mind. Nevertheless, it is a fact that both of them are the versions of the same theory.

It is apparent that scientific doctrines of 'the world of thoughts' is not Aristophanes' comic invention. They include the theories, though in a wrong way, which are attributed to Anaxagoras, Hipon or Diogenes.

When Strepsiades enters the world of thoughts, he has the feeling, like he entered into the cave and as he starts getting education, his ignorance makes Socrates irritated. The first lesson is Grammar and about the meter, which is the introduction lesson of rhetoric. Afterwards, Socrates, like a psychiatrist, asks Strepsiades to settle in the couch comfortably and think about the problems. But his thoughts are absurd and inane. As it seems he can't remember what he is taught. Hence, Socrates is no longer eager to teach anything to him. Stepsiades asks his son to go to Socrates and learn anything about sophistic wisdom. This

time he manages to persuade him. Fidipes turned out to be a good student and perceives Socrate's teaching very well.

In the 'Clouds' Aristophanes pays attention to scientific subject, such as Astronomy, Meteorology, Science, Natura Studies etc. He neglects the God and creates a new religion, he is an expert in rhetoric, especially, in introducing weak arguments in a confident way.

Socrates knew contemporary Athenian society very well and that's why he chose Socrates and his personality as a savvy, intelligent person and attributed all thoughts to him. For Aristophanes it did not make any difference if all these ideas were not by Socrates, but different philosophers. The character of Socrates is generalized figure of a wise man (Hunter 2004:43-97). A lot of ideas are created by Aristophanes himself, as he wanted the comedy to have the form of 'philosophical document' (Waterfield 2000:243).

In conclusion, as it has been demonstrated above, Aristophanes' comedy 'Clouds' proposes a lot of philosophical ideas in a satirized form that make readers laugh. In the process of presenting arguments in a solid way the main weapon for the characters of Aristophanes' comedies becomes sophistsic thinking. Though inadequate education makes them hilarious. This creates comic effect and we can say that satirizing philosophical ideas becomes coordinating feature for this comedy.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ლევან გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“ მოდერნისტული
ესთეტიკის კონტექსტში

ნატალია გულუა

natalia.gulua@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.09>

მეოცე საუკუნის თვალსაჩინო მწერლის ლევან გოთუას შემოქმედება ავტორის პოზიციას გამოხატავს საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესების მიმართ. მისი რომანები და მოთხრობები, ასევე დრამებიც ასახავს მწერლისდროინდელი ეპოქისათვის ნიშანდობლივ სოციალურ და სულიერ სფეროში მომხდარ ძვრებს. გოთუას მხატვრული ნააზრევინი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი უბანი მისი დრამატურგიაა. სტატიაში შევეცდებით დეიდეოლოგიზირებული მიდგომით გავაანალიზოთ ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“, გამოვკვეთოთ მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულებები და წარმოვაჩინოთ მწერლის სუბიექტური დამოკიდებულება პიესაში დასმული პრობლემების მიმართ. პიესის თანამედროვე მიდგომით განხილვა საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ მისი ადგილი მწერლის შემოქმედებასა და საერთოდ მეოცე საუკუნის ქართული დრამატურგიის ისტორიაში. განსხვავებით სხვა დრამებისაგან, „შოთა რუსთაველში“ მწერალმა ისეთ გამოსახვის საშუალებას მიმართავს, როგორებიცაა **შინაგანი მონოლოგი, ტექსტი ტექსტში**, ასევე გამოიყენა **თეატრი თეატრში**, რამაც ეს დრამა დაუახლოვა მოდერნისტულ მხატვრულ პრაქტიკას. „შოთა რუსთაველში“ ნაჩვენებია დამოუკიდებელი მხატვრული სინამდვილის კონსტრუირება, თეატრალური სივრცის გაორმაგება, ესაა წარმოდგენა წარმოდგენაში, ანუ ერთგვარი თვითრეფლექსია სტრუქტურის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: გოთუა, დრამა, შოთა რუსთაველი, მოდერნიზმი, მეტადრამა.

გასული საუკუნის 40-იან წლებში დაწერილი ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“ მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1979 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (N4) დაიბეჭდა. ქართული ლიტერატურული კრიტიკა, ფაქტობრივად, არ დაინტერესებულა ამ ნაწარმოებით, თუ არ ჩავთვლით ცალკულ გამოხმაურებებს (კანკავა 1985, 54).

დრამა „შოთა რუსთაველის“ შექმნა ისტორიული და, ამავე დროს, ლეგენდარული, გმირული ხასიათის გამოსახვის ერთ-ერთი თამამი

მცდელობა იყო ქართულ ლიტერატურაში. შოთა რუსთაველის შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობების სიმცირემ, მისი ცხოვრების ირგვლივ ხალხში გავრცელებულმა განსხვავებულმა ვერსიებმა დიდი გასაქანი მისცა მწერლის ფანტაზიას პოეტის მხატვრული სახის შექმნისა და დრამაში განვითარებული მოვლენების წარმოსახვისას. ხალხური გადმოცემების მიხედვით, პოეტი იდეენობდა სასულიერო პირების მიერ. მეცნიერთა დიდი ნაწილი სწორედ გადმოცემებს ეყრდნობა და განდევნის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს: სარწმუნოებიდან განდგომას, ავტორის მსოფლმხედველობას, პანთეისტური მატერიალიზმის იდეოლოგიას, ნეოპლატონიკოსობას და სხვ.

ნაწარმოების სიუჟეტი ვითარდება შოთა რუსთაველისა და მისი თანამედროვე დიდებულების, ასევე მაღალი რანგის სასულიერო პირების დაპირისპირების ფონზე, რის შედეგადაც პოეტს სამშობლოდან გადახვეწა მოუხდა. ავტორს შოთა რუსთაველი დახატული ჰყავს როგორც განსხვავებულად მოაზროვნე, დადგენილი წესებისა და ნორმების უარყოფისათვის განდევნილი. ლ. გოთუას, თავად შინაგან ემიგრანტს, ცხადია, განსაკუთრებით ხიზლავდა სიკვდილის შემდეგ საყოველთაოდ აღიარებული პოეტის ბედი. შოთა რუსთაველის პორტრეტის შექმნისას მწერალს ყურადღება გამახვილებული აქვს გმირის მისწრაფებაზე - ბოლომდე დაიცვას საკუთარი პოზიცია, შეინარჩუნოს ადამიანური ღირსებები, პირად ინტერესებზე მაღლა დააყენოს სამშობლოსადმი სიყვარული.

დრამაში ჩართულია ის ეპიზოდი საქართველოს ისტორიიდან, როდესაც ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურმა დასმა მოითხოვა თამარ მეფისაგან პარლამენტის მსგავსი დაწესებულების, ე.წ. „ისნის კარვის“ დადგმა, სადაც საკანონმდებლო უფლებები მიენიჭებოდათ არა მარტო მსხვილ ფეოდალებს, არამედ ქალაქის მოსახლეობასაც. როგორც ცნობილია, ეს მოთხოვნა არ შესრულდა, მაგრამ ამ ფაქტს ავტორი აფასებს, როგორც პროგრესულ მოვლენას და ამ დასის თანამოაზრედ გვიხატავს შოთა რუსთაველს, რომელსაც მიაჩნია, რომ ადამიანები ნიჭითა და ერის წინაშე დამსახურებით უნდა გამოირჩეს.

დრამა „შოთა რუსთაველი“ მიმართულია ადამიანის აზროვნების შეზღუდვის, კარჩაკეტილობის წინააღმდეგ. როცა ის შეიქმნა, დიდი დრო არ იყო გასული „დამირული სოფლის“ დაწერიდან. ამ პიესასთან დაკავშირებულმა ისტორიამ მოახდინა იმის პროვოცირება, რომ ლ. გოთუას შემოქმედების ერთ-ერთი წარმმართველი თემა პროგრესული, თავისუფალი აზრის დევნა გამხდარიყო. მას შემდეგ რაც მწერლისგან მოითხოვეს პიესა „დამირული სოფლის“ (ლხცსა 63) ფინალის გადაკეთება

ნ. გულუა

იმ მიზნით, რომ ავტორის თანამედროვე ეპოქაში მიუღებელი იყო მთავარი გმირის სიკვდილი, ძველი ტრადიციებითა და სულიერი კულტურით აღსავსე სამყაროსთან ერთად და რასაც ახალგაზრდა მწერალი პრინციპულად არ დაეთანხმა, გოთუას შემოქმედებაში დამკვიდრდა თავისუფალი ხელოვანის ტრაგიკული ბედის იდეა. თუკი მანამდე მის მიერ დახატული შემოქმედი ადამიანები, მეფეებისა და ერის მფარველობის ქვეშ მყოფები, ლაღად გრძნობდნენ თავს (მაგალითად, როგორიცაა „დავით აღმაშენებლიდან“ (ლხცსა 66) გუდარეხვაი), შოთა რუსთაველი – დრამიდან „შოთა რუსთაველი“, იოანე უტყვი – „ყინცვისის ანგელოზიდან“ (1963), მართაზი – „სერაფიტიდან“ (1981), ნათია – რომანიდან „ლეკვი ლომისა“ (1963), მწერალი – მოთხრობიდან „ნისლი ნახატარის ტყეში“ (1963) თავისუფალი სულის ხელოვანები არიან და იბრძვიან თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. შოთა რუსთაველის, როგორც დრამის გმირის ტრაგიკული ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, როგორ იდევნებოდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი დიდი თამარ მეფის ეპოქაშიც და დაუშვებელი იყო ახლის ძიება, რადგან ყველაფერი უკვე ნაპოვნად ეგულებოდათ. „ოქროს ხანაშიც“ კი „კაცის ხორცი იკვებებოდა დიდება“, ხოლო შინაურ მოაზროვნეს არასოდეს ჰქონია საყოველთაო დაფასება და თანაგრძნობა. თავად მგოსანი, როგორც თავისუფალი, გმირბედნიერი ერის შვილი, კალმით ებრძვის უკეთურად განდიდებულებს „ყველა დროის უმართებულოდ კრულვილთა, განდევნილთა და განწირულთა სახელით“ (გოთუა 1979, 112).

ქრისტეს სახელს ამოფარებული მედროვეები, ისევე როგორც ლ. გოთუას თანამედროვე ეპოქაში საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებლები, ფრთებს აკვეცდნენ და მეხოტბეებად აქცევდნენ განსხვავებულად მოაზროვნე მწერლებს. „ასე კვიმატობდნენ შავთელი, ჩახრუხადე, სხვანი, შენზე არანაკლებ განსწავლული და ნიჭიერი ხეივანი“ (გოთუა 1979, 106), – მიქელ კათალიკოსის ეს ცინიკური დანაქადი იმ მუქარით აღსავსე წლების გამოძახილია, რომელშიც თავად მწერალს მოუხდა ცხოვრება.

განსხვავებით სხვა დრამებისაგან („მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“, „თუთის პატარძალი“, „უძლეველნი“, „სამსახეობა რაინდისა“, „დაძირული სოფელი“), „შოთა რუსთაველში“ მწერალმა ისეთი გამოსახვის საშუალებები გამოიყენა, რამაც დრამა დაუახლოვა მოდერნისტულ მხატვრულ პრაქტიკას. მხატვრული ხერხი, როგორიცაა **ტექსტი ტექსტში**, ფართოდაა გამოყენებული დრამაში, ტექსტის ტექსტში ჩართვა განსხვავებული ფორმებითა და დანიშნულებით ხდება, სხვადასხვა ნაწარმოებში ის გვევლინება ეპიგრაფის ან რემინისცენციის სახით. ჩვენს შემთხვევაში კი ორი სხვადასხვა ტექსტი ერთვის ერთმანეთს,

კერძოდ, ძირითად სიუჟეტურ ხაზს – ლეგენდას შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ – ორგანულად ერწყმის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და მასში წარმოსახული მოვლენები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს კითხულობენ ახალგაზრდა მწიგნობრები – შოთას „სულიერი ძმები და მოწაფეები“, მხატვარი ბერთუბნელი, კითხულობენ ყველგან: სასახლეში, მდინარის პირას, ფარულად ტაძარში და ბრძოლის დროსაც კი; „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოგლეჯილი ფურცლები, მისი მადლიანი სტრიქონები მტერზე სახელოვნად გამარჯვების მთავარ იარაღად ქცეულა. დრამაში თავიანთი აზრის დასასაბუთებლად ციტატები მოჰყავთ „ვეფხისტყაოსნიდან“, ფრაზა – „ქაჯეთის ციხის აღება“ განზოგადებულია და, ზოგადად, მტერზე გამარჯვებას, საწადელის ასრულებას, დასახული მიზნის მიღწევას ნიშნავს... საერთოდ, შოთას ლექსიკით მეტყველებენ პერსონაჟები, თვით პოეტის მოწინააღმდეგეებიც კი. ეს მხატვრული ხერხი ავტორმა გამოიყენა იმის საჩვენებლად, თუ როგორ ზეგავლენას ახდენდა „ვეფხისტყაოსანი“ ერის სულიერ განვითარებაზე.

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ მომდევნო ხანაშიც გახდა მწერლის შთაგონების წყარო, ამ თემას უძღვნა მან მოთხრობათა ციკლი „ნამზევი რუსთაველისა“, რომელშიც უფრო ფართოდ გაიშალა დრამა „შოთა რუსთაველში“ წამოჭრილი საკითხები.

დრამაში გამოყენებული **შინაგანი მონოლოგი**, თავისი ხასიათითა და ფუნქციით, „შოთა რუსთაველს“ აახლოებს მოდერნისტულ ტექსტებთან. რადგან მოცემულ შემთხვევაში „შინაგანი მონოლოგი“ პერსონაჟების არაცნობიერს წარმოაჩენს, ამ ხერხს მწერალი იყენებს ყველაზე სათუთი გრძნობების გადმოსაცემად, კერძოდ, როცა თამარ მეფე და შოთა რუსთაველი ერთად დგანან სცენაზე, მაშინ თითოეული მათგანის არაცნობიერი სამყარო ვლინდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა შოთა რუსთაველის ემოციების გამოხატვისას:

„შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – სულმნათი! ჩემთან ობოლ სენაკში! გულმა მიგრძნო!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – ცოცხალი და უკვე უკვდავი!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – ბედად გაჩენილი! დღეს ხომ იგი სრულიად საქართველოა!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – საქართველოს დიდი შუბლი – ნათელი!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – სათნოება, სიბრძნე და სილამაზე ასე საკვირველად და საქვეყნოდ ერთად!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – დაუცხრომელი სული ჩვენი ერისა!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) – მზე და სამშობლო ერთად!

თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) – დღეის მგოსანი და მომავლის ადამიანი!“

ნ. გულუა

(გოთუა 1979, 104).

მოცემულ დიალოგში ავტორისეული რემარკის - ფიქრი-ჩურჩული - ხშირ გამოყენებას მივყავართ იმ აზრამდე, რომ საქმე გვაქვს არა უბრალოდ ფიქრის გახმოვანებასთან, არამედ ქვეცნობიერში არსებული აზრების უნებლიე გამჟღავნებასთან, სწორედ ამ ფიქრი-ჩურჩულში ვლინდება შოთა რუსთაველის ჭეშმარიტი გრძნობები თამარ მეფის მიმართ. ავტორი აქაც არ ღალატობს ფაბულად გამოყენებულ ლეგენდას და დრამის მთავარი გმირიც ფარულად ეტრფის თამარს:

„თამარ. (ფიქრი-ჩურჩული) - დალოცვილი მხოლოდ დალოცვილი ნიჭი ერისა!

შოთა. (ფიქრი-ჩურჩული) - ჩემი ერისა და ოცნების უწმინდესი!“ (გოთუა 1979, 105).

ნაწარმოების მხატვრული მხარის განხილვისას, მწერლის ყველაზე დიდ დამსახურებად მიგვაჩნია ისეთი მხატვრული ხერხის შემოტანა, როგორიცაა **თეატრი თეატრში (წარმოდგენა წარმოდგენაში)**. ამ თვალსაზრისით ლ. გოთუას დრამა „შოთა რუსთაველი“ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც **მეტადრამა**. მართალია ეს ტერმინი მოგვიანებით დამკვიდრდა ხელოვნებათმცოდნეობაში, მაგრამ მეტადრამული თხრობის სახე – თეატრი თეატრში – ძველი თემაა და იგი გადამუშავდა მოხდა გასული საუკუნის შუა ხანებში. „შოთა რუსთაველში“ ნაჩვენებია დამოუკიდებელი მხატვრული სინამდვილის კონსტრუირება, თეატრალური სივრცის გაორმაგება, ესაა წარმოდგენა წარმოდგენაში, ანუ ერთგვარი თვითრეფლექსია სტრუქტურის თვალსაზრისით. როცა ამ მხატვრულ ხერხზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ხალხურ თეატრონს, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქორ-ფერხულას, რომელიც დრამის მთავარი მოქმედების პარალელურად წარმოდგენას დგამს და რომლის წევრები განასახიერებენ ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ (ჩიქოვანი 1937) გმირებს: ტარიელს, ავთანდილს, ლელწამ-დარეჯანს, ფრიდონს, სათანადო ნიღბებითა და სამოსელით, დამახასიათებელი ატრიბუტიკით. მათ თან ახლავთ მთხრობელი, რომელიც კითხულობს ნაწყვეტებს „ტარიელიანიდან“ და მსახიობები კი თავიანთ როლებს ირგებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტარიელიანის წარმოდგენის პარალელურად მიმდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კითხვაც, თანაც სწორედ იმ ადგილებისა, რომლებზეც ვაჟა-ფშაველამ გაამახვილა ყურადღება წერილში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)“ (ვაჟა-ფშაველა 1956, 184), რომელიც ასკვნის, რომ ტარიელიანის ტექსტი „ვეფხისტყაოსანზე“ დამოკიდებული. ვაჟას თქმით, რუსთაველის ცნობილი ტექსტი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“ საფუძვლად დასდებია „ტარიელიანის“ ტექსტს: „ერთი მოყმე

წყლისა პირსა, ნამტირალი ჰგავდა გმირსა...“ ტექსტების პარალელურად მოხმობით, დრამის ავტორს თანდათან მივყავართ იმ აზრამდე, რომ „ვეფხისტყაოსანს“ პოეტი ხალხის დახმარებით ქმნიდა. „გინდა შენ შეთხზე, გინდა მე – ქართული ლექსის ჯგავარი,“ – მიმართავს რუსთაველი ტარიელიანის შემქმნელ ხალხს. აქ იგრძნობა რუსთაველის პოემის წარმოშობის შესახებ ორი განსხვავებული მეცნიერული მოსაზრების კვალი. ზემოთ მოხმობილი ციტატის მიხედვით, ლ. გოთუასთვის მთავარია არა თეორიები, არამედ ის ფაქტი, რომ რუსთაველის პოემაცა და ხალხური „ვეფხისტყაოსანიც“ ქართველი ხალხის გენიამ შვა. ისევ ტექსტიდან მოვიხმობ მაგალითს:

„მთხრობელი ქლესადაც და გაბლენძილადაც შეეკითხება შოთას:

მთხრობელი: ესეც გვაუწყე, მოგვახსენე – სულ მარტო სწერ თუ სხვას აწერინებ; თავის ნებით სწერ თუ ჩვენ – ამა ქვეყნის ძლიერებსა და დიდებულებს გვექლესები.

შოთა: ჩემთან ყველა ხართ! ვინცა და რაც თვალსა, გულსა და შუბლის ძარღვსა შემომთხვევია! ზოგი პირდაპირ და ზოგი პირუკუ. მართ – ადამიანთა სიკეთე ვაქო, ვადიდო... ბოროტებაც ვძრახო და შიშით შექმნილი სიყვარული – მლიქვნელობაც!... კაცს ამერია საზღვარი, სად მე – სად ჩემი ერია!

ქორ-ფერხულა: კაცი თუ ერად იქცევა – ორივე ბედნიერია!“ (გოთუა 1979, 103).

ორივე შემთხვევაში – როგორც ძირითად დრამაში, ისე მასში ჩართულ წარმოდგენაში, შენარჩუნებულია დრამის მთავარი კომპონენტები: **ავტორი – პერსონაჟი – მკითხველი (მაყურებელი)**, ხალხური თეატრონისათვის ტექსტის ავტორი ხალხია, პერსონაჟები – ხალხური ტარიელიანის გაცოცხლებული გმირები, მაყურებელი კი დრამა „შოთა რუსთაველის“ პერსონაჟები.

დრამატული მოქმედებების აგების ახალი პრინციპების გამოყენებით, მწერალმა შეძლო პიესის ტრადიციულ სტრუქტურაში ცვლილების შეტანა, მისი მოდელირება. მიგვაჩნია, რომ ამ ხერხის (**თეატრი თეატრში**) გამოყენებით მწერალმა ოსტატურად გვიჩვენა ერის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, ის რომ პოეტის შთაგონებას ქვეყნის, ხალხის ისტორია, სულიერი სიმდიდრე ასაზრდოვებს.

ამკარაა, რომ ამგვარი სულისკვეთების ნაწარმოები ვერ დაიბეჭდებოდა ავტორის თანამედროვე ეპოქაში. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ამ დრამის დაბეჭდვას თავისი მიზეზები უნდა ჰქონოდა. ჟურნალი, რომელმაც გოთუას პიესის გამოქვეყნებით წარსულში განვითარებული მოვლენები გადმოიტანა თანამედროვე ეპოქაში, დაუპირისპირდა უგმირობის, ბრწყინვალე დროინდელ უძრავობის ხანას, როცა საქართველოს მთავრობა,

ნ. გულუა

ნაცვლად ეროვნულისა, კრემლზე ორიენტირებული პოლიტიკით იყო დაკავებული.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ „შოთა რუსთაველის“ დაბეჭდვის მომენტში ერთი წელი იყო გასული საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებიდან, რასაც წინ უძღოდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული საზოგადოების მტკიცე პროტესტი. „საბჭოთა ხელოვნების“ ამ ნომრის შინაარსი ზემოხსენებული მოვლენების ერთგვარი გამოეხმაურება. ყურადსადებია, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში ცენზურა აღარ იყო ძველებურად მკაცრი, რის შედეგადაც მიგვაჩნია ლ. გოთუას დრამის გამოქვეყნება დამის გვერდით მოთავსებული წერილებიც „მთვარის მოტაცებაზე“, „ჯაყოს ხიზნებზე“; თუმცა პირველი გვერდები ლენინის საიუბილეო თარიღს გვახსენებს და სოციალისტურ კულტურათა ურთიერთგავლენაზე გვესაუბრება. ჟურნალის ამ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ინფორმაცია 1979 წელს ქართველი მოღვაწეებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ. ვფიქრობთ, გოთუას დრამის გამოქვეყნება ამ ფაქტისადმი თემატური გამოხმაურებაც იყო.

ლიტერატურა

გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ. 2011. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

გოთუა, ლ. 1979. „შოთა რუსთაველი“, ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება, N4, თბილისი.

ვაჟა-ფშაველა, 1956. თხზულებანი, ტომი VII, თბილისი.

კანკავა, გ. 1985. ლიტერატურული წერილები, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ლხცა, ფ. 125, აღწ. 1, საქ. 63.

ლხცა, ფ. 125, აღწ. 1, საქ. 66.

ჩიქოვანი, მ. 1937. ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

Literature and Literary Theory

Levan Gotua's Drama "Shota Rustaveli" in the Context of Modernist Aesthetics

Natalia Gulua

natalia.gulua@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.09>

*The creative works of the prominent 20th-century writer Levan Gotua reflect the author's stance on the processes taking place within the Soviet sphere. His novels, short stories, and dramas capture the significant social and spiritual transformations characteristic of his era. Among Gotua's artistic output, his dramaturgy remains the least explored. In this article, we aim to analyze L. Gotua's play "Shota Rustaveli" from a de-ideologized perspective, highlighting its literary and aesthetic values and revealing the writer's subjective attitude toward the issues addressed in the play. Discussing this play from a modern perspective will allow us to determine its place in the writer's work and in the history of twentieth-century Georgian dramaturgy in general. Unlike his other plays, in "Shota Rustaveli", the writer employs unique artistic techniques such as the **inner monologue**, **text within a text**, and the concept of **theatre within the theatre**, which brings the drama closer to modernist artistic practices. "Shota Rustaveli" demonstrates the construction of an independent artistic reality, the duplication of theatrical space—essentially, a play within a play—resulting in a form of self-reflection in terms of structure.*

Keywords: Gotua, drama, Shota Rustaveli, modernism, metadrama.

L. Gotua's play *Shota Rustaveli*, written in the 1940s, was published posthumously in 1979 (*Soviet Art*, 1979). Georgian literary criticism largely overlooked this work, with only a few individual responses (Kankava 1985).

The creation of the play *Shota Rustaveli* was a bold attempt to depict a historical yet simultaneously legendary and heroic figure in Georgian literature. The scarcity of biographical information about Shota Rustaveli and the various versions of his life circulating among the people provided the author with significant creative freedom in shaping the poet's artistic image and envisioning the events of the drama. According to folk traditions, Rustaveli was persecuted by the clergy. Many scholars rely on these accounts and attribute his exile to various reasons, including apostasy, his worldview, the ideology of pantheistic materialism, Neoplatonism, and others.

The plot of the work unfolds against the backdrop of the conflict between

5. გულის

Shota Rustaveli, his contemporary noblemen, and high-ranking clergy, ultimately leading to the poet's exile from his homeland. Gotua portrays Rustaveli as a free thinker, banished for rejecting established rules and norms. As an internal emigrant himself, Gotua was particularly drawn to the fate of a poet who, though persecuted in his lifetime, was universally recognized after his death.

In crafting Rustaveli's portrait, the author focuses on the protagonist's determination - to uphold his beliefs, preserve his human dignity, and prioritize love for his homeland over personal interests. The tragic life of Rustaveli, as depicted in the drama, serves as a striking example of how even in King Tamar's era, progressive thinkers were persecuted, and the pursuit of new ideas was unacceptable. Opportunists hiding behind the name of Christ - just as Soviet ideologues did in Gotua's time - clipped the wings of free-thinking writers and turned them into mere sycophants.

Unlike his other dramas, in *Shota Rustaveli*, the author employs artistic techniques that bring the play closer to modernist literary practices. One such technique, "**text within a text**," is widely used throughout the drama. Here, two different texts intertwine: the main narrative - the legend of Shota Rustaveli's life - is seamlessly blended with excerpts from "The Knight in the Panther's Skin" and the events depicted in it.

Young scribes read "The Knight in the Panther's Skin" everywhere: in the palace, by the river, secretly in a church, and even during battle. Torn pages from the poem and its sacred verses become a powerful weapon in achieving victory over the enemy. Throughout the play, characters cite passages from "The Knight in the Panther's Skin" to justify their arguments, and the phrase "**the conquest of Kajeti Fortress**" is generalized to symbolize victory over an enemy, the fulfillment of a goal, or the achievement of an aspiration.

Moreover, all characters, including Rustaveli's adversaries, speak in the poet's own vocabulary. The author employs this artistic device to illustrate the profound influence of "The Knight in the Panther's Skin" on the spiritual development of the nation.

The use of **inner monologue** in the drama, both in its nature and function, brings "*Shota Rustaveli*" closer to modernist texts. In this case, the **inner monologue** reveals the unconscious thoughts of the characters. The writer employs this technique to convey the most delicate emotions - particularly in scenes where King Tamar and Shota Rustaveli stand together on stage. At these moments, the unconscious worlds of both characters are unveiled, allowing the audience to perceive their deepest, unspoken feelings.

When discussing the artistic aspects of the work, the writer's greatest achievement is considered to be the introduction of an artistic device such as

theater within a theater (a performance within a performance). From this perspective, L. Gotua's drama *Shota Rustaveli* can be considered a metadrama. While the term itself became more widely recognized in art criticism later on, the concept of theater within a theater is an ancient theme that was reworked in the mid-20th century.

In *Shota Rustaveli*, Gotua demonstrates the construction of an independent artistic reality, the doubling of theatrical space - essentially a play within a play - serving as a form of self-reflection in terms of structure. When we refer to this artistic device, we are specifically talking about the folk theatre or, in the author's words, the choral pantomime, which, while the main action of the drama unfolds, simultaneously presents a performance in which the members of the folk troupe embody characters from "The Knight in the Panther's Skin" (Chikovani, 1937): Tarieli, Avtandili, Nestan-Darejani, and Fridoni. They perform these roles with appropriate masks, costumes, and characteristic attributes, creating a distinct layer within the drama. In both cases - both in the main drama and in the embedded performance - the essential components of drama are preserved: **author-character-reader (viewer)**. In the folk theatre, the narrator of the text is people, while the characters are the revived heroes of the folk Tarieliani. As for the audience, they are the characters of the drama "Shota Rustaveli".

By employing new principles in constructing dramatic action, the writer was able to introduce changes to the traditional structure of the play and reshape its model. We believe that through the use of this technique ("**Theatre within the theatre**"), the writer masterfully illustrated the nation's attitude toward "*The Knight in the Panther's Skin*", demonstrating that the poet's inspiration is nurtured by the country's history, its people, and their spiritual wealth. It is evident that a work with such a spirit could not have been published during the author's contemporary era. The publication of this drama after the writer's death must have had its own reasons. The journal, which brought past events into the modern era by publishing Gotua's play, stood in opposition to the era of stagnation during Brezhnev's rule - a time when the Georgian government, instead of pursuing national interests, was engaged in a Kremlin-oriented policy.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

**აბოს მარტვილობის ინტერპრეტაციები -
იოანე საბანისძის „წამებაი წმინდისა და ნეტარისა ჰაზოისი“ და
გიორგი შატბერაშვილის „აბოს წამების ათი დღე“**

მარინე ხვედელიძე

khvedelidze.marine@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.10>

ქართული სასულიერო მწერლობა ისტორიის ყველა ეტაპზე გადამწყვეტ როლს ასრულებდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში ეს ტრადიცია ახლებური რაკურსით წარმოჩნდა. სტატია მიზნად ისახავს ორი ნაწარმოების - „წამებაი წმინდისა და ნეტარისა ჰაზოისისი“ და „აბოს წამების ათი დღის“ - შედარებით ანალიზს. მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-შინაარსობრივი ასპექტების შეპირისპირება ადასტურებს უახლეს ქართულ მწერლობაში სასულიერო მწერლობის რეცეფციას, ლიტერატურულ ტრანსფორმაცია-ინტერპრეტაციას, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ეპოქის სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნებით.

საკვანძო სიტყვები: სასულიერო მწერლობა, ინტერპრეტაცია, სიმბოლო.

არაბი ჰაზუკი აბოს წამების ისტორია ქართული ლიტერატურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს. აბოს თავგანწირვა რწმენის, სულიერი ძლიერებისა და გმირობის საუკეთესო მაგალითია. სწორედ ამიტომ ქართველი მწერლები ამ თემას კვლავ უბრუნდებიან და ქრისტიანობისთვის მებრძოლ გმირს სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენენ. ეს ყოველივე მკითხველის საკუთარ ისტორიასთან, ფესვებთან კავშირს განამტკიცებს. ტრაგიკული გმირის ისტორია, თავგანწირვა და ტანჯვა მწერალთა შთაგონების წყაროდ იქცევა, ზნეობრივი თემები ყველა ეპოქაში აქტუალურია.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში ისტორიული თემატიკა მრავალმნიშვნელოვანად წარმოდგენილი. 1960 წელს მწერალი იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, რომლის სამიზნე ადრეფეოდალური ხანის საქართველო, ჩვენი ქვეყნისა და რწმენისათვის თავგანწირული წმინდანი აბოა. სამწუხაროდ, რომანი დამთავრებული არა არის, მწერლის ჩანაფიქრს სრული სახით ვერ ვეცნობით. სათაურისა და რომანის არსებულ

სტრუქტურაზე დაკვირვებით, შემდეგ იოანე საბანისძის „აბოს წამებასთან“ შედარება-შეპირისპირებით არაერთ დეტალზე შეძლება კონცენტრირება. იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმინდანის შესახებ უტყუარ ფაქტად ფიქსირდება, რომ წმინდანმა საპყრობილეში ათი დღე გაატარა, უფრო სწორად, სრული ცხრა ღამე და მეათე დღეს აღესრულა. რომანის სათაური „აბოს წამების ათი დღე“ მკითხველში ყურადღებას ამახვილებს წამების პერიოდზე, მის ხანგრძლივობაზე. „ათი დღე“ აბოს ტანჯვას ქრონოლოგიურ ჩარჩოში აქცევს. ამით წამების ხანგრძლივობა მკითხველისთვის უფრო ხელშესახები და რეალური ხდება. საპატიმროში გატარებული დღეები წმინდანის სულიერ გმირობასა და ფიზიკური ტკივილის ზღვარზე მყოფი ადამიანის ტრაგედიას უნდა წარმოაჩენდეს. აღნიშნული სათაურით მწერალი აბოს ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მონაკვეთზე აფიქრებს მკითხველს. სიმბოლური დატვირთვით რიცხვი ათი ქრისტიანულ კულტურაში გაიაზრება როგორც სრულყოფილების ნიშანი (მაგალითად, ათი მცნება). არსებულ ტექსტზე დაკვირვებით, ვფიქრობ, მეოცე საუკუნის მწერალი ასეთ ღრმა მეტაფორულ აზროვნებას არ უნდა მიმართავდეს. იგი წინამორბედ ავტორს, საბანისძეს, მოიხმობს, წამების ტექსტიდან მნიშვნელოვან ეპიზოდს გამოკვეთს და ამით წარმოაჩენს აბოს რწმენისა და პიროვნული ძლიერების გამოცდის კრიტიკულ პერიოდს. გიორგი შატერაშვილის მიერ შერჩეული სათაური მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტისა და ისტორიული რეალობის კონტექსტში მოქცევის მცდელობაა.

ზოგადად, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა სათაური ინფორმაციული და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მომცველია, მაგალითად, ვინ არის გმირი, წამებას აღწერს თუ ცხოვრებას. მეოცე საუკუნის მწერალი ქმნის რომანს და სათაურად გმირის ცხოვრების ბოლო პერიოდის ათ დღეს აირჩევს. თანამედროვე რომანისათვის სათაური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ის მკითხველში უნდა აღძრავდეს ინტერესს, ასახავდეს ძირითად თემასა და იდეას, იყოს მარტივად დასამახსოვრებელი, ორიგინალური და შთამბეჭდავი. სათაური მკითხველსა და ტექსტს შორის კავშირს უნდა ამყარებდეს. უახლესი ლიტერატურის მწერალიც აღნიშნულს ეფუძნება, თუმცა რომანის სიუჟეტი არასრულია და მისი ფრაგმენტულობის გამო, ტექსტისა და სათაურის აზრობრივი მთლიანობა დარღვეულია. ავტორს, ცხადია, ჩანაფიქრი ჰქონდა, რომ რომანი რამდენიმე კარად დაეყო. პირველი კარის შემდეგ მინიშნებულია დღე პირველი, ალბათ, შესაბამისად უნდა დაწერილიყო ათი დღე. „ვრცელ რომანად განზრახული „აბოს წამების ათი დღიდან“ ერთი დღის დახატვაც ვერ მოასწრო. რამდენი შრომა დახარჯა ამ სარომანე მასალების შეგროვებასა და შესწავლისათვის, ფაქტიურად შექმნილი ჰქონდა ზეპირად, მხოლოდ

მ. ხვედელიძე

ქალაქში გადატანა იყო საჭირო. ერთი რიგიანი ჩაჯდომა, ერთი რიგიანი შეტევა და უძვირფასესი რომანი დაიბადებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ ის ერთი შეტევა ვეღარ მოასწრო..." (ხორგუაშვილი 1990, 120). რომანში გვხვდება თავი მუხატგერდელი, მნიშვნელოვანი ეპიზოდები ერთმანეთისგან სიმბოლოებითაა გამოყოფილი, ხოლო ფინალურ ნაწილში ბოლო თავის ფრაგმენტებია აღწერილი და სათაურიც შესაბამისადაა დასმული.

შატერაშვილის რომანში გვხვდებიან რეალური ისტორიული პიროვნებები: ნერსე (ქართლის ერისმთავარი), მისი დის შვილი სტეფანოზი, აფხაზთა მთავარი. ამ თვალსაზრისითაც წამებასთან უნდა გავავლოთ პარალელი და კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის მწერალი შორეული ჰაგიოგრაფიის გავლენით ქმნის რომანს. გარდა რეალური პერსონაჟებისა, შატერაშვილთან მწერლის ფანტაზიით შექმნილი, გამონაგონი პერსონაჟები გვხვდებიან. ესენია მუხატგერდელი ძმები: შიო და ქუცნა უკანბერიძეები. უფროსი ძმა შიო, ჭეშმარიტი ქრისტიანია, ხოლო მისი უმცროსი ძმა, ქუცნა, მოღალატეა. „ქართული ჩოხა აცვია, მაგრამ ურჯულოების კაცია. საქმე ის არის ჩოხის ქილებქვეშ რა გული უცემს კაცსა" (შატერაშვილი 2011, 287).

შიო სრულიად უცხო ჭაბუკს დაეხმარება, ურემზე დამალავს და ქალაქიდან მის გაყვანას შეეცდება. შიომ არაბი აბო გადაარჩინა შეპყრობას, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა დილეგში, რომლის ზედამხედველი მისივე ძმაა, გამაჰმადიანებული ქუცნა.

იოანე საბანისძის თხზულებაში ნახსენებია, რომ დილეგში აბოსთან ერთად სხვა ქრისტიანი პატიმრები ისხდნენ, თუმცა მათ შესახებ არაფერია ნათქვამი. გიორგი შატერაშვილი წამებიდან ნაკლებ საყურადღებო დეტალს წინა პლანზე წამოწევს და რომანში ხატავს იმ პატიმართა სახეებს. ყოველი მათგანი გამოგონებული პერსონაჟია: იაბერა, ფანდრე, მოხუცი ლაზარე. პატიმართა საერთო საზრუნავი მშობლიური ქვეყანაა, როგორ გადაარჩინონ ის არაბთა ბატონობისგან.

მწერალი დაწვრილებით აღწერს აბოს წამების მეათე დღეს, მის მოწამეობრივ აღსასრულს. ყურადღება საგანგებოდ უნდა მივაქციოთ დასჯის სცენას. იოანე საბანისძესთან ვკითხულობთ: „და ესე რაა თქვა, უკუნისხნა ხელნი თვისნი ჯვარისსახედ ზედა ზურგსა თვისსა და მხიარულითა პირითა და კადნიერთა სულითა დაღად ყო ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა ქედი თვისი მახვილსა.

და სცეს მას მახვილითა სამგზის, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ შიშითა სიკვდილისადათა განაშორონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდა იგი მარტვილი დუმილით მხნედ მიითვალვიდა მახვილსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული

თვის უფალსა“ (საბანისძე 1987, 464). ჰაგიოგრაფიული თხზულებისაგან განსხვავებით, გიორგი შატბერაშვილი სხვაგვარად ხატავს აბოს დასჯის სცენას, რომლის მიხედვით, ჯალათმა მახვილი არა კისერზე, არამედ ზურგში ამგერა. სიკვდილის წინ მარტილს მხრებზე ჯვარი გამოესახა, რამაც უფრო შთამბეჭდავი გახადა მისი აღსასრული. „ჯალათმა ღონე მოიკრიბა, ჩამოხნელებულ ზეცას მიაბჯინა თვალები და სწრაფად ამგერა მახვილი ერთხელ ზემოთ. ბეჭებთან გადაჯვარედინებულ ხელებშუა, მეორედ - დაბლა, მაჯებშუა. ხოლო აბო უდრტვინველად დუმილით იტანდა ტკივილს და თვალს აყოლებდა მახვილს“ (შატბერაშვილი 2011, 315). ორივე მონაკვეთი აბოს უდიდეს სიმშვიდესა და მოთმინებას გამოხატავს. იგი დუმილით იტანს ტკივილს, რაც მოწამეობრივი აღსასრულის ნათელი გამოხატულებაა. გიორგი შატბერაშვილი კიდევ უფრო დეტალურად, შეიძლება ითქვას, კინემატოგრაფიული კადრივით აღწერს წამების სცენას. „ჯალათმა ღონე მოიკრიბა“, გარკვეული ფიზიკური ძალისხმევით ემზადება დარტყმისათვის, რაც მეტ დრამატიზმს სძენს სიუჟეტს. განსხვავებაა დარტყმის ადგილიც (საბანიძესთან- კისერზე, ხოლო შატბერაშვილთან -ზურგში), ეს კიდევ უფრო მეტ ტკივილს გულისხმობს. აბოს მხრებზე გამოსახული ჯვარი სიმბოლურად მის სულიერ გამარჯვებასა და ქრისტესთან ერთიანობას წარმოაჩენს. გრადა განსხვავებული დასჯის ფორმისა, რომანში აბოს განსხვავებული მიზეზით სჯიან. აბო მეგობრობდა ქართლის ერისმთავრის ვაჟთან. ნერსეს მემკვიდრეს თბილისის ამირა ბაღდადში მძევლად გაგზავნას უპირებდა. აბომ იგი განსაცდელისაგან იხსნა, ქალაქიდან გააპარა. ცალსახაა, რომ მწერლისთვის არაა მთავარი მხოლოდ აბოს პიროვნება წარმოაჩინოს ან მისი ტრაგიკული აღსასრული ასახოს. მისთვის არსებითია, ახსნას არსი და მნიშვნელობა აბოს გმირობა-მარტილობისა. რომანში ამ კუთხით საყურადღებოა რამდენიმე დეტალი. შიოს ძმა, რომელსაც რწმენა დაუგდია და არაბების სამსახურში ჩამდგარა, ქალაქში დარჩენას სთხოვს, შინ ეპატიჟება.

„ - დაასვენე ძვლები, კაცო, დავლიოთ, მტკვრის ცოცხალი მაქვს, სანათლილებოდ იჭერენ და...

- ქრისტეს გადაუდებ და ნათლისღებას მაინც არ იკლებ?“ (შატბერაშვილი 2011, 297)- სიტყვას შეაწყვეტინებს გაკვირვებული შიო. აღნიშნული მონაკვეთის კრიტიკული შეფასება გვაძლევს საშუალებას, ჩავწვდეთ შიოს ძმის პიროვნულ განსხვავებულობას. ქუცნა მტრის მხარეს მყოფი ქართველია, ქრისტე დაუგმია. ძმის სტუმრობისა და ქართულად გამასპინძლების სურვილი ჯერ კიდევ შერჩენია. მკითხველი ეცნობა ორი საპირისპირო ღირებულების მქონე ადამიანს. იქმნება კონტრასტული

მ. ხვედელიძე

სახეები, ძმების ფონზე გვახსენდება ის მძიმე სოციალური ვითარება, რომელიც საბანისძემ აღწერა. არაბებმა როგორ გადაიბირეს ქართველები სხვადასხვა გზით - ზოგი ძალადობით, ზოგი მოტყუებითა და გამოუცდელობით. შიოსთვის ქუცნას საქციელი მიუღებელი და გაუგებარია. „ქრისტეს გადაუდექი“ – ეს ფრაზა გამოხატავს შიოს გაოცებასა და უკმაყოფილებას. მორალური თვალსაზრისით გამოკვეთილია მატერიალური და სულიერი სამყაროს კონფლიქტი. მტკვრის ცოცხალის ნათლისღებისთვის შენახვა გარეგნულ ფორმალურ ერთგულებაზე მიუთითებს, რეალურად ქუცნას დაკარგული აქვს რწმენის ნამდვილი არსი. აღნიშნულ მონაკვეთში აირეკლება მორწმუნეთა იდეალების დაცემა-გაიფება, საბჭოთა ყოფის სინამდვილე, ყალბი და მოჩვენებითი რწმენა, რადგან რელიგიური დღესასწაულების მხოლოდ უხვი სუფრით აღინიშნება. საპატიმროში მყოფ შიოს სიკვდილის არ ეშინია, გაცნობიერებული აქვს, რომ ერთხელ დაბადებული ადამიანი ერთხელ მოკვდება, მაგრამ წუხს ჭირს რომ შეეყარა, თავიც დალუპა და ძმაც დაკარგა. უკანასკნელ ფრაზაში გადაგვარებული, ზნედაცემული ძმის დანახვა იგულისხმება. შიო ქალაქში მცხოვრები ძმის შესახებ ამდენ ინფორმაციას არ ფლობდა. საპყრობილეში კი მისი რეალური სახე დაინახა. პატიმრები მას ბიბლიური ფრაზეოლოგიზმით მოიხსენიებენ - „იუდა უკანბერიძე“. გულმოკლული მოხუცი თვალებს დახუჭავს და სახეზე ხელებს აიფარებს. აღნიშნული მონაკვეთებით მწერალი მერვე საუკუნის ქართლს ასურათებს. თუმცა დრო ლიტერატურაში პირობითად შეიძლება გავიაზროთ, მით უფრო, როცა ისტორიული შინაარსისაა. მასში ორი დრო უნდა აღმოვაჩინოთ: დრო, რომელიც ნაწარმოებშია წარმოდგენილი და ეპოქა, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა. მაშასადამე, მედროვეობის თვალსაზრისით ქუცნას პიროვნებაში მეოცე საუკუნის ადამიანებიც უნდა ამოვიცნოთ.

სხვა ეპიზოდში გიორგი შატბერაშვილი ეპოქას ორიოდ წინადადებითაც ოსტატურად გამოკვეთს: „მოშორებით, ხევის პირას, პატარა თეთრი საყდარი ჩანდა. საყდარს ჯვარი წამტვრეული ჰქონდა“ (შატბერაშვილი 2011, 301). თეთრი საყდარი სიმბოლოა ქრისტიანული სიწმინდისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იმთავითვე ქართული იდენტობის საყრდენი იყო. თუმცა ახლა ჯვარი წამტვრეული აქვს, რაც გამოსახავს ეპოქის ძალადობრივ მიდგომას სარწმუნოებისადმი და სულიერი ღირებულებების გათელვას. შატბერაშვილი საყდარზე დაზიანებულ ჯვარში ავლენს იმდროინდელი საზოგადოების სულიერ კრიზისს, კულტურული მემკვიდრეობის უგულვებელყოფას, ეროვნული იდენტობის შელახვასა და დაკარგულ ტრადიციებს.

საბანისძე ნათლითმოსილ წმინდანად გვიხატავს აბოს. ყოველ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვხვდება მხატვრული სახე - ნათელი.

შატბერაშვილი იმეორებს დამკვიდრებულ სახე-სიმბოლოს, წმინდანს ზურგზე თეთრად გამოესახება ჯვარი. მას ჯალათიც კი შეამჩნევს.

თბილისისკენ შიო ხარებით მოდიოდა. დაპატიმრების დროს იგი ხარებზე დარდობს: „დღეს წყალი არ დაუღვიათ...“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. მერე ის მოწყვეტილი მარჯვენა ხელი მსუბუქად დაჰკრა ჯერ ერთ, მერე მეორე ხარს, დაუტია, წინ გარეკა.

„დილას აქეთია შენც არ ჩაგსვლია ნაწილი პირში“...(შატბერაშვილი 2011, 301). საპატიმროში მყოფი მოხუცი კარგად იცნობს თავისი ხარების, ნისლასა და ირმას, ყრუ ბლავილს, რომლების სადილეგოს ცივ კედლებს შეჰბლავიან. ხარის შემოყვანა თხრობაში არაა შემთხვევითი და მოულოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ იოანე საბანისძესთან მსგავსი შინაარსის მქონე ეპიზოდი არ ფიქსირდება, ქრისტიანული ასპექტებით დატვირთულ რომანში აღნიშნულიც ლოგიკური და ბუნებრივია, რადგან ხარი ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებით წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ასოცირდებოდა ძალასთან, სიმტკიცესთან, გამძლეობასთან. ხარი გახლდათ ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობის განმსაზღვრელი. ქართველი კაცისათვის იგი იყო არსებობის, შენებისა და გამძლეობის ძალის მიმცემი.

გიორგი შატბერაშვილის „აბოს წამების ათი დღე“, არა მხოლოდ იოანე საბანისძის „აბოს წამებასთან“ ამყარებს იდეურ-შინაარსობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ კავშირს, არამედ სასულიერო ლიტერატურის სხვა ტექსტებთან. ბიბლიური ალუზია იგრძნობა მონაკვეთში, როდესაც შიომ თავისი ხარები დაინახა, ქედზე მძიმე უღელი ედგათ, დატვირთული უღელი მსუბუქად მიჰქონდათ მუხათგვერდისკენ. შიოსაც მძიმე უღელი ედგა, მაგრამ თანდათან მსუბუქდებოდა. აღნიშნულ ეპიზოდამდე მოხუცი შიო თავს ძალას ატანს გაიხსენოს სიტყვები.

„იმაგრე და გაიხსენე თუ წაგიკითხავს: უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს...“ (შატბერაშვილი 2011, 313). ქრისტესმიერ შვილს აღნიშნული წაკითხული ექნებოდა მათე სახარების მეათე თავში: „ვინაითგან უღელი ჩემი ამაოა, და ტვირთი ჩემი - მსუბუქი“ (მათე 11, 30: 799). უღელი მსახურებას აღნიშნავს, ტვირთი - ტანჯვას. აღნიშნული ბიბლიური ალუზიით ავტორი ცდილობს ქრისტესათვის თავდადებულ მამაც გმირად მხოლოდ აბო არ დახატოს, არამედ აჩვენოს ტრადიციულ ქრისტიან ქართველთა სახე. აღნიშნული პასაჟი კიდევ ერთი განსხვავებაა მეოცე საუკუნისა და მერვე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

XX საუკუნის მწერალი წმინდა აბო თბილელის შესახებ შექმნილ ლიტერატურულ ტექსტში ახლებური ინტერპრეტაციით ცდილობს წმინდანის სახის შექმნას, მისი ღვაწლის გააზრებას. ქრისტიანული და

მ. ხვედელიძე

ეროვნული იდენტობისათვის თავდადებული წმინდანი შატბერაშვილის თხზულებაში ტრანსფორმირდება, რაც დაკავშირებულია ავტორის ხედვასთან, მის ინდივიდუალიზმთან, თანამედროვე ეპოქის სულიერ და ესთეტიკურ მოთხოვნებთან. წმინდა აბო თბილელის ჰაგიოგრაფიული სახე წარმოადგენს თანამედროვე ლიტერატურული ტრადიციების საფუძველსა და ეროვნული ღირებულებების სულიერ საზრდოს.

ლიტერატურა

- ბიბლია. 2013. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L.“
- საბანისძე, ი. 1987. ჰაბოს წამება. ქართული მწერლობა, ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- შატბერაშვილი, გ. 2011. მკვდრის მზე. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
- ხორგუაშვილი, გ. 1990. „მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე“. ჟურნალი მნათობი, № 5, 1990. თბილისი.

Literature and Literary Theory

Interpretations of the Martyrdom of Abo - ‘The Martyrdom of Abo of Tbilisi’ by Ioane Sabanisdze and ‘Ten Days of Abo’s Martyrdom’ by Giorgi Shatberashvili

Marine Khvedelidze

khvedelidze.marine@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.10>

Georgian spiritual literature played a decisive role in preserving national identity and shaping public consciousness at every stage of history. This tradition emerged from a new perspective in the second half of the 20th century. The article aims to provide a comparative analysis of two works - “The Martyrdom of Abo of Tbilisi” and “Ten Days of Abo’s Martyrdom.” The comparison of artistic-aesthetic and ideological-content aspects confirms the reception of spiritual literature in modern Georgian writing, its literary transformation and interpretation, which is conditioned by the spiritual and aesthetic requirements of different epochs.

Keywords: spiritual literature, interpretation, symbol.

The martyrdom story of the Arab youth Abo represents one of the most significant themes in Georgian literature and Christian worldview. Abo's self-sacrifice is the finest example of faith, spiritual strength, and heroism. This is precisely why Georgian writers keep returning to this theme and present the hero fighting for Christianity from different perspectives.

In 1960, Giorgi Shatberashvili began working on a new novel targeting early feudal Georgia and Saint Abo, who sacrificed himself for our country and faith. Unfortunately, the novel remains unfinished, and we cannot fully understand the writer's complete vision. By observing the title and the existing structure of the novel, then comparing and contrasting it with Ioane Sabanisdze's "Martyrdom of Abo," we can focus on several details. In Ioane Sabanisdze's hagiographic work, it is recorded as an undeniable fact that the saint spent ten days in prison, or more precisely, nine full nights, and was executed on the tenth day. The novel's title "Ten Days of Abo's Martyrdom" draws the reader's attention to the period of torture and its duration. "Ten days" puts Abo's suffering into a chronological framework. This makes the duration of the torture more tangible and real for the reader.

In Shatberashvili's novel, we encounter real historical figures: Nerse (Eristavi of Kartli), his nephew Stepanoz, and the ruler of Abkhazia. From this perspective, we should draw a parallel with the martyrdom text and note that the twentieth-century writer creates a novel under the influence of distant hagiography. Besides real characters, in Shatberashvili's work, we meet fictional characters created by the writer's imagination. These are the Mukhatgverdi brothers: Shio and Kutsna Ukanberidze. The elder brother Shio is a true Christian, while his younger brother, Kutsna, is a traitor. "He wears a Georgian chokha, but he is an unfaithful man. The matter is what kind of heart beats under the chokha's ornaments" (Shatberashvili 2011, 287).

Shio helps a complete stranger, hides him on a cart, and attempts to escort him out of the city. Shio saved the Arab Abo from capture, but he himself ended up in prison, where the overseer is his own brother, the converted-to-Islam Kutsna.

In his work, Ioane Sabanisdze mentions other Christian prisoners who were with Abo in prison, though nothing is said about them. Giorgi Shatberashvili brings this less notable detail from the martyrdom to the forefront and depicts the faces of those prisoners in the novel. Each of them is a fictional character: Iabera, Fandre, and elderly Lazare. The prisoners' common concern is their homeland and how to save it from Arab dominion.

The writer describes in detail the tenth day of Abo's torture and his martyred end. Special attention should be paid to the execution scene. Unlike the hagiographic

მ. ხვედელიძე

work, Giorgi Shatberashvili portrays Abo's execution scene differently, according to which the executioner thrust the sword not into his neck but into his back. Before death, a cross appeared on the martyr's shoulders, making his end more impressive. Shatberashvili describes the torture scene even more meticulously, one might say, like a cinematographic shot. The executioner gathers his strength, preparing for the strike with a certain physical effort, which adds more drama to the plot. There is also a difference in the strike location (with Sabanisdze - on the neck, while with Shatberashvili - on the back), which implies even more pain. Besides the different forms of execution, in the novel, Abo is punished for a different reason. Abo was friends with the son of Kartli's Eristavi. The Emir of Tbilisi was planning to send Nerse's heir to Baghdad as a hostage. Abo saved him from this danger by helping him escape the city. Sabanisdze portrays Abo as a radiant saint. In every hagiographic work, we encounter the artistic image of light. Shatberashvili also repeats this established image symbol, with a white cross appearing on the saint's back. Even the executioner notices it.

It's clear that for the writer, the main focus is not only to portray Abo's personality or depict his tragic end. For him, it's essential to explain the meaning and significance of Abo's heroism and martyrdom. Several details in the novel are noteworthy. Shio's brother, who has abandoned his faith and entered into the service of the Arabs, asks him to stay in the city and invites him home.

"Rest your bones, man, let's drink, I have fresh Mtkvari fish, they catch it for Epiphany and..." "You've forsaken Christ but still won't give up Epiphany?" (Shatberashvili 2011, 297) - the surprised Shio interrupts him. A critical assessment of this passage allows us to understand the personal difference of Shio's brother. Kutsna is a Georgian who has sided with the enemy and denounced Christ. Yet he still retains the desire to host his brother in the Georgian way. The reader meets two people with opposing values. Contrasting images are created, and against the background of the brothers, we are reminded of the difficult social situation that Sabanisdze described - how Arabs won over Georgians in various ways - some through violence, others through deception and inexperience. For Shio, Kutsna's behavior is unacceptable and incomprehensible. This passage reflects the fall and devaluation of believers' ideals, the reality of Soviet life, and false and superficial faith, as religious holidays are marked only by abundant feasts.

In one of the episodes, Giorgi Shatberashvili masterfully emphasizes the epoch in just a couple of sentences: "In the distance, by the ravine, a small white church was visible. The church's cross was broken" (Shatberashvili 2011, 301). The white church is a symbol of Christian purity, which has been the foundation of

Georgian identity throughout the centuries. However, now its cross is broken, which represents the era's violent approach towards religion and the trampling of spiritual values. Through the damaged cross on the church, Shatberashvili reveals the spiritual crisis of the society of that time, the neglect of cultural heritage, the violation of national identity, and lost traditions.

The 20th-century writer attempts to create a new interpretation of the saint's image and understand his contribution through the literary text about Saint Abo of Tbilisi. The saint who sacrificed himself for Christian and national identity is transformed in Shatberashvili's work, which is connected to the author's vision, his individualism, and the spiritual and aesthetic requirements of the modern era. The hagiographic image of Saint Abo of Tbilisi represents the foundation of modern literary traditions and the spiritual nourishment of national values.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

მუსიკა როგორც შოპენჰაუერული ნება (Wille) და
თომას მანის ესე „შოპენჰაუერი“

ნანული კაკაურიძე

nanuli.kakauridze@yahoo.com

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.11>

სტატიაში გაანალიზებულია მუსიკის, როგორც შოპენჰაუერული ნების (Wille), რეცეფცია თომას მანის ესეში „შოპენჰაუერი“, განხილულია ამ თემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, მოკლედ მიმოხილულია გერმანელი ფილოსოფოსის შრომაში ნებისა და წარმოდგენის არსი, განხილულია მუსიკა როგორც ნების ანაბეჭდი და თომას მანის მიერ მუსიკის, როგორც შოპენჰაუერული ნების, გამოხატულება ესეში „შოპენჰაუერი“ („Schopenhauer“), რომელიც 1938 წელს შეიქმნა ამერიკაში მწერლის ემიგრაციის დროს.

საკვანძო სიტყვები: შოპენჰაუერი, ნება, წარმოდგენა, თომას მანი, მუსიკა, პესიმიზმი, ჰუმანიზმი.

არტურ შოპენჰაუერი გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი მთავარი ნაშრომი „სამყარო ვითარება ნება და წარმოდგენა“ (*Die Welt als Wille und Vorstellung*), რომელიც 1818 გამოქვეყნდა, თითქმის შეუმჩნევლად დარჩა გერმანიასა და ევროპაში XIX საუკუნის II ნახევრამდე. შოპენჰაუერის ფილოსოფიის მიმართ ინტერესის გაღვივებამ შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებასა და ხელოვნებაზე, რადგან შოპენჰაუერმა ხელოვნებას დიდი ყურადღება დაუთმო თავის შრომაში.

მოკლედ შოპენჰაუერის ფილოსოფიური ნაშრომის – „სამყარო ვითარება ნება და წარმოდგენა“ – შესახებ:

შოპენჰაუერმა სამყაროზე თავისი შეხედულებები რადიკალურად დაუპირისპირა ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმს. კანტის ფილოსოფიური მსჯელობებიდან გამომდინარე (კანტისეული - *Dinge an sich*, *Dinge für uns*), მან უარყო სამყაროს ობიექტური არსებობა. შოპენჰაუერის ფილოსოფიის თანახმად, სამყარო არსებობს მხოლოდ როგორც სუბიექტის, „მე“-ს, წარმოდგენა (*Vorstellung*) და ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, ინტელექტის ფიქციაა. თავის ნაშრომში შოპენჰაუერმა იდეალისტური

შეხედულება სამყაროზე მოკლე ფორმულით გამოხატა: „არავითარი ობიექტი სუბიექტის გარეშე“. მისი შრომა „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“ („Die Welt als Wille und Vorstellung“) იწყება შემდეგი ფორმულირებით: „Die Welt ist meine Vorstellung“ – dies ist eine Wahrheit, welche in Beziehung auf jedes lebende und erkennende Wesen gilt;“ (Schopenhauer 1990, 35). („სამყარო ჩემი წარმოდგენაა“ – ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი ცოცხალი და შემეცნებელი არსების მიმართ ძალაშია“ (შოპენჰაუერი 2016, 57).

შოპენჰაუერმა ცდისეულად (*Versuch*) დაინახა ორი მიზეზობრივად დაკავშირებული რამ სივრცესა და დროში – ესაა ნება და წარმოდგენა (*Wille und Vorstellung*). შოპენჰაუერის შრომის - „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“ - სტრუქტურა აგებულია „წარმოდგენისა“ (*Vorstellung*) და „ნების“ (*Wille*) ანალიზზე ოთხ თავში: პირველ და მესამე თავებში ფილოსოფოსი ასაბუთებს თავის მოსაზრებებს „წარმოდგენაზე“ (*Vorstellung*): I თავი - „Der Welt als Vorstellung erste Betrachtung“ და III თავი - „Der Welt als Vorstellung zweite Betrachtung“, ხოლო მეორე და მეოთხე თავებში კი თავის მოსაზრებებს „ნების“ (*Wille*) შესახებ: II თავი - „Der Welt als Wille erste Betrachtung“, IV თავი - „Der Welt als Wille zweite Betrachtung“.

სრულიად აშკარაა შოპენჰაუერისეული წარმოდგენის (*Vorstellung*) გაგება იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლებიდან გამომდინარე: „სამყარო ჩემი წარმოდგენაა“. შოპენჰაუერის აზრით, უმაღლესი ცოდნა მდგომარეობს პლატონისეული იდეების წვდომაში, ე. ი. საგანთა არსის შემეცნებაში. იდეას, როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციას, გერმანელი ფილოსოფოსისათვის პირველხარისხობრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან იდეაში წვდომა უდრის ცხოვრების აზრში წვდომას.

რა არის შოპენჰაუერული გაგებით „ნება“ (*Wille*)?

შოპენჰაუერული „ნება“ მეტაფიზიკური გაგებით არის არაცნობიერი ძალა, გონებისა და მიზნის გარეშე ლტოლვა, რომელიც გამოიხატება როგორც ბუნებაში, ასევე ადამიანურ ცნობიერებაში - სახელდობრ ნებელობაში. ადამიანური ნება ამ ძალის ყველაზე ნაცნობი გამოხატულებაა, ამიტომ უწოდა მას შოპენჰაუერმა ნება, ანუ ადამიანის აზრამდელი ალოგიკური ქმედება. სიცოცხლის ნება, შოპენჰაუერის მიხედვით, სამყაროს საფუძველია, ის უმოტივო მისწრაფებაა.

შოპენჰაუერის აზრით, არაცნობიერი ნება არის სამყაროს ძირი. ეს არის „ბრმა“, მარად არაცნობიერი მისწრაფებაა სიცოცხლისაკენ, არსებობისაკენ. ნება („*Wille*“) – ის ძალაა, რაც ცხოვრებისაკენ გვიბიძგებს. მისი აზრით, ადამიანის არსებობა განპირობებულია ბრმა ძალით – ცხოვრების ნებით, იგი წყაროა ყოველგვარი წინააღმდეგობის, გაჭირვებისა და ტანჯვის.

ნ. კაკაურიძე

ნება აიძულებს ადამიანს მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს, მაგრამ სასურველის მიღწევით გამოწვეული გამარჯვებისა და დაუფლების სიხარული მალე ქრება. ბედნიერება, ტკბობა, კმაყოფილება – მხოლოდ დროებითი და წარმავალია. ცხოვრების წინააღმდეგობა ისაა, რომ ნებიდან გამომდინარე მოქმედებას არ მოაქვს დაკმაყოფილება, ნება დაუცხრომელია. შოპენჰაუერის აზრით, მისი სურვილები უსაზღვროა და ყოველი სურვილის დაკმაყოფილება წარმოშობს ახალს. სამყაროში არ არსებობს ისეთი დაკმაყოფილება, რომელსაც შეეძლებოდა ჩაეცხრო მისწრაფებები, ბოლო მოეღო გულისთქმათათვის და ამოეცხო გულის უძირო უფსკრული:

ყველაზე გონივრული, შოპენჰაუერის აზრით, რაც შეიძლება გააკეთოს ადამიანმა, არის თვითშემეცნება. აქეთკენ ორ გზას მივყავართ: **ფილოსოფიასა და ხელოვნებას.**

ხელოვნება, შოპენჰაუერის აზრით, გვევლინება არა მარტო იდეათა, არამედ საერთოდ ცხოვრების შეცნობის საშუალებად. ამ ფორმას ესთეტიკური ტკბობა ეწოდება. შემოქმედებითი პროცესი გერმანელ მოაზროვნეს შემდეგნაირად წარმოუდგენია: მხატვარი რეალური საგნებიდან და მოვლენებიდან გამოჰყოფს მათ იდეას. იგი ასახავს არა თვით სინამდვილეს, არამედ მის იდეას, ჩამოაშორებს რა მას ყოველგვარ შემთხვევითსა და გარეშე ელემენტებს.

შოპენჰაუერის აზრით, იდეების აღქმა შეუძლებელია რაციონალური გზით, მისი გადმოცემა მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია. მხოლოდ ხელოვნებით, მშვენიერებით ტკბობა ათავისუფლებს ადამიანს ნების ბატონობისაგან და, შესაბამისად, ტანჯვისაგან, თუმცა ეს დროებითია. მეტაფიზიკური სამყაროს აღქმისათვის აუცილებელია გარე ნივთებზე მიმართული მზერა შემოვარდნით შიგნით, საკუთარი „მე“-საკენ. ესთეტიკური მჭვრეტელობა, ფილოსოფია განტვირთავს ადამიანს რეალობის ზეწოლისაგან, ანიჭებს მას გათავისუფლებულ შემეცნებას, მაგრამ ეს დროებითია (შოპენჰაუერი 2016, 255).

შოპენჰაუერის ხელოვნების ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას.

სამეცნიერო შრომები, რომლებიც შოპენჰაუერის ფილოსოფიაში მუსიკის, როგორც ნების, გააზრებას ეძღვნება, არც თუ მრავლად გვხვდება. უპირველესად უნდა აღინიშნოს სტატიების კრებული სათაურით - „Musik als Wille und Welt“ („მუსიკა როგორც ნება და სამყარო“), რომელიც 2011 წელს გამოიცა ქ. ვიუცბურგში მათიას კოსლერის რედაქტირებით. კრებულის შესავალში მკვლევარი გიუნთერ ცოლერი ხაზგასმით მიუთითებს, რომ შოპენჰაუერმა თავის ნაშრომში წარმოაჩინა მუსიკის შეუდარებელი ზეგავლენა ადამიანზე და მას „ნების ანაბეჭდი“ უწოდა

(Zöller 2011, 21). ავტორი აქვე მიუთითებს, რომ შოპენჰაუერის მუსიკის ფილოსოფიის შესახებ მხოლოდ ერთი, რაიმონდ ვაიერის 1976 წელს გამოცემული მონოგრაფია არსებობს (Weyer 2011). მათი კოსლერის რედაქტირებით გამოცემულ კრებულში კი საინტერესო სამეცნიერო სტატიები აქვთ გამოქვეყნებული შტეფან ატცერტს (Atzert 2011), ლუდგერ ლუტკეჰაუსს (Lütkehaus 2011), შტეფან ლორენც ზორგნერს (Sorgner 2011), შტეფან გრეტცელს (Grätzel 2011). აქვე გვინდა აღვნიშნოთ შოპენჰაუერის ლექსიკონის („Schopenhauer-Handbuch. Leben-Werk-Wirkung“) მეორე გამოცემა დანიელ შუბესა და მათი კოსლერის რედაქტირებით 2018 წელს, სადაც ავტორები მოკლედ ეხებიან შოპენჰაუერის მუსიკის ფილოსოფიასაც (Schubbe und Koßler (Hrsg) 2018). კონკრეტულად კი ამ ლექსიკონში არის ქვეთავი სათაურით: „Sonderstellung der Musik“, სადაც ბერნჰარდ ადამი განიხილავს საკითხს შოპენჰაუერისადმი ზოგიერთი კომპოზიტორის მიმართების შესახებ. (Adamy 2018, 77-79).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შოპენჰაუერის ფილოსოფიური შრომის - „სამყარო ვითარდა ნება და წარმოდგენა“ - ქართული თარგმანი, შესრულებული ვიქტორ რცხილაძის მიერ, რომელიც 2016 წელს გამოიცა. მთარგმნელი წინასიტყვაობის მეექვსე პუნქტში ხაზს უსვამს მუსიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შოპენჰაუერის შრომაში და ცნობილ მკვლევარს, ალექსეი ლოსევს, იმოწმებს (შოპენჰაუერი 2016, 13).

როგორ წარმოადგენს შოპენჰაუერი თავის ნაშრომში მუსიკას როგორც ნების ანაბეჭდს?

შოპენჰაუერი მიიჩნევს, რომ „...შედარების პუნქტი მუსიკასა და სამყაროს შორის, თვალსაზრისი, რომლითაც მუსიკა სამყაროსადმი მიბადვის, ან განმეორების დამოკიდებულებაში იმყოფება, ძალზე ღრმად არის დაფარული“ (შოპენჰაუერი 2016, 296), რომ მუსიკა ხელოვნების ყველა დარგებიდან განსხვავებული და მნიშვნელოვანია, იგი ნების უშუალო ასახვაა: „მუსიკა... იმით განსხვავდება ყველა სხვა ხელოვნებისაგან, რომ იგი არაა მოვლენის ასახვა, ...არამედ თავად ნების უშუალო ასახვაა და სამყაროს ყველა ფიზიკურის მიმართ მეტაფიზიკურს, ყველა მოვლენის მიმართ საგანს თავისთავად წარმოადგენს“ (შოპენჰაუერი 2016, 302) („...die Musik ...steht abgesondert von allen andern....dennoch ist sie eine so große und überaus herrliche Kunst, wirkt so mächtig auf das Innerste des Menschen, wird dort so ganz und so tief von ihm verstanden, als eine ganz allgemeine Sprache, deren Deutlichkeit sogar die der anschaulichen Welt selbst übertrifft“ (Schopenhauer 1990, 368).

შოპენჰაუერის აზრით, მხოლოდ მუსიკაში აღმოვაჩენთ ადამიანური გულის ფარულ ცხოვრებას. შოპენჰაუერი იყენებს ლაიბნიცის მოსაზრებას: „Musica est exercitium metaphysices occultum nescientis se philosophari

ნ. კაკაურიძე

animi”. (Schopenhauer 1990, 380). („მუსიკა არის შეუცნობელი ვარჯიში მეტაფიზიკაში, რომლის დროსაც სულმარუწყის, რომის ფილოსოფოსობს“). ფილოსოფოსის აზრით, მხოლოდ მუსიკაში აღმოვაჩენთ ადამიანური გულის ფარულ ცხოვრებას. მუსიკა არასოდეს გამოხატავს მოვლენას, არამედ მხოლოდ შინაგან არსს, თავად ნებას, იგი გამოხატავს სიხარულს, დარდს, მწუხარებას, საშინელებას, აღტაცებას, მხიარულებას, სულიერ სიმშვიდეს, როგორც ასეთებს, გარკვეული აზრით in abstracto გამოხატავს მათში არსებითს, მუსიკა ყოველთვის გამოხატავს მხოლოდ სიცოცხლისა და მისი პროცესების კვინტესენციას და არა ამ პროცესებს: „მუსიკა... ისეთივე უშუალო ობიექტივაციაა და მთელი ნების ასახვაა, როგორც თავად სამყარო... მუსიკა არ წარმოადგენს იდეების ასახვას, არამედ ნების ასახვას... ამიტომაცაა სწორედ მუსიკის ზემოქმედება გაცილებით მძლავრი და გულში ჩამწვდომი, ვიდრე დანარჩენი ხელოვნება, რადგან ესენი მეტყველებენ მხოლოდ ჩრდილზე, ის კი – არსზე“ (შოპენჰაუერი 2016, 13) („Die Musik ist nämlich eine so unmittelbare Objektivation und Abbild des ganzen Willens, wie die Welt es selbst ist, ja wie die Ideen es sind, ... Die Musik ist also keineswegs, gleich den andern Künsten, das Abbild der Ideen, sondern Abbild des Willens selbst ... deshalb eben ist die Wirkung der Musik so sehr viel mächtiger und eindringlicher, als die der andern Künste: denn diese reden nur vom Schatten, sie aber vom Wesen“) (Schopenhauer 1990, 370).

შოპენჰაუერის აზრით, მუსიკა მთელი ნების უშუალო ობიექტივაციაა, იგი არის თავად ნების ანაბეჭდი, რომლის ობიექტურობად გვევლინებიან იდეები: „Denn die Musik ist, wie gesagt, darin von allen andern Künsten verschieden, daß sie nicht Abbild der Erscheinung, oder richtiger, der adäquaten Objektität des Willens, sondern unmittelbar Abbild des Willens selbst ist und also zu allem physischen der Welt das Metaphysische, zu alle Erscheinung das Ding an sich darstellt (Schopenhauer 1990, 377).

მუსიკის, როგორც ნების უშუალო ობიექტივაციის, წარმოდგენისას შოპენჰაუერი გამოჰყოფს **მელოდიის** განსაკუთრებულ ფუნქციას. მელოდია, მისი აზრით, მოგვითხრობს ნების ყველაზე უფრო იდუმალ ისტორიას, გვიხატავს ყველა მის გულისწადილს, ყოველ სწრაფვას, ყველა მოძრაობას, ყველაფერ იმას, რასაც გონება აერთიანებს გრძნობის ფართო და ნეგატიურ ცნებაში, რომ მუსიკა გრძნობისა და ვნების ენას წარმოადგენს: „...Die Melodie ... erzählt folglich die Geschichte des von der Besonnenheit beleuchteten Willens, dessen Abdruck in der Wirklichkeit die Reihe seiner Thaten ist; aber sie sagt mehr, sie erzählt seine geheimste Geschichte, malt jede Regung, jedes Streben, jede Bewegung des Willens, alles Das, was die Vernunft unter den weiten und negativen Begriff Gefühl zusammenfaßt und nicht weiter

in ihre Abstraktionen aufnehmen kann. Daher auch hat es immer geheißen, die Musik sei die Sprache des Gefühls und der Leidenschaft...“ (Schopenhauer 1990, 373).

მუსიკა არაა მჭვრეტელობითი სამყაროს მოვლენების უშუალო ასახვა, ის არის ყველა მოვლენის შინაგანი არსის გადმოცემის საშუალება, თავად ნების გამოხატულება: „Man darf jedoch bei der Nachweisung aller dieser vorgeführten Analogien nie vergessen, daß die Musik zu ihnen kein direktes, sondern nur ein mittelbares Verhältnis hat; da sie nie die Erscheinung, sondern allein das innere Wesen, das Ansich aller Erscheinung, den Willen selbst, ausspricht (Schopenhauer 1990, 375).

შოპენჰაუერის აზრით, მუსიკაში მელოდია გამოხატავს არამართ ნების მრავალგვაროვან მისწრაფებას, არამედ ამაღდროულად კმაყოფილებას ჰარმონიული საფეხურის, ძირითადი ტონალობის, საბოლოო მოპოვებით. მუსიკა საყოველთაო ენით გამოხატავს სამყაროს შინაგან არსს, სამყაროს თავისთავად (*An sich*), და ამას აღწევს მხოლოდ ბგერების მეშვეობით, უდიდესი განსაზღვრულობითა და ჭეშმარიტებით:

“Wenn ich nun in dieser ganzen Darstellung der Musik bemüht gewesen bin, deutlich zu machen, daß sie in einer höchst allgemeinen Sprache das innere Wesen, das Ansich der Welt, welches wir, nach seiner deutlichsten Aeüßerung, unter dem Begriff Willen denken, ausspricht, in einem einartigen Stoff, nämlich bloßen Tönen, und mit der größten Bestimmtheit und Wahrheit; (Schopenhauer 1990, 379-380).

როგორია მუსიკის შოპენჰაუერული გაგების რეცეფცია თომას მანის ესეში „შოპენჰაუერი“?

ცნობილია თომას მანის განსაკუთრებული ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ (იხ. Fähnrich 1986; Nündel 1972; Jung 1969). აქვე უნდა აღინიშნოს დიდი გერმანელი მწერლის დამოკიდებულება „სამეფარსკვლავედის“ (ნიცშე, შოპენჰაუერი, ვაგნერი) მიმართ, რაც სიღრმისეულად იჩენს თავს მის შემოქმედებაში.

თომას მანის ესე „შოპენჰაუერი“ („Schopenhauer“) 1938 წელს შეიქმნა მწერლის ამერიკაში ემიგრაციის დროს ამერიკის შოპენჰაუერის საზოგადოების წინადადების საფუძველზე. ამ პერიოდში მწერალი თავის დღიურებში აღნიშნავდა, რომ ინტერესით წაიკითხა შნაიდერის წიგნი შოპენჰაუერის ბიოგრაფიაზე. 1937 წლის 23 ივლისს კი იგი თავის დღიურში მიუთითებდა: „Studien über die Schopenhauers“. ეს მოსაზრება „შოპენჰაუერთა“ შესახებ უკავშირდება მის მიერ მასალის მოძიებას რომანისათვის „ლოტე ვაიმარში“, სადაც, როგორც პერსონაჟი, არტურ შოპენჰაუერის დედა - ადელე შოპენჰაუერი, ჩნდება.

6. კაკაურიძე

თომას მანის ესე „შოპენჰაუერი“ პირველად ამერიკაში გამოიცა 1939 წელს, ხოლო შემდგომ ინგლისში. მომდევნო წლებში ესე ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ჰოლანდია, საფრანგეთი, დანია, ნორვეგია, ესპანეთი, ბულგარეთი, პორტუგალია, შვედეთი, ციურიხი, ჩეხეთი, საბერძნეთი, იაპონია და ა.შ.).

ესეში „შოპენჰაუერი“ თომას მანი მიუთითებს, რომ შოპენჰაუერმა თავის ფილოსოფიაში იმეძკვიდრა „იდეები“ და „საგანი თავისთავად“. მწერალი, ცხადია, გულისხმობს უპირველესად პლატონის იდეებსა და ასევე კანტის ფილოსოფიის ცნობილ ფორმულას - „საგანი თავისთავად“ (*Ding an sich*). შოპენჰაუერის აზროვნების ისტორია, მწერლის აზრით, უკან უბრუნდება დასავლური აზროვნების საწყისებს - კონკრეტულად - ჯერ პლატონის ფილოსოფიას, რომლის მიხედვით საგნებს რეალური ყოფიერება არ გააჩნიათ, ხოლო შემდგომ კანტის ფილოსოფიას.

თომას მანი ზუსტად განსაზღვრავს შოპენჰაუერის ფილოსოფიურ სისტემაში ნებისა და წარმოდგენის არსს:

„Der Wille also, dieses außerhalb von Raum, Zeit und Kausalität stehende AnSich der Dinge, verlangte blind und grundlos, aber mit wilder und unwiderstehlichen Gier und Lust nach Sein, nach Leben, nach Objektivisierung, und diese Objektivisierung vollzog sich auf die Weise, daß aus seiner ursprünglichen Einheit eine Vielheit wurde, was treffend als das principium individuationis zu bezeichnen war... Die Welt war also ganz und gar Willensprodukt und – ausdrück, die Objektität des Willens im Raume und in der Zeit. Sie war aber außerdem und in Einem damit noch etwas Anderes: nämlich Vorstellung, meine und deine Vorstellung, die Vorstellung eines jeden und ihre Vorstellung von sich selbst“ (Mann Th. 1955, 303).

თომას მანის აზრით, შოპენჰაუერის ფილოსოფია ნების ფილოსოფიაა, ნება კი არის განუწყვეტელი სწრაფვა რაიმესადმი, რომლის მიუღწევლობა ტანჯვას იწვევს, ეს ყოველივე მტანჯველი და პესიმიზმის გამომწვევია: „Wille, als Gegenstand ruhendes Genügens ist an sich selbst etwas fundamental ruhendes Genügens, ist an sich etwas fundamental Unseliges; er ist Unruhe, Streben nach etwas, Notdurft, Lechzen, Gier, Verlangen, Leiden, und eine Welt des Willens kann nichts anders, als eine Welt des Leidens sein“ (Mann Th. 1955, 305).

სრულიად შეგნებულად ვუვლით გვერდს შოპენჰაუერის ფილოსოფიის სხვა მნიშვნელოვან საკითხთა ანალიზს თომას მანის ესეში, რაც ძალზედ ღრმად და საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი დიდ გერმანელ მწერალს. შემოვიფარგლებით მხოლოდ ხელოვნების ფილოსოფიის, და, კონკრეტულად, მუსიკის თომას მანისეული ანალიზით შოპენჰაუერის შრომაში.

თომას მანი თავის ესეში ხაზგასმით მიუთითებს, რომ შოპენჰაუერის ფილოსოფია ხელოვნების ფილოსოფიაა და იგი ყოველთვის აღიქმებოდა როგორც *par excellence* ხელოვნების ფილოსოფია: „Die Philosophie Artur Schopenhauers ist immer als hervorragend künstlerisch, ja als Künstlerphilosophie *par excellence* empfunden worden (Mann Th. 1955, 295).

თომას მანის აზრით, შოპენჰაუერის აზროვნების სტილი ნათელი, ელეგანტური, იუმორით გაჯერებული, კლასიკურად დიდებულია და, ამავედროულად, ენისა და სტილის სიმკაცრის მქონეა, ისეთი, როგორც არც ერთ გერმანელ ფილოსოფოსს ჰქონია მანამდე. ხელოვნის როლი კი შოპენჰაუერისათვის ჰერმეტიულ-ჯადოსნურია, რაც ზოგადად ხელოვნების კოსმიურ პოზიციაზე მიუთითებს: „Die vermittelnde Aufgabe des Künstlers, seine hermetisch-zauberhafte Rolle als Muster zwischen oberer und unterer Welt, zwischen Idee und Erscheinung, Geist und Sinnlichkeit kommt hier zum Vorschein; denn dies ist in der Tat die sozusagen kosmische Stellung der Kunst“ (Mann Th. 1955, 299).

თომას მანი განსაკუთრებულ იტერესს იჩენს კომპოზიტორთა შესახებ ფილოსოფოსის შრომაში დაფიქსირებული შეხედულებების მიმართ. შოპენჰაუერის აზრით, კომპოზიტორი თავის შემოქმედებაში ახსნის სამყაროს შინაგან არსს და გამოხატავს უღრმეს სიბრძნეს იმის მსგავსად, როგორც სომნამბულა მაგნეტიზმის მდგომარეობაში განაცხადებს ხოლმე ისეთ საგნებზე, რომელთა შესახებ ცხადში მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ამის მიზეზია ის, რომ მუსიკა, ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, არის მსოფლიო ნების უშუალო გამოხატულება, იგი ყველაზე მაღალი რანგის ხელოვნებაა.

თომას მანი თავის ესეში რიჰარდ ვაგნერისა და ფრიდრიჰ ნიცშეს მიმართებებსაც ეხება შოპენჰაუერისადმი და მიუთითებს, რომ ვაგნერი ეთანხმებოდა შოპენჰაუერის მოსაზრებას მუსიკის, როგორც ირაციონალური ხელოვნების, შესახებ და შეუძლებლად მიაჩნდა მისი (მუსიკის) ობიექტური მეცნიერული ანალიზი. შოპენჰაუერის ზეგავლენით ვაგნერისათვის სამყაროს საფუძველი იყო შეუცნობადი ნება, ხოლო ამ ნების ობიექტური გამოხატულება კი - იდეები, ამ ცნების პლატონური გაგებით. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ რიჰარდ ვაგნერისათვის შოპენჰაუერის მოძღვრება, თომას მანის აზრით, იქცა „ზეცის ჭეშმარიტ საჩუქრად“.

ფრიდრიჰ ნიცშე კი შოპენჰაუერს მიიჩნევდა როგორც დიდ მოძღვარს და თავის შრომაში „დროის შეუსაბამო მსჯელობებები“ („Unzeitgemäße Betrachtungen“) მას მიუძღვნა ერთი თავი სათაურით - „შოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი“ („Schopenhauer als Erzieher“). თომას მანის აზრით, ნიცშეს შრომაში - „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ („Die Geburt

ნ. კაკაურიძე

der Tragödie aus dem Geiste der Musik“) - იგრძნობა შოპენჰაუერული ფილოსოფიური აზროვნების კვალი.

როგორ წარმოადგენს თომას მანი თავის ესეში მუსიკის შოპენჰაუერულ გაგებას?

თომას მანისათვის თავად შოპენჰაუერი, როგორც პიროვნება, „ძალზედ მუსიკალური“ იყო, ხოლო მისი შრომა „სამყარო ვითარება ნება და წარმოდგენა“, მწერლის აზრით, „ოთხნაწილიანი სიმფონიაა“, რომ შოპენჰაუერმა თავისი ნაშრომის მესამე ნაწილში - „ხელოვნების ობიექტი“ („Objekt der Kunst“) - მუსიკა ისე „აზიდა“, როგორც აქამდე არავინ სხვამ, რადგან მუსიკა მისთვის არის ნების უშუალო ასახვა და წარმოადგენს ფიზიკური სამყაროს მეტაფიზიკურ საწყისს, ანუ იგი არის საგანი თავისთავად, რომ მუსიკაში ინტელექტი ემსახურება ნებას: „Schopenhauer ist sehr musikalisch: wiederholt nannte ich sein Hauptwerk eine viersätzliche Symphonie und in ihrem dritten, dem „Objekt der Kunst“ gewidmeten Satz hat er die Musik gefeiert wie kein anderer Denker es je getan“ (Mann Th. 1955, 324).

თომას მანი მიუთითებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისათვის დამახასიათებელ ეთიკურ-პესიმისტურ ტენდენციებზე და აქვე დაასკვნის, რომ მუსიკა გამოხატავს ცხოვრების ამ „ეთიკურ-პესიმისტურ სურნელს“ („Auch Musik gehört zu dieser „ethisch-pessimistischen“ Lebensluft“) (Mann Th. 1955, 324). შოპენჰაუერს ძალზედ უყვარდა მუსიკა, რაც, თომას მანის აზრით, სულიერად უკავშირდება სიკვდილის სფეროს. მწერალი აქვე მიუთითებს, რომ მის „ჯადოსნურ მთაში“ არის „შოპენჰაუერის ზეგავლენის ღრმად შთამბეჭდავი და მთელი ცხოვრების მანძილზე გაყოლილი ღრმა კვალი. მწერალი იმეორებს „ჯადოსნურ მთაში“ გამოთქმულ თავის მოსაზრებას: „Wer sich für das Leben interessiert, der interessiert sich namentlich für den Tod“ („ვისაც სიცოცხლე აინტერესებს, მას სიკვდილიც აინტერესებს“), მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ისიც შოპენჰაუერული იქნებოდა, რომ თავად მას (მწერალს) აქვე დაემატებინა: „Wer sich für den Tod interessiert, der sucht in ihm Leben“ („ვისაც სიკვდილი აინტერესებს, იგი მასში სიცოცხლეს ეძებს“): „Wer sich für das Leben interessiert“, habe ich im „Zauberberg“ gesagt, „der interessiert sich namentlich für den Tod“. Das ist die Spur Schopenhauers, tief eingedrückt, haltbar für das ganze Leben. Es wäre auch schopenhauerisch gewesen, wenn ich hinzugefügt hätte: „Wer sich für den Tod interessiert, der sucht in ihm Leben“ (Mann Th. 1955, 324).

აქედან გამომდინარე, გასაგებია თომას მანის მოსაზრება, გამოთქმული 1925 წელს, Berliner Börsen-Courier-ში, „ჯადოსნური მთის“ პროტაგონისტის, ჰანს კასტორპის, მხატვრული სახის შესახებ: „Schon in seinem Verhältnis zum Tode und zum Laster kommt etwas Bereitwilliges, Offenes und Waghalsiges

zum Vorschein - der Wille, alles zu Ende zu experimentieren. ... und... ist etwas zutiefst Deutsches in Hans Castorp“ (Hansen, Heine 1983, 76).

სრულიად ნათელია თომას მანის ზემოაღნიშნული მოსაზრება „ნების“, „ყოველივეს ბოლომდე ექსპერიმენტირებისა“ და „ჯადოსნური მთის“ პროტაგონისტის „ღრმა გერმანულობის“ შესახებ, რასაც მწერალი ასახავს რომანში ჰანს კასტორპის მიერ მუსიკის აღქმისას.

თომას მანი აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი ბუნების ადამიანებს, მათ შორის კომპოზიტორებსაც, ხშირად ფილოსოფიის „მოღალატეებს“ უწოდებენ და მას სამაგალითოდ მოჰყავს ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდე“. მისი აზრით, ვაგნერმა შოპენჰაუერის ფილოსოფია თავისებურად „გაიგო“, როდესაც თავისი ეროტიკული თეატრალური მისტერია მოაქცია შოპენჰაუერული მეტაფიზიკის გავლენის ქვეშ. სინამდვილეში კი ეს იყო ვნების კოსმოგონია, მისტერია სიყვარულზე:

„Was von Schopenhauer auf Wagner wirkte und worin dieser sich wiedererkannte, war die Welterklärung aus dem „Willen“, dem Triebe, die erotische Konzeption der Welt (das Geschlecht als Brennprodukt des Willens), von der Tristan-Musik und ihre. Sehnsuchtskosmogonie bestimmt sind.... Es wird darin gleichsam die erotische Süßigkeit, die berausende Essenz aus der Philosophie Schopenhauers gesogen, die Weisheit aber liegen gelassen“ (Mann Th. 1955, 327).

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მივიჩნევთ თომას მანის მოსაზრებებს მისი ესეს - „შოპენჰაუერის“- ბოლო, დასკვნით ნაწილში, სადაც მწერალი გამოკვეთილად მიუთითებს მისი ეპოქისათვის დამახასიათებელ ანტიჰუმანურობასა და პესიმიზმზე. მწერალი მახვილს სვამს ჰუმანიზმის აუცილებლობაზე, რაც მას მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია მისსავე ეპოქაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია, რომ ესე „შოპენჰაუერი“ შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში თომას მანის იმუღებებით ემიგრაციის პერიოდში. მწერალი, მართალია, ესეში კონკრეტულად არ მოიხსენიებს ამ პერიოდის ფაშისტურ გერმანიაში ადამიანთა გარკვეული ნაწილის მძიმე მდგომარეობას, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია მისი უარყოფითი პოზიცია ფაშისტური რეჟიმის მიმართ. მწერლისათვის ჰუმანიზმი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, შოპენჰაუერის პესიმიზმი კი, მისი აზრით, ადამიანური ჰუმანიზმისაკენ იხრება, მის ფილოსოფიაში ერთმანეთს ერწყმის პესიმიზმი და ჰუმანიზმი, ფილოსოფოსის „პესიმისტური ჰუმანიზმი“ მომავლისაკენ არის მიმართული, იგი სრულიად „თანამედროვეა“. შოპენჰაუერის სულიერება, ცხოვრება, აზროვნება და ფილოსოფია არ იყო მხოლოდ მისი გონებრივი მუშაობის შედეგი, არამედ ეს იყო ფილოსოფოსის გონითა და სულიერებით აღსავსე ქმედება, რომელსაც შეუძლია ადამიანურობის აღდგენა, რადგან

ნ. კაკაურიძე

ხელოვნება, რომელიც თან სდევს ადამიანს მისი ცხოვრების ძნელ გზაზე, ყოველთვის აღწევდა თავის კეთილშობილურ მიზანს.

ლიტერატურა

- შოპენჰაუერი, ა. 2016. *სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა*. ტომი I. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ. თბილისი: გამომცემლობა Carpe diem.
- Adamy, B. 2018. "Schopenhauer und einige Komponisten". In: *Schopenhauer-Handbuch. Leben-Werk-Wirkung. 2., aktualisierte und erweiterte Auflage*. Stuttgart: Metzler.
- Atzert, St. 2011. „Musik und Freiheit vom Willen? Zum reinen Subjekt des Erkennens und der Empfindung beim Musikhören“. In: *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*. Grätzel, St. 2011. „Musikalische bei Schopenhauer und Wagner“. In: *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*.
- Fähnrich, H. 1986. *Thomas Manns episches Musizieren im Sinne Richard Wagners*. Frankfurt a. Main.
- Hansen, V., Heine, G. (Hrsg.) 1983. *Frage und Antwort-Interviews mit Thomas Mann 1909-1955. Hrsg. von Volkmar Hansen und Gert Heine*. Albrecht Klaus Verlag, Hamburg.
- Jung, U. 1969. *Die Musikphilosophie Thomas Manns*. Regensburg.
- Koßler, M. (Hrsg.) 2011. *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*.
- Lütkehaus, L. 2011. „Der Wille als Welt und Musik. Arthur Schopenhauers Musikphilosophie“. In: *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*.
- Mann, Th. 1055. „Schopenhauer“. In: *Gesammelte Werke. Zehnter Band*. Aufbau-Verlag, Berlin.
- Nündel, E. 1972. *Die Musiktheorie Thomas Manns*. Bonn.
- Schopenhauer, A. 1990. *Die Welt als Wille und Vorstellung*. Bd. I. Philipp Reclam, Stuttgart.
- Schubbe D. und Koßler M. (Hrsg.). 2018. *Schopenhauer-Handbuch. Leben-Werk. Wirkung. 2. aktualisierte und erweiterte Auflage*. Metzler, Stuttgart.
- Sorgner, St. L. 2011. „Die besondere ethische Bedeutung von Musik in Schopenhauers Philosophie“. In: *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Günter Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*.
- Weyer, R. 2011. *Arthur Schopenhauers Philosophie der Musik*. Regensburg: 1976.
- Zöller, G. 2011. „Vorwort“. In: *Musik als Wille und Welt. Hrsg. von Mattias Koßler. Günter Verlag Königshausen und Neumann, Würzburg*.

Literature and Literary Theory

Music as Schopenhauerian Will (*Wille*) and Thomas Mann's Essay *Schopenhauer*

Nanuli Kakauridze

nanuli.kakauridze@yahoo.com

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.11>

The given article analyzes the reception of music as Schopenhauerian Will (Wille) in Thomas Mann's essay "Schopenhauer," discusses the existing scholarly literature on this topic, briefly reviews the idea of Will and Representation in the German philosopher's work, examines music as an imprint of the Will, and explores the interpretation of music as Schopenhauerian Will by Thomas Mann in the essay "Schopenhauer," which was written in 1938 during the writer's American emigration.

Keywords: Schopenhauer, Will, Representation, Thomas Mann, Music, Pessimism, Humanism.

Schopenhauer radically opposed his views of the world to Hegel's objective idealism. Based on Kant's philosophical arguments (Kant's - *Dinge an sich*, *Dinge für uns*), he denied the objective existence of the world. Thus, according to Schopenhauer's philosophy, the world exists only as a representation (*Vorstellung*) of the subject, the "I," and everything we see is a fiction of the intellect.

The structure of Schopenhauer's work, "The World as Will and Representation," is built on the analysis of "Representation" (*Vorstellung*) and "Will" (*Wille*) in four chapters: In the first and third chapters, the philosopher explains his views on "Representation" (*Vorstellung*): Chapter I - "Der Welt als Vorstellung erste Betrachtung" and Chapter III - "Der Welt als Vorstellung zweite Betrachtung"; while in the second and fourth chapters, he discusses his views on "Will" (*Wille*): Chapter II - "Der Welt als Wille erste Betrachtung," Chapter IV - "Der Welt als Wille zweite Betrachtung".

Schopenhauerian *Will* in a metaphysical sense is an unconscious force, a striving without reason or purpose, which is revealed both through nature and human consciousness - namely, in volition. Human will is the most familiar expression of this force, which is why Schopenhauer called it Will, that is, pre-rational illogical human action. The will to live, according to Schopenhauer, is the foundation of the world, it is an unmotivated aspiration.

6. კვალიშედეგი

According to Schopenhauer, the unconscious *Will* is the basis of the world. It is a “blind,” eternally unconscious striving for life, for existence. Will (*Wille*) is the force driving us towards life. In his view, human existence is conditioned by a blind force - the will to live. It is the source of all opposition, hardship, and suffering. The Will forces men to achieve certain goals, but the joy of victory and possession caused by achieving the desired result quickly disappears. Happiness, pleasure, satisfaction are only temporary and transient. The contradiction of life is that the action caused by the Will does not bring satisfaction, the Will is insatiable, in Schopenhauer’s view, its desires are endless, and the achievement of every desire triggers a new one.

The most reasonable thing a person can do, according to Schopenhauer, is to acquire self-knowledge. And there are two ways to this: philosophy and art.

Art, in Schopenhauer’s view, appears not only as a means of understanding ideas, but also of life in general. This form is called aesthetic pleasure. The German philosopher imagines the creative process in the following way: the artist extracts the idea of real objects and events. He depicts not the reality itself, but its idea, removing it from all accidental and extra elements.

In Schopenhauer’s view, the perception of ideas is impossible in a rational way. It can only be conveyed by art. Only through art and enjoyment of beauty, can a person be freed from the domination of the Will and, consequently, from suffering, although this is temporary. In order to perceive the metaphysical world, it is necessary to turn our gaze directed at external things inward, towards our own “I.” Aesthetic contemplation, or philosophy, relieves a person from the pressure of reality, grants him liberated knowledge, but this is temporary.

In Schopenhauer’s philosophy of art, music is of particular importance.

Scholarly works dedicated to understanding music as the Will in Schopenhauer’s philosophy are not numerous. First and foremost, mention should be made of the collection of articles titled “Musik als Wille und Welt” (*Music as Will and World*), published in 2011 in Würzburg, edited by Matthias Koßler (Koßler, M.). In the introduction to this collection, the researcher Günter Zöller (Zöller, G.) emphasizes that Schopenhauer, in his work, demonstrated the incomparable influence of music on man and called it “the imprint of the Will”. He also points out that there is only one monograph on Schopenhauer’s philosophy of music, by Raymond Weyer (Weyer, R), and that it was published in 1976. The collection edited by Matthias Koßler contains interesting scholarly articles by Stephan Atzert (Atzert St.), Ludger Lütkehaus (Lütkehaus L.), Stefan Lorenz Sorgner (Sorgner St. L.), and Stephan Grätzel (Grätzel St.).

We would like to mention the second edition of *The Schopenhauer Handbook* (*Schopenhauer-Handbuch. Leben-Werk-Wirkung*) edited by Daniel Schube

(Schube D.) and Matthias Koßler (Koßler, M.) in 2018, where the authors also refer to Schopenhauer's philosophy of music.

Special mention should be made of the Georgian translation of Schopenhauer's philosophical work "The World as Will and Representation" by Viktor Rtskhiladze, published in 2016. In the sixth paragraph of the preface, the translator emphasizes the special importance of music in Schopenhauer's work.

According to Schopenhauer, music is different and more important than all the other forms of art. It is a direct reflection of the Will, which differs from all other arts, because it is not a reflection of the phenomenon, but a direct reflection of the Will itself, and in relation to all the phenomena of the world, it represents the object in itself. Only in music can we discover the hidden life of the human heart. Schopenhauer uses Leibniz's idea: "Musica est exercitium metaphysices occultum nescientis se philosophari animi" ("Music is an unperceivable exercise in metaphysics, in which the soul is unaware that it is philosophizing"). According to the philosopher, only in music can we discover the hidden life of the human heart. Music never expresses a phenomenon, but only the inner essence, the Will itself. It expresses joy, sorrow, grief, horror, excitement, enjoyment, spiritual peace, as such, in a certain sense it expresses the essential in them *in abstracto*. Music always expresses only the quintessence of life and its events, and not the events themselves. That is why the effect of music is much more powerful and heart-piercing than that of the rest of art, because the latter refer to the shadow only, while music speaks of the essence (vom Wesen).

Presenting music as the direct objectification of the Will, Schopenhauer singles out the special function of a melody. Melody, in his opinion, tells us the most mysterious story of the Will, depicts all its desires, every striving. Music is the language of feeling and passion. According to Schopenhauer, in music, melody expresses the diverse aspirations of the Will, and at the same time the satisfaction with the harmonious step finally obtaining the main tonality. Music expresses the inner essence of the world, the world in itself (*An sich*), in a universal language, and achieves this only through sounds, with the greatest certainty and truth.

Thomas Mann's particular interest in musical art is well known. Thomas Mann's essay "Schopenhauer" ("Schopenhauer") was created in 1938, during the writer's emigration to America, at the suggestion of the American Schopenhauer Society. During this period, the writer noted in his diaries that he had read Schneider's book on Schopenhauer's biography with interest. On July 23, 1937, he stated in his diary: "Studien über die Schopenhauers." This expression refers to his search for the material for the novel "Lotte in Weimar", where Arthur Schopenhauer's mother, Adele Schopenhauer, appears as a character.

Thomas Mann's essay "Schopenhauer" was first published in America in 1939,

6. კვალიერობა

and later in England. In the following years, the essay was translated into various languages and published around the world (The Netherlands, France, Denmark, Norway, Spain, Bulgaria, Portugal, Sweden, Zurich, The Czech Republic, Greece, Japan, etc.).

In the essay “Schopenhauer,” Thomas Mann points out that Schopenhauer inherited “ideas” and “the thing-in-itself” in his philosophy. Here, the writer, of course, refers to Plato’s ideas and the famous formula of Kant’s philosophy - “the thing-in-itself” (*Ding an sich*). The history of Schopenhauer’s thought, according to the writer, goes back to the origins of Western thought - specifically, first to Plato’s philosophy, according to which things do not have real existence, and then to Kant’s philosophy. Thomas Mann clearly defines the idea of Will and Representation in Schopenhauer’s philosophical system.

For Thomas Mann, Schopenhauer is “extremely musical”. He views his work “The World as Will and Representation” as “a four-part symphony”. In Mann’s opinion, Schopenhauer, in the third part of his work, “Object of Art” (“Objekt der Kunst”), “celebrated” music as no one else did before, because music is a direct reflection of the Will and represents the metaphysical origin of the physical world, that is, it is the thing-in-itself, and in music the intellect serves the Will.

In his essay, Thomas Mann refers to the ethical-pessimistic tendencies of the second half of the 19th century in Europe and concludes that music also belongs to this “ethical-pessimistic scent” (“Auch Musik gehört zu dieser „ethisch-pessimistischen“ Lebensluft“). Schopenhauer loved music very much, which, according to Thomas Mann, is spiritually connected to the realm of death. Here the writer points out that in his “The Magic Mountain” there is “a deeply impressive and lifelong trace of Schopenhauer’s influence” and repeats his view expressed in the “Magic Mountain”: “Wer sich für das Leben interessiert, der interessiert sich namentlich für den Tod” (“Whoever is interested in life, is also interested in death”). But he also points out that it would be Schopenhauerian for him (the writer) to add here: “Wer sich für den Tod interessiert, der sucht in ihm Leben” (“Whoever is interested in death, seeks life in it”).

Thomas Mann notes that creative people, including composers, are often referred to as “traitors” of philosophy, and he cites Wagner’s “Tristan and Isolde” as an example. In his opinion, Wagner “understood” Schopenhauer’s philosophy in his own way when he placed his erotic theatrical mystery under the influence of Schopenhauer’s metaphysics. In reality, it was a cosmogony of passion, a mystery about love.

We consider Thomas Mann’s views in the last, concluding part of his “Schopenhauer” to be particularly important, where the writer clearly refers to the pessimism characteristic of his era and, at the same time, the necessity

of humanism. In his opinion, it is important that pessimism and humanism are intertwined in Schopenhauer's philosophy. The writer emphasizes the anti-humanism of his own era and adds here that Schopenhauer's philosophy is "modern" in this respect: Schopenhauer's thinking was not only the result of his mind's work, but it was his desire to help the humankind, because art, which accompanies man throughout his difficult path of life, has always achieved its noble goal.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ვნების ტყვეობაში: რასინის ფედრას მრავალშრიანი სამყარო

ია ხაჭაპურიძე

ia.khachapuridze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.12>

სტატია შეეხება ჟან რასინის ტრაგედიას „ფედრა“, რომელიც ფრანგული კლასიციზმის შედეგად ითვლება. ნაშრომი იკვლევს „უდანაშაულო დამნაშავეს“ კონცეფციას ფედრას პერსონაჟის მაგალითზე. სტატიაში განხილულია, თუ როგორ შეძლო რასინმა ანტიკური სიუჟეტის ადაპტირება და მითოლოგიური პერსონაჟის გაადამიანურება. გაანალიზებულია ფედრას შინაგანი კონფლიქტი მოვალეობასა და ვნებას შორის, რომელიც საბოლოოდ მის ტრაგიკულ აღსასრულს იწვევს. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხს, თუ რამდენად არის ფედრა თავისი ვნების მონა ან ბედისწერის მსხვერპლი. გამოკვლეულია სოციალური ნორმების, საზოგადოებრივი აზრის, გრძნობებისა და ბედისწერის როლის ფედრას „დანაშაულში“.

საკვანძო სიტყვები: გრძნობა, ვნება, მოვალეობა, ბედისწერა, დანაშაული, ტრაგიზმი, შინაგანი კონფლიქტი.

ჟან რასინის მიერ 1677 წელს დაწერილი ტრაგედია „ფედრა“ არის ფრანგული ლიტერატურის შედეგრი, რომელშიც ნაჩვენებია ადამიანის ემოციების სირთულეები, სიყვარული, ეჭვიანობა, დანაშაულის გრძნობა და ა.შ... მთავარი გმირი გახლავთ ქალი, რომელიც შთანთქმულია გერისადმი აკრძალული სიყვარულით.

ჟან რასინმა „ფედრა“ შექმნა იმ ძველ, ანტიკურ სიუჟეტთა საფუძველზე, სადაც ბრმა, ავბედითი სიყვარულის კატეგორია ერთიანად არღვევს ინდივიდს და ტრაგიკულს ხდის მის არსებობას.

კლასიციზმის ესთეტიკიდან გამომდინარე რასინი მხოლოდ ანტიკურ სიუჟეტებს მიმართავს, იგი არჩევანს აკეთებს არა ევრიპიდეს „გვირგვინოსან იპოლიტზე“ არამედ სენეკას „ფედრაზე“, თუმცა, მრავალი ინოვაციური გადაწყვეტის საფუძველზე, მოგვცა ფედრას სრულიად ახალი, ძველებისგან განსხვავებული მხატვრული სახე.

რასინის „ფედრა“ აგებულია ფრანგული კლასიციზმის ესთეტიკის დოგმატური მოთხოვნების საფუძველზე, რომელთაგან ამ ტრაგედიის

პერსონაჟების არჩევანის თავისუფლების პრობლემას უპირველესად განსაზღვრავს მოვალეობის კატეგორია.

თავისთავად მოვალეობის კატეგორია არ არის ცალსახა, იგი საოცრად განტოტვილია და ტრაგედიაში მართავს ყველას და ყველაფერს.

ძველი სიუჟეტები ფედრას შესახებ მთლიანად ბიბლიურ საბურველში იყო გახვეული. რასინმა შეძლო და მითოლოგიური ფედრა გააადამიანურა. რასინისეულ ტექსტში თითქმის არ მოგვეპოვება მითოლოგიური პასაჟები. დრამატურგმა იმდენად შეძლო თავად ფედრას მხატვრული სახის გაადამიანურება, რომ მკვლევართა უმეტესობა რასინის „ფედრას“ პერსონაჟში XVII საუკუნის ფრანგ ქალიშვილს ხედავენ. ჰუმანიზებულ ფედრაში გაასმაგებული ტრაგიზმით ეჯახება ერთმანეთს ინდივიდისა და სახელმწიფოს ინტერესები. ფედრა, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს თავსმოხვეულ მოვალეობის კატეგორიას, საერთოდ ვეღარ მართავს პირად გრძნობებს და ტრაგიკულად იღუპება.

რასინის „ფედრას“ მხატვრულმა სახემ გააჩინა გამოთქმა „უდანაშაულო დამნაშავე“. ზნეობრივად სპეტაკი ფედრას ქალურ არსებას ტრაგიკული ტკივილებით ავსებს და პარალელურად სპობს არჩევანის თავისუფლების ერთ-ერთი საზომი - ზნეობრიობა.

ზნეობრივად სუფთა ფედრასა და იპოლიტის, ისევე, როგორც არიციასა და თეზევსის შინაგან კონფლიქტს იწვევს, როგორც სიყვარულის კატეგორია, ასევე მოვალეობების მთელი ასხმა.

კვლევის საერთო კონტექსტიდან ნათლად იკვეთება შემდეგი: არჩევანის თავისუფლება ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ როგორ მოახერხებს იგი ამ თავისუფლების მოპოვებას, მიუხედავად ათასგვარი მიზეზისა, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

მოვალეობა ბარიერად ეღობება ადამიანის ყოველ არჩევანს - ჭიდილი გრძნობასა და მოვალეობას შორის არის ამოსავალი წერტილი ფედრას უდანაშაულობისა და დამნაშავეობისა.

მთელი პიესის განმავლობაში, ფედრა ებრძვის თავის სურვილებს და იმ სოციალურ ნორმებს, რომლებიც გმობენ მის გრძნობებს, რაც მას უბიძგებს საბოლოოდ დამღუპველ ქმედებებამდე (Encinas Fons 2018, 44).

როგორც აღვნიშნეთ, რასინის ეს პიესა, ძირითადად, შთაგონებულია ანტიკურობის ორი ნაწარმოებით: ევრიპიდეს „გვირგვინოსანი იპოლიტოსი“ და სენეკას „ფედრა“, რომლებშიც ანტიკური მითოლოგია მთავარ როლს ასრულებს. როგორც ანტიკურობის ყველა პიესაში, რასინის „ფედრაშიც“ ადამიანი სრულიად უძლურია ბედისწერისა და ღვთაებების წინაშე, იმ გარეგანი ძალების წინაშე, რომლებიც ქმნიან ბერძნულ-რომაული ლიტერატურის საფუძველს.

ი. ხაჭაპურიძე

რასინის პიესაში არსებული ამ ტიპის ფატალურობის მნიშვნელობა მრავალ სამეცნიერო ნაშრომში განხილული საკითხია. თუკი საქმე ეხება ბედისწერის გარეგან ჩარევას, რომელიც აკონტროლებს პიესა "ფედრას" პერსონაჟებს, როგორ მოახერხა რასინმა ეს იდეა ქრისტიანულ სამყაროზე მოერგო, ქრისტიანობასთან კავშირში განეხილა? რატომ ავირჩიეთ რასინის ტრაგედიებს შორის მაინცადამაინც „ფედრა“ ამ კვლევისთვის?

ფატალურობასა და სასიყვარულო სწრაფვას შორის ამბივალენტურობა, ორმხრივობა, განსაკუთრებით კარგად ამ ტრაგედიაში ვლინდება.

როგორც ფრანგი მეცნიერი ფორესტიე ამბობს, არ არსებობს XIX საუკუნიდან ნაშრომი რასინის შემოქმედებაზე, რომელიც არ განიხილავს ბედისწერის გავლენასა და მნიშვნელობას რასინის პერსონაჟებზე, მათი რიცხვი ბევრია.

დავიწყოთ იმით, რომ გადავხედოთ კრისტიან დელმასის მიერ გაკეთებულ ანალიზს „ფედრაში“ ბედისწერის როლზე და დავადგინოთ, ეს გარეგანი ძალა რეალურად არსებობს თუ არა პიესაში.

დელმასი თავის ანალიზს იწყებს იმით, რომ ხაზს უსვამს განსხვავებას, რომელიც არსებობს XVII საუკუნის დრამასა და ანტიკურ ტრაგედიას შორის. მისი აზრით XVII საუკუნის რაციონალისტურ დრამას აქვს შედარებით მარტივი მოქმედება, ლოგიკური განვითარება და მასში არსებული კონფლიქტები „განსაკუთრებით ფსიქოლოგიური წყობისა“ (Delmas, Forestier 1995, 48). ანტიკურ ტრაგედიაში, პირიქით, ადამიანზე ყოველთვის დომინირებს გარეგანი ძალა (ბედი, ბედისწერა, ღმერთები), რომლის წინაშეც ის უძლური აღმოჩნდება. ჟორჟ ფორესტიეს თანახმად, ბევრ სამეცნიერო ნაშრომში ხშირად ციტირებულია ფრაზა, რომელსაც წარმოითქვამს ორესტე ანდრომაქეში (Forestier 1999, 13):

„Je me livre en aveugle au destin qui m'entraîne“/ „მე ბრმად ვემორჩილები იმ ბედს, რომელსაც მივყავარ/რომელიც მიმათრევს/“ - ეს ფრაზა არის რასინის მიერ გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გადაკეთებული, ხოლო თავდაპირველ ვერსიაში ნათქვამია: „Je me livre en aveugle au transport qui m'entraîne“/ „ბრმად ვემორჩილები ტრანსპორტს, რომელსაც მივყავარ“ (Racine 1999, 98). სიტყვა „ტრანსპორტი“ ამ პერიოდის ტექსტებში, რა თქმა უნდა, ნიშნავს არა თანამედროვე ტრანსპორტს, არამედ „ვნებით გამოწვეულ მოძრაობას“ (Racine 2000, 222).

მაშასადამე, აშკარაა პრობლემა, რომელიც სვამს კითხვას: „Phèdre est-elle une esclave de sa passion ou une victime du destin“ / ფედრა თავისი ვნების მონაა თუ ბედისწერის მსხვერპლი?

თუკი ჩვენი მთავარი კითხვაა, ვიცოდეთ, ფედრას გმირები ბედისწერის მსხვერპლნი არიან, თუ სასიყვარულო ვნების მონები, მაშინ, ასევე,

მოგვიწევს პრობლემის სხვა ასპექტების განხილვა: რა როლი აკისრია პიესაში მოხსენიებულ ღვთაებებს? არის თუ არა ეს სასიყვარულო ვნების გავლენით გამოწვეული მონობა? ფედრა ნამდვილად დამნაშავეა თუ ნამდვილად უდანაშაულო? რა როლს თამაშობს საზოგადოება, საზოგადოებრივი აზრი, ფედრას დანაშაულში? რა როლს თამაშობს გრძნობები, კერძოდ, სიყვარული და ვნება ფედრას დანაშაულში? რა როლს თამაშობს ბედი და ბედისწერა ფედრას ტრაგიკულ აღსასრულში?

განვიხილოთ ფედრა, როგორც პერსონაჟი, რომელიც უდანაშაულოცაა და დამნაშავეც. ფედრას პერსონაჟი განასახიერებს უდანაშაულო დამნაშავის იდეას, კონცეფციას, რომელიც გამოკვლეულია სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებში და სამეცნიერო ნაშრომებში. ტერმინი უდანაშაულო დამნაშავე ნიშნავს ადამიანს, რომელიც სჩადის დანაშაულს მისი კონტროლის მიღმა არსებული გარემოებების გამო, რადგან მას არ შეუძლია წინ აღუდგეს თავის გრძნობებს.

ფედრას შემთხვევაში, მისი აკრძალული სიყვარული იპოლიტის, მისი გერის მიმართ, არის მამოძრავებელი ძალა მისი დანაშაულებრივი ქმედებებისა. ფედრას სიყვარული იპოლიტის მიმართ არის ტაბუირებული, რომელსაც იგი ვერ უძლებს. მიუხედავად იმისა, რომ მან იცის რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ამ გრძნობას, მისი სიყვარული იპოლიტის მიმართ მაინც გახლავთ აბსოლუტური ძალა, რომელიც შთანთქმავს მას და მიჰყავს გადაწყვეტილებებამდე, რომლებსაც მოგვიანებით ძალიან ნანობს. როგორც თავად ფედრა აღიარებს, „J’ai pris le plus grand de mes maux, j’ai pris l’amour“ (მე დავავადდი ყველაზე დიდი ავადმყოფობით, დავავადდი სიყვარულით). ეს განცხადება ხაზს უსვამს ფედრას უძლურებას მისი გრძნობების მიმართ, რაც საბოლოოდ აიძულებს მას ჩაიდინოს, ასე ვთქვათ, დანაშაულებრივი ქმედებები.

ფედრას „დანაშაული“ პიესის ცენტრალური თემაა და სწორედ ეს იწვევს საბოლოოდ მის დაცემას. მისი დანაშაული დაკავშირებულია არა მხოლოდ მის აკრძალულ სიყვარულთან იპოლიტის მიმართ, არამედ სიცრუესა და ტყუილთან, რომელსაც იგი იყენებს საკუთარი თავის და რეპუტაციის დასაცავად. ფედრას ეს „დანაშაული“ იმდენად დიდია, რომ იწვევს დანაშაულებრივ მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც საბოლოოდ იწვევს მის სიკვდილს (Critchley 2004, 24).

ფედრას დროინდელი სოციალური ნორმები და მოლოდინები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის „დანაშაულში“. პიესა ვითარდება ძველ საბერძნეთში, საზოგადოებაში, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატივს, ღირსებას, მოვალეობასა და რეპუტაციას. ფედრას სიყვარული იპოლიტის მიმართ არის ამ სოციალური ნორმების პირდაპირი დარღვევა, რაც მის ქმედებებს მიუღებელს და დანაშაულებრივს ხდის. ფედრას

ი. ხაჭაპურიძე

დანაშაული განპირობებულია არა მხოლოდ მის სიყვარულით იპოლიტის მიმართ, არამედ იმითაც, რომ მან იცის სოციალური ნორმები, რომლებსაც არღვევს. მისი დანაშაულის მიზეზი გახლავთ უმთავრესად ორი სახის: წინააღმდეგობა იმ სოციალურ მოლოდინებისადმი, რომელიც მისადმი საზოგადოებას აქვს და მისი ლტოლვა აკრძალული სიყვარულისადმი. რაც გახლავთ, ფქატობრივად იწვევს მის დანაშაულებრივ ქმედებებს.

ფედრას სასიყვარულო ვნება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მის დანაშაულში. მისი ემოციები თითქოსდა ორლესული მახვილია, რომელიც უბიძგებს დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ და იწვევს დანაშაულის გრძნობას და სინანულს მის ქმედებებზე. ფედრა ემზადება აღიაროს თავისი გრძნობები თეზევსის, მეუღლის წინაშე:

„Ô Jupiter! si je pouvais me taire! Mais mon destin m'accable, et je succombe à mon destin“ (Acte IV, scène 6) (Racine 1999, 26).

ამ ციტატადან კარგად სჩანს როგორ მორჩილებს ფედრა ზედს და როგორ უმწეოდ გრძნობს თავს მის წინაშე. ის ხვდება, რომ ზედი არის ძალა, რომელიც დომინირებს მასზე და ხელს უშლის შეეწინააღმდეგოს თავს.

„Jupiter nous a chargé de deux besaces:

l'une, remplie de nos fautes, qu'il a placée sur le dos;

l'autre contenant celles d'autrui, qu'il a pendue devant“ (Acte I, scène 1) (Racine 1999 28).

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, ზედისწერის როლი ფედრას „დანაშაულში“.

მეცნიერთა: დელმას, ფორესტიესა და დონეს აზრით, მითოლოგია და გარეგანი ძალები თამაშობენ უმნიშვნელო როლს პიესაში და უფრო მეტად ორნამენტის, სამშვენიისის ფუნქცია აკისრიათ (Delmas, Forestier 1995, 22). გამბელის აზრით, ფედრაში ყოველთვის არის გარეგანი ფატალურობა, რომელიც შეესაბამება იანსენისტურ წინასწარ განწყობას, სადაც ფარული ღმერთი, ისევე როგორც ანტიკური ღმერთები, წინასწარ წყვეტს შედეგს. თუმცა, გოლდმანისვე აზრით, ეს ფატალურობა არის უმწეობის განცდა, რომელიც სათავეს იღებს რასინის თანადროული სოციალურ რეალობიდან (Gambelli 2022, 33).

ფედრა გახლავთ ქალი, რომელიც იმყოფება ვნებისა და ქალღმერთ ვენერასგავლენის ქვეშ, რომელიც შურს იძიებს მის ოჯახზე იპოლიტისადმი მისი გატაცებით. ფედრა ექვემდებარება უმაღლეს ძალას, რომელიც აღემატება მას და რომელიც უბიძგებს მას დანაშაულის ჩადენისკენ. ამიტომაც ბედისწერა ფედრას დანაშაულის ცენტრალური ელემენტი. ის არის მისი დანაშაულის მიზეზიც და ტანჯვის წყაროც. საგულისხმოა ფედრას წიტყვები, როცა იპოლიტს უმხელს თავის გრძნობებს.

„Je ne puis voir sans effroi les traits de mon père.

Je ne puis voir sans horreur ceux de ma mère.

L'un m'a produite, l'autre m'a donné la vie:

Je dois, hélas! être à tous deux également funeste“ (Acte II, scène 5) (Racine 1999, 34).

ფედრა თავის ვნებას ავადმყოფობას უწოდებს, რომლისგან თავის დაღწევაც არ შეუძლია, რითაც ხაზს უსვამს ბედის მნიშვნელობას მის ტრაგიკულ მდგომარეობაში.

„Cenone. Quel secret vous dévore ? Parlez. Quelque chose vous presse.

Phèdre. Un mal sans remède. [...]

Cenone. Quel mal?

Phèdre. Le fils de Thésée” (acte 1, scène 3).

„Thésée. Qu'as-tu?

Phèdre. Un mal qui me dévore. [...]

Thésée. Quel mal?

Phèdre. Un mal dont je suis coupable. [...]

Thésée. Quel crime as-tu commis?

Phèdre. J'aime“ (acte IV, scène 6) (Racine 1999, 35).

ამრიგად, ფედრას ტრაგიკული სახე წარმოადგენს უდანაშაულო დამნაშავის უნიკალურ ფსიქოლოგიურ პორტრეტს. იგი დამნაშავეა როგორც ადამიანი, რომელსაც სრულად აქვს გაცნობიერებული საკუთარი დანაშაული, მაგრამ მაინც აგრძელებს ამ გზაზე სვლას. ამავდროულად, იგი უდანაშაულოა, რადგან მისი ქმედებები განპირობებულია არა პირადი არჩევანით, არამედ გარეგანი ძალებით, ღვთაებრივი ჩარევითა და წინასწარ განსაზღვრული ბედისწერით. რასინის „ფედრა“ წარმოგვიდგება, როგორც ღრმა ფსიქოლოგიური ტრაგედია, სადაც მთავარი გმირი ებრძვის საკუთარ თავს სიყვარულის, მოვალეობისა და საზოგადოებრივი მოლოდინების რთულსამკუთხედში. ესნაწარმოებირჩება უმნიშვნელოვანეს რეფლექსიად ადამიანური ბუნების კომპლექსურობაზე, სადაც პიროვნული სურვილები ეჯახება მორალურ ვალდებულებებს, ხოლო ბედისწერის გარდაუვალი ძალა აკონტროლებს ადამიანის ქმედებებს. სწორედ ეს რთული ფსიქოლოგიური პორტრეტი და დრამატული ინტენსივობა აქცევს „ფედრას“ ფრანგული ლიტერატურის შედევრად.

ი. ხაჭაპურიძე

ლიტერატურა

- Delia, Gambelli. 2022. „The Nurse in Racine’s Phèdre. Between Imitation and Innovation“, *SKENÈ, Journal of Theatre and Drama Studies*, Edited by Rosy Colombo.
- Critchley, Simon, 2004. *I want to die, I hate my life*, Phaedra’s Malaise.
- Forestier, Georges. 2006. *Jean Racine. Grand livre, Biographies*; Gallimard.
- Forestier, Georges. 1999. *Complete Works*, I by Racine.
- Wygant, Amy. 2000. *Medea, Poison, and the Epistemology of Error in Phèdre*. The Modern Language Review, Published By: Modern Humanities Research Association.
- Bertrand, Dominique. 1999. *Lire le théâtre classique*, l’université Blaise Pascal, Clermont II, Editeur Dunod.
- Lépine, Jacques-Jude. 1994. „Phaedra’s Labyrinth as the Paradigm of Passion: Racine’s Aesthetic Formulation of Mimetic Desire“, *Journal of Violence, Mimesis, and Culture*, Volume 1, Michigan State University Press.
- Rohou, Jean. 2009. *Tragedie classique*, Éditeur: Presses Universitaires de Rennes (PUR)
- Delmas, Ch., Forestier, G. 1995. *J. RACINE, Phèdre, editée par Christian Delmas et Georges Forestier*, Paris, Folio Gallimard, (per la traduzione italiana: Fedra e Ippolito, trad. it. di Daniela Della Valle, 2001, Venezia, Marsilio, Università Ca’ Foscari di Venezia, Venezia).
- Starobinski, Jean. 1961. *L’oeil vivant*. Corneille, Racine, La Bruyère, Rousseau, Stendhal, Tel, Gallimard, Paris.
- Niderst, Alain. 2001. *Le travail de Racine: Essai sur la composition des tragédies de Racine*, Palis, Éd. Saint-Pierre du Mont.
- Encinas Fons Mónica. 2018. *Fedra y la literatura francesa: rasgos generales de dos Fedras en pugna* (primera parte). La Villa de los Papiros
- Racine. 1999. *Phedre*. Gallimard, Paris.

Literature and Literary Theory

In the Captivity of Passion: The Multilayered World of Racine's Phaedra

Ia Khachapuridze

ia.khachapuridze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.12>

The article is dedicated to Jean Racine's tragedy "Phaedra," which is considered a masterpiece of French classicism. The paper explores the concept of the "innocent criminal" through the example of Phaedra's character. The article examines how Racine managed to adapt the ancient plot and humanize the mythological character. It analyzes Phaedra's internal conflict between duty and passion, which ultimately leads to her tragic end. The article pays special attention to the question of whether Phaedra is a slave to her passion or a victim of fate. The paper investigates the role of social norms, public opinion, feelings, and destiny in Phaedra's "crime."

Keywords: feeling, passion, duty, destiny, crime, tragedy, internal conflict.

Jean Racine's 1677 tragedy "Phèdre" stands as a monumental work within French literature, exploring the intricate and often tumultuous landscape of human emotions, particularly love, jealousy, and guilt. The play centers around Phèdre, a woman ensnared by her forbidden love for her stepson Hippolyte, leading to her tragic demise. Racine's narrative is not merely a retelling of classical themes but an innovative interpretation that humanizes the mythological character, making her struggles resonate with contemporary audiences (Rohou 2009, 26).

Literary Context and Innovation.

Racine's "Phèdre" emerges from the rich tradition of classical literature, drawing inspiration from both Euripides' "Hippolytus" and Seneca's "Phaedra." However, Racine opts to follow Seneca's version while introducing innovative solutions that transform the narrative into a deeply psychological exploration of its characters. Unlike the ancient versions, which often emphasize divine punishment and moral lessons, Racine succeeds in portraying Phèdre as a complex individual whose motivations and emotions reflect those of a 17th-century French woman rather than merely a mythological figure. This shift in perspective allows Racine to delve into the nuances of human psychology, creating a character that embodies both strength and vulnerability (Critchley 2004, 23).

ო. ხაჭაპურიძე

Classical Foundations and Aesthetic Principles.

At the heart of “Phèdre” lies the tension between personal desires and societal obligations, a hallmark of French classicism. The play adheres to classical unities—time, place, and action—crafting a tightly woven narrative that heightens the emotional stakes involved. The theme of duty versus freedom of choice is central to understanding Phèdre’s character. Duty in this context is multifaceted; it governs not only Phèdre’s actions but also those of other characters who navigate their own conflicts between personal desires and societal expectations. Phèdre’s internal struggle arises from her passionate love for Hippolyte, which stands in stark contrast to her obligations as a wife and stepmother. This dichotomy positions her as an “innocent criminal,” where her pure intentions are overshadowed by tragic actions driven by uncontrollable emotions. The complexity of her character invites audiences to empathize with her plight while grappling with the moral implications of her choices (Encinas Fons 2018, 44).

Characterization of Phèdre: The Innocent Criminal Paradox.

Phèdre exemplifies the concept of the “innocent criminal,” a term that describes individuals whose transgressions arise from circumstances beyond their control. Her love for Hippolyte is not only taboo but compels her to engage in deceitful acts to protect herself and maintain her reputation. Despite being acutely aware of the potential consequences of her feelings, Phèdre succumbs to an overwhelming force that drives her toward actions she ultimately regrets. Racine’s portrayal emphasizes Phèdre’s psychological complexity; she is aware of her desires yet feels powerless against them. This internal struggle culminates in her tragic downfall as she grapples with guilt and remorse for her actions. Her poignant declaration, “J’ai pris le plus grand de mes maux, j’ai pris l’amour,” encapsulates her helplessness in the face of passion, illustrating how love can become a debilitating affliction (Delmas, Forestier 1995, 13).

Societal Norms and Their Impact on Phèdre’s Actions.

The societal context of ancient Greece significantly influences Phèdre’s fate. The rigid expectations surrounding honor and reputation compel her to act against her desires. Her love for Hippolyte not only defies social conventions but also leads to catastrophic consequences that illustrate how societal pressures can dictate personal choices. Phèdre’s predicament raises critical questions about individual agency within the constraints imposed by society. The interplay between personal desire and social obligation creates fertile ground for tragedy. Phèdre’s struggle reflects broader themes of autonomy versus societal expectations, revealing how external norms can stifle individual expression. The tragic irony lies in her inability to control her feelings while being acutely aware of their implications (Niderst 2001, 27).

The Role of Emotions: A Double-Edged Sword.

Emotions serve as both a driving force and a source of torment for Phèdre. Her passionate love becomes a catalyst for destructive behavior, propelling her toward actions that lead to guilt and regret. Throughout the play, Racine captures Phèdre's internal turmoil as she grapples with conflicting feelings while acknowledging their potentially devastating outcomes. Phèdre's emotional state illustrates the psychological depth Racine imbues in his characters. Her love is depicted as an uncontrollable force that blinds her judgment and compels her toward fatal decisions. This emotional complexity enhances the tragedy as audiences witness a character torn between desire and moral obligation (Starobinski 1961, 34).

Fate and External Forces: The Role of Divine Intervention.

The theme of fate is intricately woven into "Phèdre." Scholars such as Delmas and Forestier argue that external forces—including divine intervention—play crucial roles in shaping the characters' destinies. Phèdre perceives herself as a victim of fate, unable to resist the pull of her passions. This fatalism reflects broader philosophical questions regarding free will versus determinism within human behavior. Racine's exploration introduces ambiguity regarding responsibility for one's actions. The tension between being an agent of one's choices and succumbing to external forces complicates the moral landscape within which Phèdre operates. As she grapples with her feelings for Hippolyte, she simultaneously confronts the inevitability of divine retribution (Gambelli 2022, 32).

Conclusion: Innocent Criminality in Tragedy. In conclusion, Phaedra's tragic figure represents a unique psychological portrait of an innocent criminal. She is guilty as a person who is fully aware of her transgression, yet continues down this path. Simultaneously, she is innocent because her actions are determined not by personal choice, but by external forces, divine intervention, and predetermined fate. Racine's "Phèdre" emerges as a profound psychological tragedy, where the protagonist struggles with herself in the complex triangle of love, duty, and societal expectations. This work remains an essential reflection on the complexity of human nature, where personal desires collide with moral obligations, while the inevitable force of fate controls human actions. It is this complex psychological portrait and dramatic intensity that makes "Phèdre" a masterpiece of French literature.

რელიგიათმცოდნეობა

**ტექნოლოგია და რწმენა:
მართლმადიდებლობის გზები ციფრულ სივრცეში**

ნიკოლოზ ჩიხლაძე

nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.13>

ინტერნეტი, როგორც ელექტრონული არხებით ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი სახეობა, უკვე დიდი ხანია საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა. შესაბამისად, იგი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ეფექტური ინსტრუმენტიცაა. საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მართლმადიდებლური ეკლესიები (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, სერბეთი) აქტიურად იყენებენ ინფორმაციის გადაცემის და გავრცელების ელექტრონულ მეთოდებს. ინტერნეტის ქმნის შესაძლებლობას მართლმადიდებლური ეკლესიები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ მორწმუნეებს დაუკავშირდნენ და მუდმივი კონტაქტი იქონიონ მათთან. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მათ შეუძლიათ გააძლიერონ საერთაშორისო სოლიდარობა და გაავრცელონ მართლმადიდებლური მოძღვრება. ციფრულ სივრცეში შესაძლებელია რელიგიური თემების გავრცობა, დიალოგი მორწმუნეებსა და მოძღვრებს შორის. ამ თვალსაზრისით, ინტერნეტის ნაწილს შეადგენს და პოპულარობას იძენს მისი ერთ-ერთი სეგმენტი - „მართლმადიდებლური ინტერნეტი“, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესიები კარგად იყენებენ თავიანთ მოღვაწეობაში როგორც ღვთის სიტყვის, მართლმადიდებლური იდეების და ფასეულობების გავრცელების ქმედით, თანამედროვე საშუალებას. მისი გამოყენება ეფექტურია ლექსიკისა და ტერმინოლოგიის ყოველდღიურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. ტექნოლოგია და რწმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლობისათვის, რამდენადაც სახეზე გვაქვს რწმენის, ტრადიციისა და ინოვაციის შეთავსების გამოწვევა. თუმცა, ციფრულ ეპოქის განვითარება და ინფორმაციის სწრაფი გავრცელება, ერთი მხრივ, არის შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, იქმნება დეზინფორმაციის ასევე სწრაფად გავრცელების პრობლემა, ანუ დეზინფორმაციის რისკის ზრდა. ჩვენ მიერ კონკრეტული მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ მაღალ შესაძლებლობებთან და თავისუფლების მაღალ ხარისხთან ერთად, ინტერნეტი მაღალ რისკებსაც შეიცავს და გარკვეულ საკითხებთან მიმართებით დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: მართლმადიდებლობა, ინტერნეტი, ეკლესია, სწავლება, საიტი.

შესავალი. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ტრანსფორმაციამ მნიშვნელოვანი მოთხოვნა წარმოშვა რელიგიური თემატიკის, მათ შორის მართლმადიდებლურ ლიტერატურასა და ინფორმაციაზე. მართალია სახელმწიფო და ეკლესია ფორმალურად აღიარებდნენ ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამოკიდებულებას რელიგიასა და ეკლესიასთან ყოველთვის ახასიათებდა წინააღმდეგობრიობა, ცვალებადობა, ტენდენციურობა და ცალმხრივობა, „ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების“ ნება-სურვილების აღსრულება.

ასეთი მძიმე მემკვიდრეობის პირობებში მართლმადიდებლური ეკლესიის ამოცანები იყო საზოგადოების მხრიდან „ინფორმაციული შიმშილის“ დაკმაყოფილება, სულიერებაზე ზრუნვა, ეკლესიამონასტრების აღდგენა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობა, მათი გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ და ა.შ. ამდენად, „სამკალი ფრიად იყო, ხოლო მუშაკნი მცირედ“ (მთ. 9:37).

დღეისათვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას აქვს საკუთარი ბეჭდური გამოცემები (ჟურნალ-გაზეთები), წვდომა სატელევიზიო აუდიტორიასთან (საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, ტელეგადაცემები სხვადასხვა ეპარქიებში), თუმცა ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და წარმატებით გამოყენებული საშუალებაა (საქართველოს საპატრიარქო, <https://patriarchate.ge>).

აღნიშნული, ქართულენოვან სამეცნიერო სივრცეში ნაშრომების რაოდენობრივ სიმწირესთან ერთად, განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალობას. ნაშრომში განხილული საკითხების შინაარსის და სიღრმის გათვალისწინებით, მისი დამუშავებისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები.

მართლმადიდებლობა ონლაინ: შესაძლებლობები და საფრთხეები. კიბერკულტურა მუდმივ განვითარებას და სრულყოფას განიცდის. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება მძლავრი პიროვნულ-ინდივიდუალური მუხტის მატარებელია. იგი ადამიანურ ურთიერთობებს განიხილავს, როგორც პიროვნულს, რომელსაც აქვს ღრმა სულიერი განვითარება. ამიტომ, ინტერნეტი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პიროვნული ურთიერთობების ყველაზე მასშტაბური ადგილი, მეთოდი და გამაძლიერებელი საშუალება.

5. ჩიხლაძე

მართლმადიდებლური მოძღვრების და მასთან ერთად ღვთის სიტყვის გავრცობა-გამრავლება რწმენის უმთავრესი საკითხია, რაც უშუალოდ უკავშირდება სულიერი სიმდიდრის გამრავლებას (ჩიხლაძე 2013, 149). ეს პროცესი, კაცობრიობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა მეთოდებით და საშუალებებით ხდება შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, დღისათვის ციფრული ტექნოლოგიები უმთავრესია. თუმცა, გაზომვადი სიდიდეებით გამოხატულ გავრცელების სისწრაფის ზრდა დამაზიანებელი და ფუჭი ინფორმაციის გავრცელების არანაკლები საფრთხეებსაც შეიცავს.

ინტერნეტს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეკლესიის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნაში. ინფორმაციის მედიაციურ არხებს შორის იგი განსაკუთრებულია იმიტაც, რომ ღვთის სიტყვის განვრცობისას ან საჭირო ინფორმაციის მიწოდებისას სხვა არხების გამოყენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება წარმოიშობა (მხედველობაში გვაქვს მართლმადიდებლური იდეები, ფასეულობები, ლექსიკა, ტერმინოლოგია და ა.შ.) „აზრობრივი დანაკარგების“ თავიდან ასაცილებლად.

ინტერნეტი უფრო მოქნილი სისტემაა სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, რამდენადაც შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად წარმოდგეს საკითხის არსი, გაიშალოს თემები, სიზუსტე მიეწოდოს ცნობები მომხმარებელს და სხვადასხვა ასპექტით წარმოჩინდეს ეკლესიის პრობლემატიკა (Зимова 2011, 171).

„მართლმადიდებლური ინტერნეტის“ ფორმირების პრობლემისადმი ძლიერ გამოხმაურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ციფრული მედიისა და მართლმადიდებლური მოძღვრების ტრადიციული საერთაშორისო კონფერენციები, რომელიც საბერძნეთში ტარდება მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოსის ლოცვა კურთხევით. ამ ფორუმის მთავარი ორგანიზატორია კულტურული და სულიერი ტრადიციების შენახვისა და გადაცემის შემსწავლელი ინსტიტუტი „მაქსიმე ბერძენი“ (The „Saint Maximos the Greek“ Institute for the Research, Preservation and Promotion of Spiritual and Cultural Traditions) ინტერნეტ პორტალებთან «Пemptусия» (www.pemptousia.ru), ამერიკის Orthodox Christian Network (www.myocn.net) და რუსეთის Bogoslov (www.bogoslov.ru).

კონფერენციაზე სისტემატურად განიხილება გაწეული საქმიანობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ძირითადი გამოწვევები ამ მიმართულებით, აგრეთვე ქრისტიანული სიტყვის განვითარების პერსპექტივები კიბერსივრცეში (Conference on Digital Media 2015).

ფრიად საიტერესოა ამ თემატიკის პირველივე ფორუმზე მართლმადიდებლური სწავლების ერთ-ერთი ავტორიტეტის,

არქიმანდრიტ ეფრემ კატუნაკელის მოხსენება. იგი მიიჩნევს, რომ „უფლის სიტყვა ინტერნეტ-ქსელში დღეს ძლიერად და მძლავრად უნდა არსებობდეს. ინტერნეტის გამოყენება მარტივია, რის გამოც უფლის სიტყვა შეიძლება ყველგან, მთელ დედამიწაზე გავრცელდეს. უფლის სიტყვა არ არის ადამიანური საუბარი, ის ატარებს საღმრთო ენერგიას, რომელსაც ძალუმს ადამიანის სულიერად აღორძინება, ჭეშმარიტად შეუძლია თანაგრძნობის გამოხატვა და ყოვლილზე ეს ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება... ინტერნეტს არ ძალუმს ციცხალი ურთიერთობის შეცვლა. ინტერნეტის საშუალებაა, ინსტრუმენტი, რომელიც გვხმარება და შეუძლია სარგებლის მოტანა, მაგრამ თუ მორწმუნეს უნდა ნამდვილი სულიერი ცხოვრება, აუცილებელია პირადი კონტაქტი სულიერ მოძღვართან, კომუნიკაცია სულიერ ძმებთან... არის სიტუაციები, როდესაც ინტერნეტი გვხდის მასზე დამოკიდებულად, წარმოქმნის იზოლაციას, განცალკევებას და ხდება ადამიანის პიროვნებისთვის დამღუპველი (არქიმანდრიტი ეფრემ 2016, 40).

ავტორიტეტული საერთაშორისო კომპანია DataReportal-ის მიხედვით, რომელიც ყოველწლიურად აფასებს მსოფლიოს ქვეყნების ინტერნეტ-მასშტაბებს, 2024 წლის დასაწყისში საქართველოში ინტერნეტის 2,93 მილიონი მომხმარებელი იყო, ხოლო ინტერნეტის შეღწევადობა 78,7%-ს შეადგენდა. ამასთან, 2024 წლის დასაწყისში საქართველოში სულ 6,10 მილიონი ფიზიკური მობილური კავშირი იყო აქტიური, რაც მთლიანი მოსახლეობის 164%-ს უტოლდება. ამ პერიოდისთვის საქართველოში **სოციალური მედიის 2.85 მლნ მომხმარებელი იყო, რაც მთლიანი მოსახლეობის 76,6%-ს უტოლდება** (DataReportal, 2024). აღნიშნული კიდეც ერთხელ ადასტურებს „სამკალზე“ მაღალი წვდომის შესაძლებლობას.

ინტერნეტის მართლმადიდებლური სეგმენტი საქართველოში. ინტერნეტის მართლმადიდებლური სეგმენტი საქართველოში საკმაოდ დინამიურად და არაწრფივად ვითარდება. ჩატარებული ანალიზის მიხედვით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: ქართული საიტების ნუსხაში (19586 ვებგვერდი) ყველაზე რეიტინგული მართლმადიდებლური საიტი აღმოჩნდა <https://www.orthodoxy.ge/>, რომელიც მხოლოდ მე-60 ადგილზეა საერთო რეიტინგში (დღეში საშუალოდ 9841 ნახვა, რაც 149-ჯერ ჩამორჩება საუკეთესოს).

5. ჩიხლაძე

ცხრილი 1. მართლმადიდებლური საიტები

	საიტის დასახელება	საიტის აღწერა	ნახვის რაოდენობა დღეში საშუალოდ
1	https://www.orthodoxy.ge/	მართლმადიდებელი სარწმუნოება და ყველაფერი მის შესახებ	9841
2	https://www.ambioni.ge/	საზოგადოებრივ- რელიგიური ინტერნეტ- ჟურნალი	1277
3	http://church.ge/	მართლმადიდებლური ფორუმი	606
4	https://patriarchate.ge/	საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ- გვერდი	534
5	https://martlmadidebloba.ge/	მართლმადიდებლური ბიბლიოთეკა, ტაძრები, ხატები, ფრესკები	312
6	https://holybible.ge/	მეგაპორტალი რელიგია. ბიბლია უცხო ენაზე უნიკალური სამიუზო სისტემებით და პარალელური კითხვის რეჟიმით	303
7	https://monkgabriel.ge/	St. Gabriel, Confessor and Fool for Christ (1929- 1995) The Wonderworker Georgian Orthodox Monk (მრავალენოვანი ვებ-გვერდი)	267
8	https://sibrdzne.ge/	წმიდა მამათა და მოძღვართა: დარიგებები, კითხვა- პასუხი, პატერიკები, ქადაგებები	230
9	https://www.apocalypse.ge/	მართლმადიდებლური ესქატოლოგია, სწავლა-მოძღვრებანი, განმარტებანი	213
10	http://library.church.ge/	დიდი საეკლესიო ბიბლიოთეკა	146

წყარო: შედგენილია <https://top.ge/category/30/რელიგია> მიხედვით (28.08.2024 მდგომარეობით).

სულ რელიგიური თემის 156 საიტი გამოიკვეთა, რომელშიც აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებლური საიტებია (იხ. ცხრ.

1). აქ ბუნებრივია, ლიდერია <https://www.orthodoxy.ge/>. საპატრიარქოს ოფიციალური ვებ გვერდი რელიგიურ საიტებს შორის მონახულების მიხედვით მეოთხეა (დღეში საშუალოდ 534 ნახვა).

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები ღვთის სიტყვის გავრცელებისათვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია:

- ონლაინ რეჟიმში სულიერი საუბრები მიზნობრივ აუდიტორიასთან (target group);
- საკუთარ Facebook პროფილებზე ვიდეოფაილების და ტექსტების გამოქვეყნება;
- საიტების, ფორუმების, ბლოგების შექმნა;
- ნდობის კავშირების შექმნა;
- SMS გზავნილები.

ციფრული ტექნოლოგიების თვალსაზრისით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე. იგი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „კომპიუტერის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია. როგორც ჩანს ეს ღვთისაგან დაშვებულია. ტექნიკა არ არის ცოდვის მიზეზი, არამედ ჩვენი დაცემული ცხოვრება, როცა თითის განძრევაც კი გვეზარება ჩვენში შემოჭრილი ცოდვების საწინააღმდეგოდ. ტექნიკის დიდი ნაწილი ჩავარდა უკეთურთა ხელში და ცოდვის ნიაღვარი მოედინება თითოეულ ადამიანზე, მაგრამ უფალმა მოგვანიჭა თავისუფალი ნება და უფალიჩვენ გვერდითაა“ (მიტროპოლიტი სტეფანე 2016, 33).

აუდიტორიის მიზნობრიობის მიხედვით მართლმადიდებლური ინტერნეტ-საიტები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

საიტები, რომლებიც ოფიციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებს განეკუთვნებიან (საპატრიარქო, ეპარქია, ტაძარი/მონასტერი). თითოეული მათგანი აშუქებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეობის შესაბამის მხარეს (მაგ., <https://patriarchate.ge>, <https://www.kutais-gaenati.ge/> და სხვა);


საიტები, რომლებიც შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო ან მისიონერული მიზნებისათვის. ისინი ჟანრობრივად მრავალფეროვანია და გათვლილია არასასულიერო პირებზე (<https://www.orthodoxy.ge/>, <https://sibrdzne.ge/>, <https://www.ambioni.ge/> და სხვა);

პერსონალური საიტები, ბლოგები, მართლმადიდებლური ინტერნეტ-ფორუმები და ბლოგები. ბოლო წლებში შეიმჩნევა ამ ჯგუფის შესამჩნევი ზრდა (<http://church.ge/>, <http://motsikuli.com/>, <https://madliereba.ge/> და სხვ.).

ნ. ჩიხლაძე


გამოკითხვის შედეგები. თანამედროვე პირობებში „მართლადიდებლური ინტერნეტის“ ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებით ჩავატარეთ სასულიერო პირთა გამოკითხვა (ჩაღრმავებული ინერვიუება), რომელშიც მონაწილეობდა 38 სასულიერო პირი, სამღვდლო (სამსახურო) ხარისხით მღვდელი, დიაკვანი, ბერი.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (79%) ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მართლადიდებლური სიტყვა ინტერნეტში სხვა სფეროებთან შედარებით (პოლიტიკა, კულტურა, ბიზნესი) მოკრძალებულად არის წარმოდგენილი და 18% მიიჩნევს საწინააღმდეგოს (იხ.ნახ.1).




ნახაზი 1. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ მართლადიდებლური სიტყვა ინტერნეტში სხვა სფეროებთან შედარებით (პოლიტიკა, კულტურა, ბიზნესი) მოკრძალებულად არის წარმოდგენილი?

მოდერნების დიდ ნაწილს (77%) არასაკმარისად მიაჩნიათ ინტერნეტში მართლადიდებლური თემატიკით წარმოდგენილი ციფრული ბიბლიოთეკები. 23%-ს ასე არ მიაჩნია, ან გაუჭირდა პასუხი.




ნახაზი 2. თქვენი აზრით, არის თუ არა საკმარისი ინტერნეტში მართლადიდებლური თემატიკით წარმოდგენილი ციფრული ბიბლიოთეკები?

კიბერუსაფრთხოების და დეზინფორმაციის გავრცელების მაღალი რისკებიდან გამომდინარე, სასულიერო პირთა დიდი ნაწილი (79%) მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლურ საიტებზე საპატრიარქოს ცენზურა უნდა არსებობდეს და თითქმის მეხუთედნი (21%) არ მიიჩნევს ასე ან გაუჭირდათ პასუხი.



ნახაზი 3. უნდა არსებობდეს თუ არა მართლმადიდებლურ საიტებზე საპატრიარქოს ცენზურა და კონტროლი?

პასუხების დიფერენცირება ყველაზე მეტად დაფიქსირდა შეკითხვაში, რომელიც ეხება კარგი და სულიერი მიზნებისთვისაც კი ინტერნეტის გამოყენებისას ადამიანის მასზე დამოკიდებულების გაზრდას, იზოლაციის წარმოქმნას, რაც შეიძლება დამლუპველიც კი გახდეს. ამ კითხვაზე 44%-ს აქვს დადებითი პასუხი, ხოლო 38%-ს - უარყოფითი. 18%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხი.




ნახაზი 4. შეიძლება თუ არა ინტერნეტის გამოყენებამ კარგი და სულიერი მიზნებისთვისაც კი ადამიანი მასზე დამოკიდებული გახადოს, წარმოქმნას იზოლაცია და გახდეს იგი ადამიანისთვის დამლუპველი?

ნ. ჩიხლაძე

რამდენიმე მოძღვარმა ამ კითხვაზე პასუხისას ასევე დააფიქსირა შემდეგი მოსაზრება:

- „ინტერნეტს სიტყვის გავრცელების აქამდე უპრეცედენტო ფუნქცია აქვს და სიტყვით მანიპულირების მასშტაბი ძალიან დიდია. ამას ზიანიც დიდი მოაქვს და დადებითი გავლენაც“;
- „სულიერი მიზნებისთვის - დიახ, მაგრამ თუ დამოკიდებულს და იზოლირებულს გახდის, მაშინ არა“;
- „ინდივიდუალურია“.


გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის (71%) ინტერნეტით გადაცემულ უფლის სიტყვას შეიძლება გააჩნდეს მაკურნებელი ფუნქცია, რასაც ასე არ თვლის გამოკითხულთა 14%. ამ კითხვაზე პასუხი მოძღვართა 15%-ს გაუჭირდა.



ნახაზი 5. შეიძლება თუ არა ინტერნეტით გადაცემულ უფლის სიტყვას გააჩნდეს მაკურნებელი ფუნქცია?

ქართული საიტებიდან ყველაზე ხშირად გამოყენებადია: www.orthodoxy.ge, www.orthodox.ge, <https://martmadidebloba.ge/>, www.sibrdzne.ge, <https://patriarchate.ge/>, ხოლო უცხოურიდან - <https://azbyka.ru/>.

სასულიერო პირთა უმრავლესობა ინტერნეტისთვის მართლმადიდებლურ სიტყვას ეცნობა ქართულად (36 პასუხი) და რუსულად (19 პასუხი). მხოლოდ 2-2 პასუხი დაფიქსირდა ბერძნულად და ინგლისურად გაცნობის შესაძლებლობის შესახებ.



ნახაზი 6. ძირითადად რომელ ენაზე ეცნობით ინტერნეტსივრცეში მართლმადიდებლურ სიტყვას?

დასკვნა. 1. ჩვენს ეპოქაში, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების დომინირების პირობებში მიზანშეწონილია უფლის სწავლება, უფლის სიტყვა მიეწოდოს იმ „ენაზე“, იმ საშუალებებით, რასაც თანამედროვე ადამიანი იყენებს;

2. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, საჭიროა არა იგნორირება, არამედ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება ღვთის სიტყვის და ჭეშმარიტი ქრისტიანული სულიერების გასავრცელებლად.

3. მისასალმებელია, რომ საბერძნეთში რეგულარულად იმართება კონფერენციები ამ საკითხებზე, სადაც განიხილება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ღვთის სიტყვის, მართლმადიდებლური ღირებულებების გავრცელების შესაძლებლობები და გამოწვევები კიბერსივრცეში.

4. ინტერნეტის მართლმადიდებლური სეგმენტი საქართველოში საკმაოდ დინამიურად და არაწრფივად ვითარდება. ქართულ საიტების ნუსხაში (19586 ვებგვერდი) ყველაზე რეიტინგული მართლმადიდებლური საიტი აღმოჩნდა <https://www.orthodoxy.ge/>, რომელიც მხოლოდ მე-60 ადგილზეა საერთო რეიტინგში;

5. საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები ღვთის სიტყვის გავრცელებისათვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ (ონლაინ რეჟიმში სულიერი საუბრები, საკუთარ Facebook პროფილებზე ვიდეოფაილების და ტექსტების გამოქვეყნება, საიტების, ფორუმების, ბლოგების შექმნა და სხვ.);

5. ჩიხლაძე

6. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართველ სასულიერო პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მართლმადიდებლური სიტყვა ინტერნეტში სხვა სფეროებთან შედარებით (პოლიტიკა, კულტურა, ბიზნესი) მოკრძალებულად არის წარმოდგენილი და არასაკმარისად მიაჩნიათ ინტერნეტში მართლმადიდებლური თემატიკით წარმოდგენილი ციფრული ბიბლიოთეკები.

7. ქართველ მოძღვართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერნეტით გადაცემულ უფლის სიტყვას შეიძლება გააჩნდეს მაკურნებელი ფუნქცია. ამასთან, მართლმადიდებლურ საიტებზე საპატრიარქოს ცენზურა და კონტროლი უნდა არსებობდეს.

ლიტერატურა

- არქიმანდრიტი ეფრემი (კატუნაკელი). 2016. „უფლის სიტყვა ინტერნეტ-ქსელში დღეს ძლიერად და მძლავრად უნდა არსებობდეს“. მართლმადიდებლური ჟურნალი კარიბჭე, N2, 2016.
- ინტერნეტის მოხმარება საქართველოში 2024 წლის დასაწყისში. DataReportal-ის ანგარიში (23.02.2024). გადამოწმებულია 19.01.2025. <https://datareportal.com/reports/digital-2024-georgia>
- მიტროპოლიტი სტეფანე. 2016. „კომპიუტერის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია“ (ინტერვიუ). მართლმადიდებლური ჟურნალი კარიბჭე, N12, 2016;
- მართლმადიდებლური საიტი. გადამოწმებულია 19.01.2025. <https://www.orthodoxy.ge/>
- მართლმადიდებლური საიტი. გადამოწმებულია 19.01.2025. www.bogoslov.ru
- მართლმადიდებლური საიტი. გადამოწმებულია 19.01.2025. www.myocn.net
- მართლმადიდებლური საიტი. გადამოწმებულია 19.01.2025. www.pemptousia.ru
- მართლმადიდებლური საიტი . გადამოწმებულია 19.01.2025. www.pemptousia.ru
- საიტების რეიტინგი. გადამოწმებულია 19.01.2025. <https://top.ge/>
- სრულიად საქართველოს საპატრიარქო. გადამოწმებულია 19.01.2025. <https://patriarchate.ge/>
- ჩიხლაძე, ნიკოლოზ. 2013. მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები (მონოგრაფია). ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1st INTERNATIONAL CONFERENCE ON DIGITAL MEDIA AND ORTHODOX PASTORAL CARE DMOPC15 LIVING WATER Athens, 7-9 May 2015. გადამოწმებულია 19.01.2025. <http://www.dmpc15.com/>

Зимова, Наталья. 2011. Аудитория «Православного Интернета» в России. *Научные Ведомости БелГУ, Серия Гуманитарные науки*. №24 (119), 2011. Выпуск 12. გადამოწმებულია 19.01.2025. <https://cyberleninka.ru/article/n/auditoriya-pravoslavnogo-interneta-v-rossii>

Religious studies

Technology and Faith: Paths of Orthodoxy in the Digital Space

Nikoloz Chikhladze

nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

Central University of Europe

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.13>

